

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ელენე ცხომელიძე

**აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნების სავაჭრო  
ინტეგრაცია ევროკავშირთან: DCFTA-ს ეფექტიანობა და თანამედროვე  
გამოწვევები**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

თბილისი, 2023

## აბსტრაქტი

საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში, „ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების განვითარებისა და გავრცელების შედეგად, მეცნიერების შესწავლის საგნად შეთანხმებებით გათვალისწინებული პრეფერენციების სარგებლიანობა, ვაჭრობაზე, ზრდასა და ხელმომწერ და მესამე მხარეებთან ურთიერთობებზე მათი გავლენა იქცა. ამ კონტექსტში, წარმოდგენილ სადოქტორო ნაშრომში, გამოვიკვლიეთ საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (DCFTA) ეფექტიანობა და გავლენა საგარეო სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე. DCFTA გავლენები შევაფასეთ სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის გამოყენებით. ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში შეთანხმების გავლენის შედარების საფუძველზე, შევაფასეთ DCFTA-ს, როგორც „ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის ინსტრუმენტის ზოგადი ეფექტიანობა, ისეგამოვიკვლიეთ აღნიშნულ ქვეყნებში შეთანხმების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ნაშრომში გამოკვლეულია ასოცირების შეთანხმების სავაჭრო დებულებებით წარმოდგენილი შესაძლებლობები, ასევე, მათი გამოყენებისათვის საჭირო საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჰარმონიზაციის მაჩვენებლები. სადოქტორო ნაშრომში გამოვლენილია DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ საქართველოს, მოლდოვისა, და უკრაინის საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები. ამ მიმართულებით, შეთანხმების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის შევაფასეთ სავაჭრო ნაკადების განვითარება პროდუქტის დივერსიფიცირების, ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებისა და ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიების ფაქტორების გათვალისწინებით. ნაშრომში შეფასებულია, ვაჭრობის განვითარებაზე გავლენის მქონე სავაჭრო პოლიტიკის ფაქტორები, რომელიც ასევე მოიცავს სხვა ქვეყნებთან განვითარებული ურთიერთობების ანალიზს.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა DCFTA-ს ex-post გავლენის ეკონომეტრიკული შეფასება, რომლის შედეგებსაც დაეყრდნო, ნაშრომში მოცემული DCFTA-ს ეფექტიანობის მაჩვენებელი. კვლევის შედეგებმა, დაადასტურა თავისუფალი ვაჭრობის გავლენების შეფასების პროცესში, თეორიული ჩარჩოს საფუძველზე

შემუშავებული სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის გამოყენების უპირატესობა, გრავიტაციის მოდელის სხვა ვარიაციებთან შედარებით. ასევე, შეფასების პროცესში სავაჭრო ნაკადების შექმნისა და სავაჭრო ნაკადების გადართვის ფაქტორების გათვალისწინების საჭიროება. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაზე მისი გავლენის შეფასების, ასევე აღნიშნული გავლენების განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირების გარეშე. შესაბამისად, კვლევაში DCFTA-ს სავაჭრო დებულებებისა და ქვეყნის სავაჭრო სისტემის განვითარება, როგორც შეთანხმების ეფექტიანობის ხელშემწყობი, ისე დამაბრკოლებელი ფაქტორების იდენტიფიცირებას ემსახურება.

*საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობა, DCFTA, სტრუქტურული გრავიტაციის მოდელი, ასოცირებული ტრიოს ქვეყნები*

## Abstract

The rise and widespread adoption of new generation trade agreements in the global trade system has sparked a growing interest in researching their effectiveness. This doctoral thesis focuses on studying the impact of the Deep and Comprehensive Free Trade Agreements (DCFTA) signed by Georgia, Moldova, and Ukraine on their foreign trade flows. Using a structural gravity model, the research aims to understand the effects of the DCFTA by comparing the agreements' outcomes in these three countries, evaluating its overall effectiveness as a modern free trade tool, and identifying the factors that influence its success.

The paper explores the trade opportunities presented by the Association Agreement and assesses how well these opportunities are utilized by evaluating the level of legislative and regulatory harmonization required. It investigates the recent trends in foreign trade relations of the three countries following the implementation of the DCFTA. To assess the agreement's effectiveness, the thesis examines the changes in trade flows considering factors like product diversification, trade direction, and exploration of new export markets. Additionally, it analyzes trade policy factors affecting trade growth and the progress in building relationships with other nations.

The study conducts econometric analysis to gauge the post-implementation impact of the DCFTA, establishing an effectiveness indicator based on the findings. The research validates the use of the structural gravity model, which provides a robust theoretical framework for evaluating the impact of free trade agreements compared to other gravity model variations. It emphasizes the importance of considering trade creation and trade diversion factors during evaluations. Comprehensive analysis of a free trade agreement should also include its impact on trade with other countries and the identification of factors influencing these effects. Therefore, the study examines the development of the DCFTA's trade provisions and the country's trade system to identify factors that either contribute to or hinder the agreement's effectiveness.

***Keywords:*** *International Trade, DCFTA, Structural Gravity model, Associated trio countries*

## სარჩევი

შესავალი .....	1
ნაშრომის აქტუალობა.....	1
<b>თავი I. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენის შეფასების თეორიული საფუძველები და მეთოდოლოგიური ჩარჩო.....</b>	<b>14</b>
1.1. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების მნიშვნელობა და ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებები.....	14
1.2. სტრუქტურული გრავიტაციის მოდელი .....	22
1.3. DCFTA-ს ეფექტიანობის შეფასება .....	27
1.4. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო სტრუქტურული გრავიტაციის მოდელი.....	31
<b>თავი II. DCFTA-ს სტრუქტურული მიმოხილვა .....</b>	<b>39</b>
2.1 ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისა და ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესი.....	40
2.2 DCFTA საქართველოში - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ანალიზი .....	42
2.3 DCFTA მოლდოვაში - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ანალიზი.....	46
2.4 DCFTA უკრაინაში - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ანალიზი .....	48
2.5 საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში DCFTA-ს იმპლემენტაცია .....	53
2.6 ასოცირებული ტრიოს ქვეყნების DCFTA-ს შედარებითი ანალიზი .....	62
<b>თავი III. ასოცირებული ტრიოს ქვეყნების საგარეო ვაჭრობის კონტექსტი .....</b>	<b>69</b>
3.1 საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების თავისებურებები .....	71
3.1.1 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი.....	71
3.1.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან.....	80
3.2 მოლდოვის სავაჭრო ურთიერთობების თავისებურებები.....	85
3.2.1 მოლდოვა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი.....	85
3.2.2 მოლდოვის საგარეო ვაჭრობა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან .....	94
3.3 უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები თავისებურებები .....	99
3.3.1 უკრაინა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი .....	99
3.3.2 უკრაინის საგარეო ვაჭრობა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან .....	107
3.4 ასოცირებული ქვეყნების სავაჭრო კონტექსტის შედარებითი ანალიზი .....	113
<b>თავი IV. DCFTA-ს ეფექტიანობა - სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის შედეგები.....</b>	<b>119</b>
4.1 ეკონომეტრიკული მოდელი.....	120

4.2	DCFTA-ს გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე.....	122
4.3	DCFTA-ს გავლენა მოლდოვის საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე.....	126
4.4	DCFTA-ს გავლენა უკრაინის საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე.....	128
4.5	DCFTA-ს ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი .....	130
	<b>დასკვნები და წინადადებები.....</b>	<b>134</b>
	<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>143</b>
	<b>გამოქვეყნებული ნაშრომები.....</b>	<b>155</b>
	<b>დანართები.....</b>	<b>156</b>
	დანართი 1. კვლევისთვის შერჩეული ქვეყნების ჩამონათვალი.....	156
	დანართი 2.1 საქართველოს საგარეო ვაჭრობის ანალიზისთვის გამოყენებული გრაფიკის მოდელის შედეგები .....	157
	დანართი 2.2. მოლდოვის საგარეო ვაჭრობის ანალიზისთვის გამოყენებული გრაფიკის მოდელის შედეგები .....	158
	დანართი 2.3 უკრაინის საგარეო ვაჭრობის ანალიზისთვის გამოყენებული გრაფიკის მოდელის შედეგები .....	159

## ცხრილები

ცხრილი 2.6.1. DCFTA-ს ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები .....	63
ცხრილი 2.6.2. DCFTA-ს იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მაჩვენებლები.....	66
ცხრილი 3.1.1. ევროკავშირთან ვაჭრობის ცვლილება და საბაზრო წილი.....	72
ცხრილი 3.1.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი, 2013-2021 წლებში.....	73
ცხრილი 3.1.3. იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ცვლილება 2013-2021 წლებში .....	74
ცხრილი 3.1.4. საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტი სექტორების მიხედვით, 2014-2021 წლებში (აშშ დოლარი).....	76
ცხრილი 3.1.5. საექსპორტო პოზიციები HS ორნიშნა კოდის მიხედვით, 2014-2021 წლებში.....	78
ცხრილი 3.1.6. ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საბაზრო წილები .....	82
ცხრილი 3.2.1. ევროკავშირთან ვაჭრობის ცვლილება და საბაზრო წილი.....	86
ცხრილი 3.2.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი, 2014-2021 წლებში.....	87
ცხრილი 3.2.3. იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ცვლილება 2014-2021 წლებში .....	88
ცხრილი 3.2.4. მოლდოვიდან ექსპორტირებული პროდუქტები სექტორის მიხედვით, 2014-2021 წლებში.....	90
ცხრილი 3.2.5. საექსპორტო პოზიციები HS ორნიშნა კოდის მიხედვით, 2014-2021 წლებში.....	92
ცხრილი 3.2.6. ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საბაზრო წილები .....	96
ცხრილი 3.3.1. ევროკავშირთან ვაჭრობის ცვლილება და საბაზრო წილი.....	100
ცხრილი 3.3.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი, 2013-2021 წლებში.....	101
ცხრილი 3.3.3. იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ცვლილება 2013-2021 წლებში .....	102
ცხრილი 3.3.4. უკრაინიდან ექსპორტირებული პროდუქტი სექტორების მიხედვით, 2014-2021 წლებში (აშშ დოლარი).....	103
ცხრილი 3.3.5. საექსპორტო პოზიციები HS ორნიშნა კოდის მიხედვით, 2014-2021 წლებში.....	105
ცხრილი 3.3.6. ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საბაზრო წილები .....	110
ცხრილი 3.4.1. ასოცირებული ტრიოს ვაჭრობა ევროკავშირთან 2014-2021 წლებში .....	114
ცხრილი 4.1.1. შერჩეული დაკვირვებების აღწერითი სტატისტიკა.....	121
ცხრილი 4.2.1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, გრავიტაციის მოდელი .....	123
ცხრილი 4.2.2. გავლენა საქართველოს ექსპორტსა და იმპორტზე, გრავიტაციის მოდელი .....	125
ცხრილი 4.3.1. მოლდოვის საგარეო ვაჭრობა, გრავიტაციის მოდელი .....	126
ცხრილი 4.3.2. გავლენა მოლდოვის ექსპორტსა და იმპორტზე, გრავიტაციის მოდელი.....	127
ცხრილი 4.4.1. უკრაინის საგარეო ვაჭრობა, გრავიტაციის მოდელი .....	128
ცხრილი 4.4.2. გავლენა უკრაინის ექსპორტსა და იმპორტზე, გრავიტაციის მოდელი .....	129
ცხრილი 4.5.1. გრავიტაციის მოდელის შედეგების შედარება .....	130

## დიაგრამები

დიაგრამა 3.1.1. საქართველოს სავაჭრო ნაკადები, 2004-2021 წლებში .....	71
დიაგრამა 3.1.2. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 2021 წელს, ტოპ 5 სექტორი .....	77
დიაგრამა 3.1.3. ძირითადი საექსპორტო პოზიციები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი.....	79
დიაგრამა 3.1.4. სავაჭრო ნაკადები რეგიონების მიხედვით, 2004-2021 წლებში .....	80
დიაგრამა 3.1.5. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ექსპორტი მიხედვით .....	80
დიაგრამა 3.1.6. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, იმპორტის მიხედვით.....	81
დიაგრამა 3.1.7. ექსპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში.....	83
დიაგრამა 3.1.8. იმპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში .....	84
დიაგრამა 3.2.1. მოლდოვის სავაჭრო ნაკადები, 2004-2021 წლებში .....	85
დიაგრამა 3.2.2. მოლდოვის ექსპორტი ევროკავშირში 2021 წელს, ტოპ 5 სექტორი .....	91
დიაგრამა 3.2.3. ძირითადი საექსპორტო პოზიციები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი.....	93
დიაგრამა 3.2.4. სავაჭრო ნაკადები რეგიონების მიხედვით, 2004-2021 წლებში .....	94
დიაგრამა 3.2.5. მოლდოვის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ექსპორტის მიხედვით .....	95
დიაგრამა 3.2.6. მოლდოვის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, იმპორტის მიხედვით .....	96
დიაგრამა 3.2.7. ექსპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში.....	97
დიაგრამა 3.2.8. იმპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში .....	98
დიაგრამა 3.3.1. სავაჭრო ნაკადები, 2004-2021 წლებში .....	99
დიაგრამა 3.3.2. უკრაინის ექსპორტი ევროკავშირში 2021 წელი, ტოპ 5 სექტორი .....	105
დიაგრამა 3.3.3. ძირითადი საექსპორტო პოზიციები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი.....	106
დიაგრამა 3.3.4. სავაჭრო ნაკადები რეგიონების მიხედვით, 2004-2021 წლებში .....	107
დიაგრამა 3.3.5. უკრაინის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ექსპორტის მიხედვით .....	108
დიაგრამა 3.3.6. უკრაინის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, იმპორტის მიხედვით.....	109
დიაგრამა 3.3.7. ექსპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში.....	111
დიაგრამა 3.3.8. იმპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში .....	112
დიაგრამა 3.4.1. უკრაინის ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი), 2021-2022 წლებში .....	116
დიაგრამა 3.4.2. საქართველოს და მოლდოვის ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი), 2021-2022 წლებში .....	116



## გამოყენებული აბრევიატურები

- CEFTA - ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
- DCFTA - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
- DOTS - საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის
- EaP ინდექსი - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ინდექსი
- EFTA - ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია
- EU - ევროკავშირი
- FTA - თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
- GSP/GSP+ - პრეფერენციების განზოგადებული სქემა
- IMF – საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- NAFTA - ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება
- NTMs - არასატარიფო ბარიერები
- OLS - უმცირეს კვადრატთა რეგრესიის მეთოდი
- PCA - პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება
- PEM-ის კონვენცია - პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის შესახებ რეგიონული კონვენცია
- PPML - ფსევდო პუასონის მაქსიმალური შესაძლებლობების მეთოდი
- SPS - სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები
- TBT - ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები
- UN comtrade - გაეროს სასაქონლო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზა
- WTO - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

## შესავალი

**ნაშრომის აქტუალურობა.** საერთაშორისო ვაჭრობაში, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (FTA) გავრცელების შედეგად, გაიზარდა ინტერესი მათი გავლენებისა და შედეგების დადგენის მიმართულებით. მსოფლიოში თავისუფალი რეჟიმებით ვაჭრობის წილის სწრაფი ზრდის საფუძველზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა შეთანხმებების შინაარსი და „ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს, სავაჭრო დებულებებთან ერთად, სიღრმის ასპექტი დაემატა. ამ მიმართულებით, არსებულ ლიტერატურაში, ახალი თაობის FTA-ს გავლენებთან დაკავშირებით, ხაზგასმულია, რომ ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებებს განსხვავებული გავლენები აქვს მონაწილე მხარეებზე.

ამასთანავე, ვაჭრობის საერთაშორისო ლიბერალიზაციისა და განვითარების პროცესის ნაწილი, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიერ ბაზრების გახსნა და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების შემუშავება იყო. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორს ევროკავშირი წარმოადგენს. ევროკავშირის ბაზარი აღმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ქვეყნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მე-20 საუკუნიდან იქცა. შესაბამისად, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების შედეგად, საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვასთან გაფორმებულ იქნა ასოცირების შეთანხმება, რომელიც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA) მოიცავს. ზემოაღნიშნული შეთანხმების დადება ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან იგი ევროკავშირის ქვეყნებთან სატარიფო ბარიერების გარეშე ვაჭრობას შესაძლებელს ხდის.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბაზარია, ძალიან მნიშვნელოვანია ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო რეჟიმების განვითარებისათვის ამ ბაზარზე წვდომა. სხვა ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA სატარიფო და არასატარიფო ზომების რეგულირებასთან ერთად, ასევე მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, როგორც არის ვაჭრობაში დაცვითი ზომები, პროდუქტის უსაფრთხოება და ტექნიკური ბარიერები, კონკურენციის პოლიტიკა და სხვ. შეთანხმების მიზანს ასევე, ევროკავშირის

სტანდარტებთან ქვეყნის სავაჭრო რეგულაციებისა და ინსტიტუტების დაახლოებაა. აღნიშნული კი თავის მხრივ, DCFTA-ს მეშვეობით, ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს (Silagadze & Zubiashvili, 2015:443).

საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა, 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის საპასუხოდ, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე შეტანილი განცხადების შედეგად. რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილების საფუძველზე, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი ქვეყნისათვის, ევროკავშირთან ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. ამ პროცესში უკრაინასა და მოლდოვას, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების სტატუსი მიენიჭათ, ხოლო საქართველოს პოტენციური კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. საქართველოს შემთხვევაში, 2023 წლის ბოლოს, ევროკავშირი გადახედავს ქვეყნისათვის კანდიდატობის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებას. აღნიშნული სიახლე კიდევ უფრო მნიშვნელოვანს და აქტუალურს ხდის, DCFTA-ს გავლენების დადგენის მიმართულებას და ქვეყნებს შორის სავაჭრო ინტეგრაციის გაღრმავების მაჩვენებლების შეფასებას.

**საკითხის აქტუალურობა.** საკვლევი თემის აქტუალურობა გამომდინარეობს იმ მოცემულობიდან, რომ დღესდღეობით აღნიშნული მიმართულებით ეკონომეტრიკული შეფასება ლიტერატურაში ნაკლებად არის წარმოდგენილი. არსებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე იკვეთება კვლევების ორი ძირითადი ჯგუფი. პირველი მიმართულია შეთანხმების უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკური გავლენების ანალიზისაკენ და მოიცავს სამივე ან ორი ქვეყნის ერთიან შეფასებას. მაგალითისათვის, თავის ნაშრომებში, ახვლედიანი (2021), ჩხიკვაძე, გროზა და ლიტრა (2021), ეთერია (2020), ადაროვი და ჰავლიკი (2016, 2017) აფასებენ ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს იმპლემენტაციის პროგრესსა და ეფექტიანობას საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.

კვლევების მეორე ჯგუფი მიმართულია, სავაჭრო ნაკადების განვითარების შეფასების საფუძველზე, ინდივიდუალურ ქვეყნებში DCFTA-ს გავლენის შეფასებაზე. ეს მიმართულება მოიცავს ჰელიერის (2021), მატუშაკის (2019), რაბინოვიჩის (2022), ნეხის,

დელგადოსა და კარდენეტის (2021) ეთერიას (2019, 2020), ტომშასა და ტროფინის (2021), კოვაშისა და კრუდუს (2016) ნაშრომებს. დამატებით, ორი ნაშრომი შეთანხმების შეფასებას გრავიტაციის მოდელის გამოყენების საფუძველზე ახორციელებს, მათ შორის PMC-ს კვლევა „ევროკავშირსა და ჩინეთთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ანალიზი“ (მღებრიშვილი, 2020) და ჰელიერის სტატია DCFTA-ს შედეგად უკრაინის სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე (Hellyer, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კვლევებს, DCFTA-ს ძირითადი სარგებლიანობისა და გამოწვევების დადგენის მიმართულებით, მნიშვნელოვანი და ძალიან საინტერესო შედეგები აქვს, მცირე რეგიონულ დონეზე შეთანხმების ზოგადი ეფექტიანობის შეფასების მიზნით არსებული ლიტერატურა. ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ნაშრომში არ გვხვდება თეორიული გრავიტაციის მოდელის გამოყენება სამივე ასოცირებული ქვეყნის შემთხვევაში, შეთანხმების ზოგადი ეფექტიანობის დადგენისა და ინდივიდუალური ქვეყნების შედეგების შედარების მიზნით. ამასთანავე, ის კვლევები რომელიც მოიცავს გრავიტაციის მოდელის გამოყენებას ევროკავშირთან საქართველოს, მოლდოვის ან უკრაინის ვაჭრობის ანალიზის მიმართულებით, ძირითადად ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების შეფასებას მოიცავს და მოდელში სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებისა და სავაჭრო ნაკადების გადართვის ფაქტორის ინტეგრირებას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნაკლებად არის შესწავლილი DCFTA-ს ეფექტიანობა სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის ფაქტორების მიმართულებით.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანას შორის გაფორმებული DCFTA-ს ზემოქმედება ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობებზე ევროკავშირთან. აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერიდან 9 წლის გასვლის შემდეგ, მიზანშეწონილია დადგენილ იქნას რამდენად ეფექტიანად არის გამოყენებული თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები სამ ასოცირებულ ქვეყანაში - მოლდოვაში, საქართველოსა და უკრაინაში. სამივე ქვეყანაში არსებული ვითარების ანალიზისა და შედეგების შედარების საფუძველზე შესაძლებელია იქნება DCFTA-ს ეფექტიანობის ზოგადი შეფასება, ასევე ქვეყნების გამოცდილებების გათვალისწინებით,

ძირითადი დაბრკოლებებისა და წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება.

**კვლევის მიზანი, ობიექტი, საგანი და ამოცანები.** ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, საკვლევი ნაშრომის კვლევის მიზანია ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეფექტიანობის დადგენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კვლევაში გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი შეფასების მეთოდები.

ნაშრომის ფარგლებში, ჩვენი კვლევის ობიექტი არის ევროკავშირთან საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სავაჭრო ინტეგრაცია. კვლევის საგანს კი წარმოადგენს, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მიერ ევროკავშირთან სავაჭრო ლიბერალიზაციის სამართლებრივი ჩარჩო და მხარეებს შორის საქონლით ვაჭრობის მაჩვენებლები.

ახალი თაობის, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანობაზე არსებულ ლიტერატურაში იდენტიფიცირებული ფაქტორების გათვალისწინებით, კვლევის მიზნის მისაღწევად, განვსაზღვრეთ შეფასების სამი მიმართულება, რის საფუძველზეც მოვახდინეთ DCFTA-ს ეფექტიანობის ანალიზი. პირველი მიმართულება მოიცავს ქვეყნების მიერ გაფორმებული შეთანხმებების დებულებებისა და იმპლემენტაციის შედარებით ანალიზს. მეორე, შეთანხმების მხარეების სავაჭრო ტენდენციების იდენტიფიცირებას და სავაჭრო ნაკადების ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზს. ხოლო მესამე მიმართულება, საქართველო-ევროკავშირის, მოლდოვა-ევროკავშირის და უკრაინა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე შეთანხმების ex-post გავლენის დადგენას, სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის გამოყენებით.

DCFTA-ს სამართლებრივი შეფასებისა და დაახლოების მაჩვენებლების ანალიზისათვის, დავისახეთ შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების ანალიზი და ძირითადი განსხვავებების იდენტიფიცირება;

- ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს იმპლემენტაციის შეფასება და დაახლოების დონეების შედარება ქვეყნებს შორის.

სავაჭრო ურთიერთობების ტენდენციებისა და DCFTA-ს გავლენების განმაპირობებელი ფაქტორების დადგენის მიზნით, დასახულ იქნა ქვემოთ მოცემული ამოცანების შესრულება:

- 2004-2021 წლებში, ევროკავშირთან ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების, ექსპორტის დივერსიფიცირების მაჩვენებლებისა და შეთანხმებამდე და შეთანხმების ამოქმედების შემდეგ არსებული დინამიკის შედარება;
- სავაჭრო ნაკადების გადართვის ეფექტის ანალიზისათვის, ქვეყნების სავაჭრო კონტექსტის ანალიზი და ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სხვა ძირითად პარტნიორებთან სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი.

ნაშრომის მესამე მიმართულების, DCFTA-ს ეფექტიანობის ეკონომეტრიკული შეფასებისა და შეთანხმების გავლენის დადგენის მიზნით, იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- შეთანხმების სარგებლიანობის შეფასება, სავაჭრო ნაკადების (ექსპორტი/იმპორტი) შექმნის და სავაჭრო ნაკადების გადართვის ეფექტების გათვალისწინებით.
- შეთანხმების ზემოქმედების შედარება ქვეყნების მიხედვით და ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების გამოვლენა.
- DCFTA-ს ინსტრუმენტის ეფექტიანობის შეფასება რეგიონულ დონეზე.

ევროკავშირთან სავაჭრო ლიბერალიზაციის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის მიმართულებით დასახული ამოცანების შესასრულებლად, გაანალიზებულია DCFTA-ს ვაჭრობის კომპონენტი და სიღრმის ასპექტები. გავლენის შეფასებისთვის გამოყენებულია ორი ფაქტორი სავაჭრო ლიბერალიზაცია (სატარიფო ბარიერების გაუქმება) და არასატარიფო ბარიერების მიმართულება. ასევე შეთანხმების ეფექტიანობის დადგენისათვის, გამოკვლეულია ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლები და მათი შესაძლო გავლენა სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე. ამ მიმართულებით, გამოვიკვლიეთ ის სექტორები, რომელიც

ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებაზე, მათ შორის შეთანხმების დებულებები სატარიფო ბარიერების, საბაჟო რეგულაციების, პან-ევრო ხმელთაშუაზღვის კონვენციასთან (PEM-ის კონვენცია) შეერთების, არასატარიფო ბარიერების (ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები) და ვაჭრობაში დაცვითი ზომების მიმართულებები.

სავაჭრო ტენდენციებისა და DCFTA-ს გავლენის განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენის მიმართულებით შემუშავებული ამოცანების შესრულების მიზნით, გაანალიზებულ იქნა ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში შეთანხმების გაფორმებამდე და შეთანხმების შემდეგ არსებული საგარეო ვაჭრობის თავისებურებები. შესწავლილ იქნა ასოცირებული ქვეყნის ევროკავშირის ქვეყნებთან და ძირითად პარტნიორებთან სავაჭრო ნაკადების(იმპორტი/ექსპორტი) მაჩვენებლები, კეროდ ძირითადი საექსპორტო პროდუქტები, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ HS ორნიშნა კოდის დონეზე საექსპორტო პოზიციების განვითარების ტენდენციები და ბოლოს, განვახორციელეთ ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების შედარებითი ანალიზი.

მესამე მიმართულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის კი გამოვიყენეთ საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურული გრაფიტაციის მოდელი. ლიტერატურაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, შევიმუშავეთ ასოცირებული ტრიოს ქვეყნების კონტექსტზე მორგებული თეორიული გრაფიტაციის მოდელი და მოვახდინეთ მისი გამოყენება საქართველოზე, მოლდოვასა და უკრაინაზე.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის კომბინირებული მეთოდები, როგორც კვლევის თვისებრივი მეთოდები, ასევე წარმოდგენილია რაოდენობრივი ანალიზიც.

სადოქტორო ნაშრომში კვლევის მთავარ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტად სტრუქტურული გრაფიტაციის მოდელია წარმოდგენილი. აღნიშნული მოდელის გამოყენებით, განსაზღვრულია DCFTA-ს ex-post გავლენა სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე. საგარეო ვაჭრობის რაოდენობრივი შეფასების მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს, სწორად გრაფიტაციის მოდელი წარმოადგენს. მოდელში ქვეყნებს შორის ვაჭრობასა და ამხსნელ ცვლადებს შორის

ურთიერთდამოკიდებულების შეფასებისათვის გამოყენებულია ეკონომეტრიკული ინსტრუმენტები. ორი ყველაზე გავრცელებული ამხსნელი ცვლადი ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტი და მათ შორის მანძილია. თუმცა მოდელის განვითარებასთან ერთად ბევრი სხვა ფაქტორის, მათ შორის გეოგრაფიული, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების, ინტეგრირება გახდა შესაძლებელი. ხაზგასასმელია, რომ ბოლო დროს გრავიტაციის მოდელში, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ცვლადების ინტეგრირება მოხდა, რის საფუძველზეც შესაძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენების ეკონომეტრიკული შეფასება. (Derosa, 2007, გვ.1), რამაც შესაბამისად, გრავიტაციის მოდელის სადოქტორო კვლევის თეორიულ ჩარჩოდ განსაზღვრა გამოიწვია, ერთის მხრივ, მოდელის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის მიმართულებით ფართო გავრცელებისა და მეორე მხრივ, ასოცირების ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების შეფასებისთვის აღნიშნული მოდელის ნაკლებად აქტიურად გამოყენების ფაქტორებმა.

კვლევაში, ახალი თაობის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანობისა და გავლენების განსაზღვრისათვის, გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი. კერძოდ, ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებების შესწავლისათვის ასოცირებული ტრიოს ქვეყნებთან ევროკავშირის მიერ გაფორმებული DCFTA შევარჩიეთ. დამატებით, ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის მეთოდები, ინდივიდუალურ ქვეყნებში გაფორმებული შეთანხმებების სამართლებრივ და სავაჭრო გავლენებში განსხვავებებისა და მათი განმაპირობებელი ფაქტორების დადგენის მიზნით.

თვისებრივი კვლევის მიმართულებით, გამოყენებულია სამეცნიერო კონტენტანალიზი. აღნიშნული მეთოდი გამოყენებულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისა და ევროკომისიის ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის ანგარიშების ანალიზისათვის. ქვეყნების მიერ გაფორმებული შეთანხმებების სავაჭრო დებულებების ანალიზის და მათი შედარების საფუძველზე, შეთანხმებების „სიღრმის“ ასპექტის გავლენების განსაზღვრისა და აღებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლების დადგენის შედეგად, შეფასებულია ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში



DCFTA-თ გათვალისწინებული შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების წინაპირობები. სამაგიდო კვლევის მეთოდის გამოყენებით, გაანალიზებულია ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA-ს დებულებები ვაჭრობის კომპონენტისა და სიღრმის ასპექტების მიმართულებით, ასევე, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის ანგარიშები.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მტკიცებულებების შეფასებისათვის, დავადგინეთ სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელების სტატუსი ვაჭრობასთან დაკავშირებულ შესაბამის სფეროებში. მიგნებების კონტექსტუალიზაციის მიმართულებით, გამოვყავით სავაჭრო ლიბერალიზაციისა და სიღრმის ასპექტის დებულებების მიმართულებით არსებული განსხვავებები და ასოცირების შეთანხმების სავაჭრო კომპონენტის იმპლემენტაციის პროგრესი.

ნაშრომი ეფუძნება ეკონომიკური და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის მეთოდებს, რომელთა დამუშავებისთვის გამოყენებულია, დაკვირვების, შეგროვების, კლასიფიკაციის, დაჯგუფების და ანალიზის სტატისტიკური მეთოდები. სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის მიმართულებით არსებულ ლიტერატურაში იდენტიფიცირებული სავაჭრო ინდიკატორების გამოყენების საფუძველზე, შევაფასეთ ქვეყნების სავაჭრო კონტექსტი, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საგარეო ვაჭრობის განვითარება, როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან, ასევე სხვა ძირითად პარტნიორებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ინდიკატორები:

- ექსპორტ/იმპორტის ზრდა;
- ექსპორტ/იმპორტის საბაზრო წილი;
- საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული განაწილება;
- ძირითადი საექსპორტო პოზიციები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** სადოქტორო ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია DCFTA-სა და „ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენებზე არსებული ლიტერატურის განვითარების

კუთხით. გამოვლენილია და ჩამოყალიბებულია კვლევის მეცნიერული სიახლე რამდენიმე ძირითადი მიმართულებით.

თეორიულ და მეთოდოლოგიურ სიახლის მიმართულებით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანობის დადგენისათვის გაანალიზებულია სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის შემუშავებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული ასპექტები. კერძოდ, კვლევის ფარგლებში შემუშავებულია საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის კონტექსტზე მორგებული, თეორიულ ლიტერატურაზე დაფუძნებული, გრავიტაციის მოდელის განტოლება. ამასთან, ეკონომეტრიკული მოდელის შემუშავების პროცესში, გათვალისწინებულ იქნა სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის განვითარებასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში წარმოდგენილი რეკომენდაციები. მოდელის სიზუსტის გაზრდისათვის, ნაშრომებში არსებულ ვაჭრობის განმსაზღვრელ ცვლადებთან ერთად (დისტანცია, საერთო საზღვარი, საერთო ენა და სხვა ისტორიული კავშირები), დამატებულია საბჭოთა კავშირის წევრობის ცვლადი, რომლის გავლენის დადგენა აღნიშნული ქვეყნების სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე, მეთოდოლოგიურად სიახლეს წარმოადგენს.

ასევე, გრავიტაციის მოდელის გამოყენებით, DCFTA-ს შეფასების მიმართულებით, სიახლეს წარმოადგენს, განტოლებაში სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის ფაქტორების ინტეგრირება.

მეთოდოლოგიის განვითარების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ კვლევაში გამოყენებულია გრავიტაციის მოდელის განსხვავებული ვარიაციები, რომელიც თეორიული და ინტუიციური მოდელების მახასიათებლებზეა დაფუძნებული. კვლევის შედეგებში სტრუქტურული და ინტუიციური მოდელის შედარების საფუძველზე, გამოვლენილია თეორიული გრავიტაციის მოდელის გამოყენების საჭიროება უფრო ზუსტი შედეგების მისაღებად.

DCFTA-ს ემპირიული შეფასება: კვლევაში სიახლეს წარმოადგენს სამივე ქვეყნის DCFTA-ს ერთიანი მეთოდოლოგიით შეფასება, რომელიც ასევე საზღვრავს შეთანხმების გავლენას, ხელმომწერ ქვეყნებში სავაჭრო ნაკადების გადართვის ფაქტორზე. თეორიული

მოდელის გამოყენებით შეფასებული ex-post გავლენა წარმოადგენს შეთანხმების საშუალოვადიანი ეფექტიანობის განსაზღვრის საფუძველს.

DCFTA-ს ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი: ლიტერატურაში ნაკლებად არის შესწავლილი, DCFTA-ს გავლენების მიმართულებით არსებული განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, ასევე რეგიონის დონეზე სავაჭრო ლიბერალიზაციის ინსტრუმენტის ზოგადი გავლენა. შესაბამისად, კვლევაში, ქვეყნებში DCFTA-ს ეფექტიანობის შედარებისა და ძირითადი განსხვავებების იდენტიფიცირება, როგორც შეთანხმებების დებულებებისა და იმპლემენტაციის მაჩვენებლების, ასევე ვაჭრობაზე გავლენის მიმართულებით, მნიშვნელოვანია ამ თემაზე არსებული ლიტერატურის განვითარებისათვის.

სავაჭრო ნაკადების დივერსიფიცირება: კვლევაში შეთანხმების შედეგად სავაჭრო ნაკადების განვითარების ანალიზი, როგორც პროდუქტის, ასევე ახალი საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიმართულებით, მნიშვნელოვანია მიღებული შედეგებიდან გამომდინარე. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, არსებული სავაჭრო პოზიციებისა და საექსპორტო ბაზრების შენარჩუნება, შეთანხმების სუსტი გავლენის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. რაც ქვეყნებში, DCFTA-ით წარმოდგენილი შესაძლებლობების არაეფექტიან გამოყენებაზე მიუთითებს.

სავაჭრო ურთიერთობები სხვა ძირითად პარტნიორებთან: ლიტერატურაში DCFTA-ს შეფასების მიმართულებით წარმოდგენილი კვლევების ძირითადი ნაწილი, ქვეყნების ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ მიმართულებით, ნაკლებად არის შესწავლილი ქვეყნების ზოგადი სავაჭრო კონტექსტის განვითარების მნიშვნელობა, ევროკავშირთან ურთიერთობების მიმართულებით. კვლევაში წარმოდგენილია, შესწავლის პერიოდში, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები და მახასიათებლები სხვა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან. ასევე, განხილულია მათი გავლენა ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებაზე. შესაბამისად, კვლევა წარმოადგენს, უფრო ფართო სპექტრით სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებისა და სავაჭრო შეთანხმებების ეფექტიანობაზე გარე ფაქტორების გავლენის მიმართულებით დანახვის შესაძლებლობას.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში წარმოდგენილი მეთოდოლოგიური სიახლეები და ასოცირებული ტრიოს ქვეყნების DCFTA-ს შედარებითი ანალიზი, ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებებისა და მათ ეფექტიანობის მიმართულებით არსებული ცოდნის განვითარების საფუძველია. კვლევაში გამოვლენილი განსხვავებული შედეგები სამივე ქვეყნის შემთხვევაში, ასევე სავაჭრო ნაკადების (ექსპორტი/იმპორტი) დონეზე სარგებლიანობის განსხვავებული მაჩვენებლების და რეგიონულ დონეზე შედარებით სუსტი გავლენები, შესაბამისობაშია ლიტერატურაში არსებულ მიგნებებთან.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა.** DCFTA-ს გავლენის განსაზღვრისათვის, კვლევის ფარგლებში შემუშავებული ეკონომეტრიკული მოდელი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოსა და დანარჩენი ორი ქვეყნის მიერ გაფორმებული სხვა სავაჭრო შეთანხმებების ეფექტიანობის ანალიზისათვის. მოცემული ნაშრომი მკვლევარებსა და სტუდენტებს სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის გამოყენებაში დაეხმარება და ნათლად აჩვენებს, სავაჭრო ნაკადებზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების შეფასების პროცესში თეორიული მოდელის გამოყენების სარგებლიანობას.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებებისა და ვაჭრობის განვითარების ფაქტორების გათვალისწინებით, შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა დაკავშირებულია ამ მიმართულებით მისი გამოყენების შესაძლებლობებთან. ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები და DCFTA-ს გავლენის მაჩვენებლები, ასევე სადისერტაციო ნაშრომში იდენტიფიცირებული დამატებითი კვლევების მიმართულებები, შეიძლება გამოყენებულ იქნას DCFTA-ს საკითხებით დაინტერესებული პირებისა და სამეცნიერო ნაშრომებზე მომუშავე მკვლევარების მიერ. ამასთან, DCFTA-ს გავლენებისა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, სავაჭრო პოლიტიკის შემქმნელებს დაეხმარება, DCFTA-ს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიმართულებით, პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში საყურადღებო მიმართულებების იდენტიფიცირებაში.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი მოიცავს შესავლს, ოთხ თავს (ცხრამეტი ქვეთავი), დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის სიასა და ოთხ დანართს. ჯამში დისერტაცია გადმოცემულია 159 გვერდზე.

ნაშრომის პირველ თავში, განხილულია გრავიტაციის მოდელის განვითარებასთან, DCFTA-ს ეფექტიანობასა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გავლენის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. §1.1-ში შესწავლილია ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებების მნიშვნელობასა და გავლენების დადგენასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. იდენტიფიცირებულია, შეთანხმებების ის ძირითადი დებულებები, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს, მხარეებს შორის სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე. წარმოდგენილია, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანობის შეფასების პროცესში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გათვალისწინების მნიშვნელობა. §1.2-ში წარმოდგენილია გრავიტაციის მოდელის თეორიული საფუძვლების განვითარებასთან დაკავშირებული ლიტერატურა და გამოვლენილია აღნიშნული მოდელის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენების შეფასების მიმართულებით გამოყენების საუკეთესო გზები. §1.3-ში შეჯამებულია DCFTA-ს გავლენების შესახებ არსებული ლიტერატურა და იდენტიფიცირებულია, რომ კვლევების შედეგებით, DCFTA-ს შედარებით სუსტი გავლენები ვლინდება. §1.4-ში ახალი თაობის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების, მათი ეფექტიანობის შეფასებისა და DCFTA-ს გავლენებზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, შემუშავებულია სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური ჩარჩო.

დისერტაციის მეორე თავში, განხილულია, ასოცირებული ქვეყნების ევროკავშირთან სავაჭრო ინტეგრაციის განვითარების მახასიათებლები, DCFTA დებულებების ვაჭრობის კომპონენტი და სიღრმის ასპექტი (§2.1-§2.4). ვაჭრობის კომპონენტი სატარიფო ბარიერების, წარმოშობის წესებისა და PEM-ის კონვენციასთან შეერთების მიმართულებების შეფასებაზე, ხოლო სიღრმის ასპექტი არასატარიფო ბარიერების მიმართულებით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებაზეა მიმართული. §2.5-ში ქვეყნების მიერ DCFTA-ს სავაჭრო დებულებების იმპლემენტაციის

მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, §2.6-ში წარმოდგენილია ქვეყნებში გაფორმებული შეთანხმებების შედარებითი ანალიზი, იდენტიფიცირებულია, შეთანხმებით გათვალისწინებული სავაჭრო ლიბერალიზაციის ძირითადი განსხვავებები და შედარებულია შეთანხმების იმპლემენტაციის მაჩვენებლები.

მესამე თავში, გაანალიზებულია სავაჭრო ნაკადების დინამიკა შეთანხმების წევრებთან და სხვა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან. როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. §3.1.-ში განხილულია საქართველოს ვაჭრობა, როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან, ასევე სხვა ძირითად პარტნიორებთან. 3.2. და 3.3. ქვეთავებში, შესაბამისად მოლდოვისა და უკრაინის საგარეო ვაჭრობის განვითარების ანალიზია წარმოდგენილი. მეოთხე ქვეთავში კი, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია DCFTA-ს ეფექტიანობაზე გავლენის მქონე ფაქტორები და ამ მიმართულებებით არსებული გამოწვევები.

მეოთხე თავი, სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის შედეგების განხილვას მოიცავს. 4.1. ქვეთავში წარმოდგენილია გამოყენებული ეკონომეტრიკული მოდელი. 4.2-4.4 ქვეთავებში განხილულია საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის DCFTA-ს გავლენების შეფასების შედეგები, გამოვლენილია შეთანხმების ეფექტიანობა მთლიანად ვაჭრობის მიმართულებით, ასევე ცალკე ექსპორტსა და იმპორტზე. დამატებით შეფასებულია შეთანხმების ეფექტიანობა სავაჭრო ნაკადების გადართვის ფაქტორის გათვალისწინებით. ბოლო ქვეთავში, მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია შეთანხმების განსხვავებული შედეგები და სამივე ასოცირებულ ქვეყანაში შეთანხმების ერთიანად შეფასების საფუძველზე, რეგიონულ დონეზე DCFTA-ს სუსტი გავლენებია იდენტიფიცირებული.

## **თავი I. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენის შეფასების თეორიული საფუძველები და მეთოდოლოგიური ჩარჩო**

სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენილი თავის მიზანია, საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ორი მიმართულებით მიმოხილვა. პირველი მიმართულება მოიცავს, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანობაზე არსებული თეორიული ნაშრომების შესწავლას, კვლევისათვის რელევანტური თეორიული ჩარჩოსა და მეთოდოლოგიის შემუშავებისათვის. მეორე, მიმართულება ორიენტირებულია DCFTA-ს გავლენების შეფასების მიმართულებით არსებული ლიტერატურის განხილვაზე, პოტენციური ეფექტების შეფასებასა და ლიტერატურაში არსებული ხარვეზების და კვლევის საჭიროების გამოვლენაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველი ნაწილში განხილულია „ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების განვითარების და მახასიათებლების გარშემო არსებული თეორიული ნაშრომები. მეორე ნაწილი მიმართულია სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის და ნაშრომის თეორიული ჩარჩოს განვითარებისათვის გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვაზე. მესამე ნაწილში კი, DCFTA-ს ეფექტიანობის შეფასების მიმართულებით არსებული კვლევები არის განხილული, რის საფუძველზეც წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომში იდენტიფიცირებული პრობლემების შეფასების საჭიროება. ზემოთ ხსენებული საკითხების გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, შემუშავებულია სადისერტაციო თემის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც მოცემული თავის ბოლო ნაწილშია წარმოდგენილი.

### **1.1. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების მნიშვნელობა და ახალი**

#### **თაობის სავაჭრო შეთანხმებები**

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების (FTA) გავრცელების ტენდენცია დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი და შეუქცევადი მახასიათებელია. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების რაოდენობის ზრდის შედეგად კი, მეცნიერების შესწავლის საგნად აღნიშნული პრეფერენციების სარგებლიანობა, ვაჭრობაზე, ზრდასა და შეთანხმების ხელმომწერ და მესამე მხარეების კეთილდღეობაზე

გავლენა იქცა. თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2000-იანი წლებიდან, შეთანხმებების რაოდენობისა და მსოფლიოში პრეფერენციული რეჟიმებით ვაჭრობის წილის სწრაფი ზრდის საფუძველზე, შეიცვალა და განვითარდა შეთანხმებების დებულებებიც. აღნიშნული ცვლილების ერთ-ერთი მახასიათებელი კი შეთანხმებებისთვის სიღრმის ასპექტის გაფართოებას უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ცვლილება ხშირად შეუმჩნეველი რჩება ლიტერატურაში. აღსანიშნავია ისიც, რომ 1990-იან წლებამდე სავაჭრო შეთანხმებები ტარიფების შემცირებაზე იყო ორიენტირებული, ხოლო უკანასკნელ წლებში, შეთანხმებები ტარიფების დებულებებს სცდება და უფრო ფართო პოლიტიკის რეგულაციაზეა ორიენტირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ახალი შეთანხმებების შინაარსზე სისტემური ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი ეკონომიკური ინსტრუმენტებით მათი შესწავლა (Hofmann et al, 2017, გვ.5). მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული კვლევები, სწორად წარმოდგენილი მიმართულებების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად.

მსოფლიო ბანკის ანალიტიკური კვლევაში, შექმნილია მონაცემთა ბაზა, რომელშიც წარმოდგენილია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ახალი დებულებების დეტალური შეფასება. ამასთანავე, ნაშრომში მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, შემოთავაზებულია დროთა განმავლობაში პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების ცვლილების და ახალი სფეროების „ჰორიზონტალური სიღრმის“ ასპექტის დამატების ტენდენციები. (Hofmann et al, 2017, p.1). ახალი თაობის შეთანხმებების შეფასების პროცესში, უფრო სრული და ზუსტი ანალიზისთვის, აუცილებელია, სტრუქტურული ცვლილებებისა და ე.წ. ჰორიზონტალური სიღრმის ფაქტორების გათვალისწინება.

წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის მიხედვით, პრეფერენციული ვაჭრობის შეთანხმებების შეცვლილი მახასიათებლები, სატარიფო ბარიერების შემცირებასთან ერთად, მოიცავს სამართლებრივად სავალდებულო რეგულაციებს სხვადასხვა პოლიტიკის სექტორებში, რომელიც WTO-ს დებულებებშია გათვალისწინებული. ეს დებულებები „WTO+“-ს სახელით არის ცნობილი და საბაჟო რეგულაციებს, ექსპორტის გადასახადებს, ანტიდემპინგს, ვაჭრობაში დაცვით ზომებს, სანიტარული და



ფიტოსანიტარული სტანდარტების (SPS), ასევე ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებისა მიმართულებებს მოიცავს. დამატებით, შეთანხმებებში გათვალისწინებულია WTO-ს მანდატს გარეთ არსებული საკითხებიც, როგორც არის ინვესტიციები, გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სხვ. (Hofmann et al, 2017 გვ.5). აღნიშნული სიახლის გათვალისწინებით, საჭიროა DCFTA-ში წარმოდგენილი დებულებების სიღრმის ასპექტის ანალიზი.

დამატებით, მსოფლიო ბანკის „ღრმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების სახელმძღვანელოში“ დეტალურად არის წარმოდგენილი ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც ახალ შეთანხმებებში არის გათვალისწინებული. ზოგადად, შეთანხმებების შეფასება ბაზარზე წვდომის ფაქტორის გათვალისწინებით ხდება. თუმცა, ამასთანავე მნიშვნელოვანია კვლევაში წარმოდგენილი ძირითადი პოლიტიკის მიმართულებების განხილვაც. კვლევის მიხედვით, იდენტიფიცირებულია რეგულირების სამი სფერო:

- ძირითადი პოლიტიკის მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს ხუთი სფეროს ეკონომიკური ინტეგრაციის უფლებას: ტარიფების და ექსპორტის გადასახადები; სერვისებით ვაჭრობა; ინვესტიციები და კაპიტალის მიმოქცევა; ვიზა ლიბერალიზაცია და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.
- მეორე მიმართულება მოიცავს მთავრობის დისკრეციის საკითხებს და დებულებებს, რომელიც ზღუდავს საერთაშორისო ნაკადებს. ამ კატეგორიაში გათვალისწინებულია საბაჟოს, წარმოშობის წესების, ვაჭრობაში დაცვითი ზომების, საჯარო შესყიდვების, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების (SPS), სახელმწიფო საწარმოების, სუბსიდიების და კონკურენციის პოლიტიკის საკითხები.
- მესამე მიმართულება კი, სოციალური და მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდაზეა მიმართული, რაც გარემოსდაცვითი და შრომის უფლებების ვალდებულებებს მოიცავს (Mattoo, Rocha, & Ruta, 2020, გვ. 9)

ზოგადად, ახალი ტიპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ძირითადი დებულებების იდენტიფიცირება დამოკიდებულია შესწავლის საგანზე და სხვადასხვა მეთოდებზე არის შესაძლებელი. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, DCFTA-ს მნიშვნელოვან ასპექტებად ლიტერატურაში WTO+-ის სახელით ცნობილი

მიმართულებებია გამოყოფილი. კერძოდ, კი ანალიზის პროცესში შესწავლილია ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, საბაჟო რეგულაციების და ვაჭრობაში დაცვითი ზომების მიმართულებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს საქონლით ვაჭრობის განვითარებაზე.

ახალი სავაჭრო შეთანხმებების საკითხის შესწავლის მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია იმ ნაშრომების განხილვა, რომელიც ევროკავშირის განახლებული საგარეო ვაჭრობის პოლიტიკისა და ახალი ეპოქის შეთანხმებების შეფასებას ისახავს მიზნად.

ლიტერატურაში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების სარგებლიანობასა და საჭიროებაზე არსებული კონსესუსის მიუხედავად, თავის ნაშრომებში დანი როდრიკი განიხილავს თანამედროვე სავაჭრო შეთანხმებების ბუნების ცვლილებებს და სხვადასხვა მხარეებსა და მონაწილეებზე აღნიშნული შეთანხმებების სარგებლის გადანაწილების საკითხებს. დღეს არსებული შეთანხმებების მიზანს არ წარმოადგენს მხოლოდ ვაჭრობის შეზღუდვების აღმოფხვრა, როგორც არის ტარიფებისა და კვოტების გაუქმება. არამედ, თანამედროვე სავაჭრო შეთანხმება ადგილობრივ დონეზე, შესაბამისი რეგულაციების, სტანდარტების, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების წესების, ინვესტიციების პოლიტიკის და სხვა ბევრი მიმართულების ჰარმონიზაციას მოიცავს. ავტორი მიიჩნევს, რომ მსგავსი შეთანხმებები შეიძლება იყოს ორმხრივად მომგებიანი ან კეთილდღეობისა და სარგებლიანობის გადანაწილებაზე ნეგატიური გავლენის მქონე. თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ახალი შესაძლებლობები კიდევ უფრო ართულებს, მათი ეკონომიკური შედეგების ანალიზს ტრადიციული ეკონომიკური თეორიის საფუძველზე (Rodrik, 2018, p.74-76). აღნიშნული ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, კვლევების დიდი რაოდენობა FTA-ს ეკონომიკური გავლენისა და ეფექტიანობის დადგენაზეა მიმართული.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს ამ მიმართულებით, სტეფან გილერის წიგნი „მეგა რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები: CETA, TTIP და TISA: ახალი ორიენტაციები ევროკავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებისთვის“ წარმოადგენს, რომელშიც ერთი თავი სწორად ახალი ეპოქის სავაჭრო შეთანხმებებთან დაკავშირებული

შესაძლებლობების შეფასებაზეა მიმართული. ნაშრომში განხილულია მსგავსი შეთანხმებების გარშემო არსებული დებატები და შეთანხმებების ეკონომიკური სარგებელი, საჯარო მომსახურებისა და მდგრადი განვითარების მიმართულებები. ავტორი მიიჩნევს, რომ არც შეთანხმების მომხრეები და არც მოწინააღმდეგეები არ წარმოდგენენ ახალი თაობის შეთანხმებების სიღრმისეულ შეფასებას (Griller, Obwexer & Vranes, 2017). აღნიშნული კვლევა ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებების ეფექტიანობისა და სარგებლიანობის უფრო სიღრმისეული შეფასების საჭიროებაზე მიუთითებს.

დამატებით გსტოლისა და ჰანფის სტატიაში (2014, გვ. 2-14), განხილულია ლისაბონის შეთანხმების შემდგომ ევროკავშირის ერთიანი კომერციული პოლიტიკის გავლენები. ევროკავშირის სავაჭრო სტრატეგია მიმართულია ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე და ემხრობა „ახალი თაობის“ სავაჭრო შეთანხმებების ხელმოწერას. ეს შეთანხმებები მოიცავს, როგორც WTO+ დღის წესრიგს, ასევე ნორმატიულ საკითხებს (ადამიანის უფლებები, სოციალური განხრა და მდგრადი განვითარება). ამდენად, „გლობალური ევროპის“ სტრატეგია ნათლად აჩვენებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ხელს უწყობს უფრო სწრაფ ლიბერალიზაციასა და ინტეგრაციას, იმ საკითხების დაფარვით, რომელთა განხილვა მულტილატერალური დისკუსიის ფორმატში სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ევროკავშირისთვის, ახალი თაობის შეთანხმებების გამოყენების მიზანი, ღრმა ინტეგრაციის სფეროებში, საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების ხელშეწყობაა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ევროპულ სტანდარტთან შესაბამისი წესების შემუშავებას უზრუნველყოფს.

შეჯამების სახით, ნაშრომში განხილულია ლისაბონის შეთანხმების შემდგომი შეთანხმებების შერეული, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. WTO+-ის ამბიციური სავაჭრო დღის წესრიგის ინტეგრირება უფრო პატარა და განვითარებადი ქვეყნებისათვის შესაძლოა ლიბერალიზაციის დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცეს. სხვა ნაშრომების მსგავსად, წარმოდგენილ კვლევაშიც ხაზგასმულია, მონაწილე მხარეებზე ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებების განსხვავებული გავლენები.

ლიტერატურაში იდენტიფიცირებული არა ერთი ნაშრომი, ახალი თაობის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადებით გავლენაზე ამახვილებს ყურადღებას. მათ შორის, მაკარენკოსა და ჩერნიკოვას სტატიაში, ავტორები განიხილავენ „ახალი თაობის“ სავაჭრო შეთანხმებების განვითარების პროცესს ევროკავშირში და აფასებენ ახალი მიდგომების შემცველი დებულებების გავლენებს. იმის დასადგენად, თუ რა გავლენა აქვს ახალ მიდგომებს ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკასა და მსოფლიო სავაჭრო სისტემაზე, განხილულია ევროკავშირის, კანადასთან, სინგაპურთან და სამხრეთ კორეასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის ახალი თაობის შეთანხმებები უნიკალური ინსტრუმენტია და მიზნად ისახავს, სავაჭრო სამართლის წესების გაუმჯობესებას, როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ დონეზე (Makarenko & Chernikova, 2021, გვ.109-122).

ასევე, ღრმა შეთანხმებების დადებითი გავლენები იდენტიფიცირებულია ორფიზისა და როჩას ნაშრომში. სტატიაში განხილულია ღრმა ინტეგრაციისა და წარმოების ქსელების ვაჭრობას შორის ურთიერთდამოკიდებულება. ღრმა ინტეგრაციისთვის შემუშავებულია პრეფერენციული შეთანხმებებში დაფარული საკითხების ინდიკატორები. გრავიტაციის მოდელის გამოთვლებით კი ღრმა შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, წევრ ქვეყნებს შორის წარმოების ქსელებით ვაჭრობა თითქმის 12 პროცენტით იზრდება (Orefice, G.& Rocha, 2013).

ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებების განხილვისას, მნიშვნელოვანია მატუს, მულაბდიჩის და რუტას (2017, გვ.4) მოსაზრებების განხილვა. ავტორებს მიაჩნიათ, რომ სავაჭრო შეთანხმების სიღრმე განსაზღვრავს მესამე ქვეყნებთან მხარეების ურთიერთობას. ღრმა შეთანხმებებს ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნის ეფექტი აქვთ, ხოლო შედარებით ზედაპირულის შედეგები სავაჭრო ნაკადების გადართვასთან არის დაკავშირებული. გრავიტაციის მოდელის გამოყენებით, ავტორებმა დაადგინეს, რომ ღრმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა აქვთ წევრებს შორის ვაჭრობაზე. კერძოდ, მოდელის შედეგებით ღრმა შეთანხმების შედეგად ვაჭრობა წევრებს შორის საშუალოდ 44% იზრდება. ტარიფებისა და შეთანხმებების მუნჯი ცვლადის გათვალისწინების საფუძველზე, მოდელის შედეგებით გამოვლინდა რომ

შეთანხმებები ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია, მესამე ქვეყნებთან არსებულ სავაჭრო ურთიერთობებზე, ახალი თაობის სავაჭრო შეთანხმებების გავლენების შეფასების გათვალისწინებით.

იდენტიფიცირებულ დადებით შედეგებთან ერთად, არსებული კვლევების ნაწილში, განხილულია ღრმა შეთანხმებებთან დაკავშირებული გამოწვევები და მათი არაერთგვაროვანი გავლენები ვაჭრობაზე. მათ შორის, ედერინგტონისა და რუტას ნაშრომში (2016, გვ.22-29), განხილულია ახალი თაობის შეთანხმებებში არასატარიფო ბარიერების (NTMs) გათვალისწინების მნიშვნელობა და გავლენები ვაჭრობაზე. კვლევის შედეგების მიხედვით, არასატარიფო ბარიერები, ტარიფებზე მეტად აფერხებენ ვაჭრობას მსოფლიოში. ასევე აღნიშნულ ზომებს უფრო დიდი გავლენა სოფლის მეურნეობის პროდუქტზე აქვს. საშუალოდ არასატარიფო ბარიერები აორმაგებენ ვაჭრობის შეზღუდვის მაჩვენებლებს.

კიდევ ერთი კვლევა, სისტემურად სწავლობს ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმებების სავაჭრო გავლენებს. ზოგადი შეფასებით შეთანხმებებს დადებითი გავლენა აქვს ვაჭრობის განვითარებაზე. კვლევაში აღნიშნულია, რომ ვაჭრობის განვითარება პროდუქტის დიფერენცირების საფუძველზე ხდება (extensive margin), თუმცა ამავდროულად მცირდება ვაჭრობის ინტენსიურობა (intensive margin). აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში, კუმულაციური ეფექტი დადებითია, როგორც ექსპორტისთვის, ასევე იმპორტისთვის (Soete & Hove, 2017).

თანამედროვე მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები განვითარების და ახალი თაობის შეთანხმებების ჩამოყალიბების პროცესის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, ნათელია ახალი დებულებების გავლენა მხარეებს შორის ვაჭრობის განვითარებაზე. ავტორთა ნაწილი, მიიჩნევს, რომ ახალი თაობის შეთანხმებები ნაკლებად ეფექტიანია, მეორე ნაწილი კი, აღნიშნული შეთანხმებების დადებით მხარეებსა და ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობაზე ამახვილებს ყურადღებას.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სავაჭრო შეთანხმებების ესეთი მკვეთრი ცვლილების შედეგად შეიცვალა შეთანხმებების მიზნები და მახასიათებლები.

ამასთანავე, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე იკვეთება დამატებითი კვლევების საჭიროება, აღნიშნული შეთანხმებების ახალი დებულებების გავლენებთან დაკავშირებით.

აღნიშნული მიმართულებით, არსებულ ლიტერატურაში, ფართოდ არის გამოყენებული სავაჭრო ნაკადების განვითარების შეფასების საფუძველზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიანობის დადგენის მიმართულება და ის ძირითადი ფაქტორები რომელიც განსაზღვრავს ამ გავლენას. სტივენსი, ირფანი, მასა და კენანი განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენაზე არსებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, ამ მიმართულებით, რამდენიმე ძირითად ფაქტორს გამოყოფენ. მათ შორის მნიშვნელოვანია: შეთანხმების კონკრეტული მახასიათებლების ანალიზი. რამდენად ღრმა და ფართოა შეთანხმების დებულებები და რამდენად სწრაფად არის მოსალოდნელი მათი განხორციელება. რაც უფრო ფართოა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ცვლილებები, მით უფრო დიდია მისი გავლენაც. მეორე ფაქტორი, ქვეყნის ზოგადი სავაჭრო კონტექსტის გათვალისწინებაზეა მიმართული, რაც ქვეყნის ზოგადი სავაჭრო პოლიტიკისა და ურთიერთობების განვითარების მიმართულებას მოიცავს. გასათვალისწინებელია ზოგადად ვაჭრობის მიმართულებით არსებული დაბრკოლებები. ასევე, მნიშვნელოვანია, ეკონომიკის სიმძლავრის გათვალისწინება, რაც გულისხმობს, ბაზარზე არსებული მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორების გათვალისწინებას (Stevens, Irfan, Massa & Kennan, 2015).

ტრადიციულად, სავაჭრო შეთანხმებების გავლენის ანალიზისთვის ეკონომისტები, შეთანხმების შედეგად ბაზარზე წვდომის ფაქტორის შეფასების საფუძველზე ახორციელებენ. ზოგი ავტორი მიიჩნევს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტები პირდაპირ აისახება სავაჭრო ბარიერების ცვლილებებში და ზოგადად, ხსნის სავაჭრო შეთანხმებების ჰეტეროგენულ გავლენებს. თავის ნაშრომში, ბაიერი, იოტოვი და ზილკინი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენის განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენის მიმართულებით, ორ საფეხურიან შეფასებას იყენებენ. პირველ ეტაპზე, აფასებენ შეთანხმებამდე და შეთანხმების შემდეგ არსებულ

ბარიერებს, FTA-ს ზოგადი მასშტაბურობის დადგენისათვის, ხოლო მეორე ეტაპზე აფასებენ შეთანხმების შედეგად გამოვლენილ საბაზრო ძალას (Baier, Yotov & Zylkin, 2016).

აღსანიშნავია, რომ ღრმა შეთანხმებები შეფასების მიმართულებით, არსებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, გამოვავლინეთ ის ძირითადი მიმართულებები რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ასოცირებული ტრიოს ქვეყნების DCFTA-ის ვაჭრობაზე გავლენის დადგენის პროცესში. შესაბამისად, შეთანხმებების სიღრმის ასპექტის და განსხვავებების იდენტიფიცირების საფუძველზე, ნაშრომის შემდეგ თავში, წარმოდგენილია DCFTA-ში გათვალისწინებული ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სფეროების და მათი გავლენების ანალიზი.

## 1.2. სტრუქტურული გრავიტაციის მოდელი

წარმოდგენილ ქვეთავში, განხილულია სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის გარშემო არსებული ლიტერატურა, ასევე ის ძირითადი ნაშრომები, რომელიც გამოყენებულ იქნა კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავებისთვის.

დღესდღეობით, გრავიტაციის მოდელი ერთობ აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზის მიმართულებით. ზემოაღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით საინტერესო პოლიტიკის მკვლევარებისთვისაა, რადგან სავაჭრო ნაკადებსა და სხვადასხვა ფაქტორებს შორის დამოკიდებულების დადგენის საშუალებას წარმოადგენს. გრავიტაციის მოდელი საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზისთვის უკვე 50 წელზე მეტია გამოიყენება. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ თავდაპირველად ემპირიული კვლევა ინსტიტუციურ მოდელზე იყო დაფუძნებული და თეორიული საფუძვლები ნაკლებად იყო წარმოჩენილი, მოდელის განვითარებასთან ერთად, ასევე შემუშავებულ იქნა თეორიული მიმართულებაც.

როგორც ცნობილია, ეკონომიკაში გრავიტაციის მოდელის განვითარება ჰოლანდიელი ეკონომისტის ტიმბერგენის სახელს უკავშირდება. სწორად მან მოახდინა გრავიტაციის მოდელის მათემატიკური განტოლების შემუშავება და ემპირიულად მისი გამოყენება. მის მიერ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, ვაჭრობის ინტენსიურობა ახსნილია ნიუტონის გრავიტაციის კანონის მსგავსი ფორმულით, რომელშიც მასა

ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტით, მანძილი კი - ქვეყნებს შორის მანძილით არის განსაზღვრული (Tinbergen, 1962).

მოდელის თეორიული საფუძვლების განვითარებას ანდერსონისა (1979) და ბერგსტრანდის (1985) კვლევები დაედო საფუძვლად (Yotov, 2016:12). აღსანიშნავია, რომ სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის ტერმინის შემოღება, თეორიული ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებული გრავიტაციის მოდელის განვითარებას უკვემირდება.

1979 წელს ანდერსონმა შეიმუშავა გრავიტაციის განტოლების თეორიული ეკონომიკური საფუძველი, რომელიც წარმოშობის ადგილის მიხედვით, პროდუქტის დიფერენცირებისა და ჩანაცვლების მუდმივი ელასტიურობის (CES) ხარჯებთან დაკავშირებულ დაშვებებს ეყრდნობოდა. აღნიშნული სტრუქტურის მიხედვით, მიუხედავად ფასისა, ქვეყანა თითოეული საქონლის სახეობის გარკვეულ რაოდენობას ყველა ქვეყნიდან მოიხმარს. ყველა ქვეყანა ვაჭრობს ყველა პროდუქტით და ექვილიბრიუმში, ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს ადგილობრივ და საგარეო მოთხოვნას თითოეული პროდუქტისათვის, რომელიც ქვეყნის მიერ იწარმოება. აქედან გამომდინარე, დიდი ქვეყნების იმპორტისა და ექსპორტის მასშტაბი გაცილებით ფართოა. სავაჭრო ხარჯები კი „აისბერგის“ პრინციპით არის მოდელირებული, რაც გულისხმობს, რომ გაგზავნილი პროდუქტის ნაწილი დანიშნულების ადგილს აღწევს, დანარჩენი კი, ტრანზიტის ხარჯის სახით „ქრება“. სწორად თეორიული საფუძვლების განვითარებამ შეუწყო ხელი აღნიშნული მოდელის გამოყენების გავრცელებას (Bacchetta, 2012, გვ.104).

მოდელის თეორიულ განვითარებასთან ერთად, სწორად 2000-იანი წლებიდან დაიწყო მისი აქტიური გამოყენება სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის უზრუნველსაყოფად და ვაჭრობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის დასადგენად.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი დისერტაცია ანდერსონისა და ვან ვინკუპის თეორიულ საფუძვლებზე განვითარებულ მოდელს ეფუძნება. ანდერსონისა და ვან ვინკუპის (2003) მიხედვით, გრავიტაციის მოდელის მართებულად შემუშავებისთვის, აუცილებელია ორმხრივი ვაჭრობის შეფასებისას ქვეყნებს შორის სავაჭრო ხარჯების შედარება. რაც გულისხმობს, რომ ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნიდან იმპორტის მოცულობა, განისაზღვრება ერთი ქვეყნის სავაჭრო ხარჯების პარტნიორი ქვეყნის მიმართ და ასევე,



მთლიან ხარჯებთან შედარებით (იმპორტის წინააღმდეგობა) და პარტნიორ ქვეყნაში ექსპორტიორებისთვის არსებულ ხარჯებთან (ექსპორტის წინააღმდეგობა), რასაც ავტორები მრავალმხრივ წინააღმდეგობას უწოდებენ (Anderson & Wincoop, 2003).

დამატებით, გრავიტაციის მოდელის გამოყენებით სავაჭრო ურთიერთობების რაოდენობრივი შეფასების მიმართულებით გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის მნიშვნელოვანია, იოტოვის (2016), ფოლის (2015), ჰედისა და მეიერის (2014), ბაიერისა და ბერგსტრანდის (2007), სილვასა და ტენრეიროს (2006) და სხვების კვლევები. ზემოდასახელებულმა ავტორებმა გრავიტაციის თეორიული მოდელი შეიმუშავეს და გააუმჯობესეს FTA-ს ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. მოდელის აღნიშნული განვითარება, მოიცავდა იმპორტიორისა და ექსპორტიორის მიხედვით, ფიქსირებული ეფექტების გამოყენების მეთოდის გამოყენებას „მრავალმხრივი წინააღმდეგობის“ მაჩვენებლის დადგენისათვის (ცხომელიძე, 2022).

საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციის მოდელის განვითარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს ჰედისა და მაიერის (2014) კვლევა წარმოადგენს. ავტორებმა შეიმუშავეს გრავიტაციის განტოლების შეფასებისა და ინტერპრეტაციის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია მის თეორიულ საფუძვლებთან. ამასთან, წარმოადგინეს სტრუქტურული გრავიტაციის ძირითადი პრინციპები. ზემოთ დასახელებული ავტორების აზრით, თეორიასთან შესაბამისი შეფასების მეთოდების სრულყოფისა და მიუკერძოებელი შედეგების მიღების მიზნით, მნიშვნელოვანია კვლევისას რამდენიმე მეთოდის გამოყენება. ნაშრომში იდენტიფიცირებულია საუკეთესო პრაქტიკა და მისი ეტაპობრივი გამოყენების გზამკვლევი (Head & Mayer, 2014).

აღსანიშნავია ისიც, რომ გრავიტაციის მოდელის თეორიასთან მისადაგებული მეთოდოლოგიის შემუშავების მიმართულება, ასევე მოიცავს ფოლის ნაშრომს „სტრუქტურული გრავიტაცია და ფიქსირებული ეფექტები“. ავტორი აფასებს სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის მისაღებად მრავალმხრივი წინააღმდეგობის ინდექსისა და უფრო მცირე მასშტაბის (ზომის) მქონე იმპორტიორისა და ექსპორტიორის მიხედვით, ფიქსირებული ეფექტების გამოყენების მეთოდებს. კვლევის მიხედვით, ფიქსირებული ეფექტის, კერძოდ კი, ფსევდო პუასონის მაქსიმალური შესაძლებლობების

(ppml) მეთოდის გამოყენებით, გრავიტაციის განტოლების გამოთვლა სრულად აკმაყოფილებს მრავალმხრივი წინააღმდეგობის ინტეგრირების საჭიროებას. ავტორი მიიჩნევს, რომ როგორც შიდა, ასევე გარე მრავალმხრივი წინააღმდეგობის მიმართულებით შეფასების სხვა მეთოდი მიკერძოებულობის საფრთხეს ქმნის (Fally, 2015).

ასევე, თეორიის შესაბამისი გრავიტაციის განტოლების შემუშავების მიმართულებით კიდევ ერთი ნაშრომია სილვასა და ტანრეიროს (2006) კვლევა, რომლის მიხედვითაც წრფივი მოდელის OLS მეთოდის გამოყენებისას არსებობს რეალური ელასტიკურობის მიკერძოებული შეფასებების საფრთხე, რაც დაკავშირებულია ჰეტეროსკედასტიურობასთან. საკვალიფიკაციო ნაშრომში ახსნილია პრობლემის მიზეზები და შემოთავაზებულია შეფასების შესაბამისი ფსევდო პუასონის მაქსიმალური შესაძლებლობების (ppml) მეთოდი (Silva and Tenreyro, 2006).

აღსანიშნავია, რომ გრავიტაციის მოდელი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მიმართულებით. ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, კი მნიშვნელოვანია იმ კვლევების განხილვა, რომლებიც გრავიტაციის მოდელს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისა და მათზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გავლენის შეფასების მიმართულებით იყენებენ, მათ შორის ცნობილი ავტორები არიან ბაიერი, იოტოვი და ზილკინი (2019), დაი, იოტოვი და ზილკინი (2014), კაპორალე (2009), ბაიერი და ბერგსტრანდი (2007) და სხვები. ზემოთდასახელებულ ნაშრომებში ასევე გათვალისწინებულია სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის ეფექტები. კვლევებში იკვეთება სავაჭრო შეთანხმებების პოზიტიური გავლენა ხელმომწერ მხარეებს შორის სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე, თუმცა ამავდროულად ფიქსირდება სავაჭრო ნაკადების გადართვის ტენდენციები, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შემთხვევაში (ცხომელიძე, 2022).

ბაიერისა და ბერგსტრანდის კვლევა, მიზნად ისახავს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების საერთაშორისო ვაჭრობაზე გავლენის დადგენას. კვლევაში მოცემულია ორმხრივ ვაჭრობაზე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავლენის ანალიზი, რომელიც 1960-2000 წლებში, 96 ქვეყნის, პანელური 5-წლიანი ინტერვალებით

მონაცემებს ეფუძნება. ნაშრომში შემუშავებულია თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული გრავიტაციის განტოლება, როგორც ორმხრივი, ასევე ქვეყნებისა და დროის ფიქსირებული ეფექტების გამოყენებით. კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალოდ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ქვეყნებს შორის ვაჭრობას 10 წლის შემდეგ აორმაგებს (Baier & Bergstrand, 2007).

თავის ნაშრომში, კალიენდომ და პარომ შეაფასეს ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (NAFTA) გავლენები ვაჭრობასა და ქვეყნების კეთილდღეობაზე. კვლევის შედეგების მიხედვით, მექსიკისა და კანადისათვის, სავაჭრო ნაკადების შექმნის საფუძველზე მიღებული სარგებელი, შესაბამისად 1.8 პროცენტს და 0.8 პროცენტს შეადგენს, მაშინ როდესაც სავაჭრო ნაკადების გადართვასთან დაკავშირებული დანაკარგები დანარჩენ მსოფლიოსთან 0.08 პროცენტს და 0.04 პროცენტს შეადგენს (Caliendo & Parro, 2015, p.3). შესწავლის შედეგად ვლინდება NAFTA ეფექტიანობის შედარებით შეზღუდული და მცირე შედეგები.

ამ მიმართულებით, კიდევ ერთი მნიშვნელოვან კვლევაში, შეფასებულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ex-post გავლენის განმსაზღვრელი ფაქტორები. მონაცემთა ბაზა მოიცავს 1986-2006 წლებში, სავაჭრო პარტნიორებს შორის 908 თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეფასებას. შედეგების მიხედვით, ყველა შეთანხმებას არ აქვს პოზიტიური და მნიშვნელოვანი გავლენა. შესწავლილი შეთანხმებების დაახლოებით 35 პროცენტს სტატისტიკურად უმნიშვნელო გავლენა აქვს, 8 პროცენტს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა, ხოლო უმრავლესობას, 57 პროცენტის შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დადებითი გავლენა ვლინდება (Baier, Yotov & Zylkin, 2019, pp.18-20). ლიტერატურაში არსებული მტკიცებულებები მიგვანიშნებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ჰეტეროგენული გავლენა აქვს ვაჭრობის განვითარებაზე. ზოგ შემთხვევაში იკვეთება მკვეთრი დადებითი ტენდენციები, ხოლო სხვა შემთხვევებში აღნიშნულ შეთანხმებებს ძალიან მცირე, ან სულაც უარყოფითი გავლენა აქვთ.

### 1.3. DCFTA-ს ეფექტიანობის შეფასება

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზის, ასევე DCFTA ეფექტიანობის შეფასების მიმართულებით გრავიტაციის მოდელი ნაკლებადაა გამოყენებული.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია, PMC-ს კვლევის „ევროკავშირსა და ჩინეთთან საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ანალიზის“ განხილვა, რომლის მიზანია DCFTA-ს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის და ჩინეთთან შეთანხმების გაფორმების ორი წლის შემდეგ, მათი ეფექტიანობის ექს-პოსტ ანალიზის განხორციელება. პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია შეთანხმებების გავლენები მაკრო და სექტორულ დონზე და გამოყენებულია ვაინერისა და გრავიტაციის მოდელები, ასევე გაშუქებულია DCFTA-ს და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მსგავსებები და განსხვავებები, ასევე იდენტიფიცირებულია ძირითადი შესაძლებლობები და დაბრკოლებები, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის სამომავლო შეთანხმებებთან არის დაკავშირებულია (Mgebrishvili, 2020).

დიავორისა(2021) და მიგოვას (2022) ნაშრომებში, შეფასებულია მოლდოვის საგარეო ვაჭრობა გრავიტაციის მოდელზე დაფუძნებით. ნაშრომების მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დადებითი და მნიშვნელოვანი გავლენა იკვეთება (Diavor, 2021, Migova, 2022).

ხაზგასასმელია ასევე, ჰელაერის ნაშრომში „უკრაინის ვაჭრობა DCFTA-ს პირობებში: გრავიტაციის მოდელი“, რომელშიც შეფასებულია უკრაინის სავაჭრო მაჩვენებლები შეთანხმების გაფორმების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით, ასევე შეთანხმების წინასწარი შეფასებით მოსალოდნელი იყო ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა და ვაჭრობის განვითარება, კვლევის შედეგების მიხედვით, აღნიშნული მოლოდინები არ გამართლდა. ავტორების გამოთვლების მიხედვით, 2018 წლის მონაცემებით, უკრაინის ექსპორტი ევროკავშირში DCFTA-ს გაფორმების შემდეგ საშუალოდ 14 პროცენტით უფრო დაბალი იყო, მოსალოდნელთან შედარებით (Hellyer, 2019).

კიდევ ერთი კვლევის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გავლენა ევროკავშირსა და უკრაინას შორის ვაჭრობაზე“ შედეგების მიხედვით, გრავიტაციის მოდელის გამოყენებით, იკვეთება შეთანხმების დადებითი და მნიშვნელოვანი გავლენა ვაჭრობაზე. კვლევის მიხედვით, არ ვლინდება სავაჭრო ნაკადების გადართვის და შესაბამისი შეთანხმების ეფექტიანობის მაჩვენებლების კლება (Bukrieieva, 2020).

ამ მიმართულებით კიდევ ერთი ავტორის, გილფასონის ნაშრომის მიზანი გრავიტაციის მოდელის გამოყენებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე ევროკავშირთან და რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტის შეფასება და ინსტიტუციების ხარისხის ცვლილების ექსპორტზე გავლენის დადგენაა. ძირითადი შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს დიდი სარგებელი აქვთ ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმებებიდან, ხოლო რუსეთთან გაფორმებულ შეთანხმებებს ძალიან მცირე გავლენა აქვს ექსპორტის განვითარებაზე (Gylfason et al, 2015).

DCFTA-ს ეფექტიანობის დადგენის მიმართულებით, ზემოთ განხილულ ნაშრომებში, შეთანხმების ეფექტიანობის ex post შეფასებისათვის გამოყენებულია გრავიტაციის მოდელი. ამასთანავე, საყურადღებოა, ისიც რომ აღნიშნული ნაშრომების გარდა, DCFTA-ს გაფორმებამდე და მის შემდეგ, არა ერთ კვლევაშია გაანალიზებული შეთანხმებების ეფექტიანობა და სარგებლიანობა.

ამ მიმართულებით, პირველ რიგში მნიშვნელოვანია, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს ხელმოწერამდე, ხელშეკრულებების სავარაუდო გავლენებთან დაკავშირებული კვლევების განხილვა, შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლოდინებისა და არსებული შედეგების შედარებისათვის.

2012 წელს, ევროკომისიის ინიციატივით, საქართველოსა და მოლდოვაში DCFTA-ს მოლაპარაკებების მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული ვაჭრობის მდგრადობის გავლენის შეფასების (TSIA) მთავარი მიზანია, შეთანხმების ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებების მიმართულებით პოტენციური გავლენების

დადგენა. დოკუმენტში გაერთიანებულია, ევროკომისიის მიერ შემუშავებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია.

საქართველოს შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეროვნული შემოსავლის ზრდის მიმართულებით, მოსალოდნელი იყო მთლიანი სამამულო პროდუქტის 4.3-პროცენტითი ზრდა. კვლევის მიხედვით, პროგნოზირებული იყო საქართველოს ექსპორტის 12-პროცენტითი, ხოლო იმპორტის 7.5-პროცენტითი ზრდა. რაც საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების მანიშნებელი იყო. ასევე, ანგარიშში წარმოდგენილია საშუალო ხელფასის 3.6-პროცენტითი ზრდის და სამომხმარებლო ინდექსის 0.6 პროცენტითი კლების პროგნოზი (European Commission, 2012).

მოლდოვის შემთხვევაში, გრძელვადიან პერიოდში, მსკ-ს სავარაუდო ზრდის მაჩვენებელი 5.4 პროცენტს შეადგენს. ექსპორტის ზრდის მიმართულებით იკვეთება 16-პროცენტითი, ხოლო იმპორტის 8-პროცენტითი ზრდის პროგნოზი. ანგარიშის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ ხელფასები გრძელვადიან პერსპექტივაში საშუალოდ 4.8 პროცენტით გაიზრდება, ხოლო სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1.3 პროცენტით შემცირდება (European Commission, 2012).

უკრაინის შემთხვევაში, ევროკომისიის ინიციატივით, ვაჭრობის მდგრადობის გავლენის შეფასების (TSIA) დოკუმენტი 2007 წელს განხორციელდა. ანგარიში მიმართულია შეთანხმების გავლენების იდენტიფიცირებაზე. კვლევაში განხილულია ორი სცენარი ღრმა და ზედაპირული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისათვის. ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით შეფასების განხორციელების საფუძველზე ნათლად ჩანს ღრმა შეთანხმების უპირატესობა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენების მიმართულებით. გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელია კეთილდღეობის 5.2-პროცენტითი ზრდა. კვლევის მიხედვით, მოსალოდნელია სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება და უკრაინის ექსპორტის ზრდა მარცვლეულის, ხორცისა და ცხოველური ცხიმების (დამოკიდებულია SPS-ის სიღრმეზე), მანქანებისა და ელექტრონიკის, მეტალურგიისა და სადისტრიბუციო მომსახურების მიმართულებით (European Commission, 2007). მოლდოვისა და საქართველოსთვის განხორციელებული შეფასებისაგან განსხვავებით, უკრაინის შემთხვევაში, ანგარიშში არ

არის განხილული ვაჭრობის ზრდის საშუალო მაჩვენებელი და ყურადღება სექტორულ ანალიზზეა გამახვილებული.

აღნიშნული დოკუმენტების მიმოხილვა მნიშვნელოვანია რეალურად მიღებულ შედეგებთან მოლოდინების შედარებისათვის. ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს ექს-პოსტ გავლენის შეფასების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა განხორციელდა. თუმცა ეს კვლევები ძირითადად შეთანხმების უფრო ფართო გავლენების შეფასებაზეა ორიენტირებული. მათ შორის მნიშვნელოვანია, საქართველოსა და მოლდოვაში DCFTA-ს იმპლემენტაციის ex-post შეფასება, რომელიც მომზადებულია ევროკომისიის ინიციატივით. კვლევაში წარმოდგენილია DCFTA-ს ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებების მიმართულებით გავლენები. ანგარიშები მოიცავს რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასებების შედეგებს. ორივე ქვეყანაში, DCFTA ეფექტიანად ხორციელდება, თუმცა საჭიროა საკანონმდებლო ბაზის დაახლოების, ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების, ასევე შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენების მიმართულების გაძლიერება.

საქართველოს შემთხვევაში, რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ DCFTA-ს შეზღუდული გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე (მცირე გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე (მსპ) და ექსპორტის 1-პროცენტისა ზრდა ევროკავშირში). ამასთანავე ხაზგასმულია, რომ კონსულტაციების საფუძველზე, მთლიანობაში შეთანხმების დადებითი გავლენა იკვეთება (Akhvlediani et al(Georgia), 2022).

მოლდოვის შემთხვევაში, 2014 წლიდან ევროკავშირთან ვაჭრობის მიმართულებით, როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ბოლო 10 წლის განმავლობაში გაორმაგებულია. ამასთან, განსაკუთრებით გაიზარდა მოლდოვის ექსპორტი ევროკავშირში. თუმცა საქართველოს მსგავსად, ეკონომეტრიკული შეფასების შედეგად DCFTA-ს მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ან საბიუჯეტო გავლენები არ გამოვლენილა (Akhvlediani et al (Moldova), 2022).

აღსანიშნავია, რომ ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, ასევე გამოიკვეთა რამდენიმე კვლევა, რომელშიც შეფასებულია DCFTA-ს გავლენები. აღნიშნული კვლევები

ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება გაიყოს. პირველი ჯგუფი უფრო ფართო სოციალურ და ეკონომიკურ გავლენებზე ამახვილებს ყურადღებას და მოიცავს ორი ან სამი ქვეყნის ერთიან ანალიზს. ამ მიმართულებით, DCFTA-ს გავლენები განხილულია, ევროკავშირის პოლიტიკის კვლევების ცენტრის (CEPS) ტრილოგიაში, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ს სახელმძღვანელოში (Emerson & Kovziridze, 2021; Emerson & Cenuşa, 2021; Emerson & Movchan, 2021), ადაროვის და ჰავლიკის კვლევებში (2016; 2017), ევროკომისიის სავაჭრო შეთანხმებების განხორციელების ანგარიშში (2017), ჩიკვაძე, გროზა და ლიტრას ნაშრომში (2021) და ეთერიას (2020) სტატიაში.

კვლევების მეორე ჯგუფი კი, ინდივიდუალურ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შეფასებაზე და DCFTA-ს ვაჭრობაზე გავლენის დადგენაზეა მიმართული. ეს მიმართულება მოიცავს ჰელაიერის (2021), მატუშაკის (2019), რაბინოვიჩის (2022), ნეხაის, დელგადოსა და კარდენეტეს (2021), ეთერიას (2019 და 2020), ტომშას და ტროფიმის (2021), კოვაშისა და კრუდუს (2016) ნაშრომებს.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული არცერთი კვლევა არ წარმოადგენს საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მიერ DCFTA-ს შედეგების შედარებით ანალიზს. ასევე, მიუხედავად არსებული კვლევებისა, არცერთი არ მოიცავს თეორიული გრაფიკაციის მოდელში, ექსპორტისა და იმპორტის, ასევე სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის ფაქტორების გათვალისწინებას და ამის საფუძველზე შეთანხმების ეფექტიანობის შეფასებას.

#### **1.4. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო სტრუქტურული გრაფიკაციის მოდელი**

საერთაშორისო ვაჭრობის მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და აქტიურად გამოყენებად მეთოდს გრაფიკაციის მოდელი წარმოადგენს. აღნიშნული მოდელი გამოყენებულია მრავალ ნაშრომში და მიმართულია საერთაშორისო ვაჭრობის სხვადასხვა განმსაზღვრელი ფაქტორის ეფექტიანობის რაოდენობრივ შეფასებაზე.



საწყის ეტაპზე აღნიშნული მოდელი ინტუიციურად იყო გადმოტანილი ფიზიკის დარგიდან და ნიუტონის გრავიტაციის კანონის მსგავსად, ქვეყნებს შორის ვაჭრობის განსაზღვრის მიზნით შესაბამისი ბაზრების სიდიდესა (მაგალითად, მთლიანი სამამულო პროდუქტი) და სიახლოვეს მიიჩნევდა, ისევე, როგორც ნაწილაკები იზიდავენ ერთმანეთს მათი ზომისა და სიახლოვის პროპორციულად. ამგვარი მიდგომის მაგალითია რავენშტეინის (1885) და ტინბერგენის (1962) ნაშრომები, რომლებიც გრავიტაციის მოდელს იმიგრაციისა და სავაჭრო ნაკადების შესწავლის მიმართულებით იყენებდნენ (Yotov, 2016, გვ. 12). ზოგადი ფორმულირებით გრავიტაციის განტოლებას აქვს შემდეგი მულტიპლიკაციური ფორმა:

$$X_{ij} = Y_i Y_j t_{ij}$$

სადაც  $X_{ij}$  წარმოადგენს  $i$ -დან  $j$  ქვეყანაში სავაჭრო ნაკადის მოცულობას.  $Y_j$  წარმოადგენს იმპორტიორის მთლიანი მოთხოვნის ფაქტორს (როგორც არის იმპორტიორი ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი) და  $Y_i$  ექსპორტიორის მთლიანი მიწოდებს ფაქტორებს (როგორც არის ექსპორტიორის მთლიანი სამამულო პროდუქტი).  $Y$  არ არის დამოკიდებული  $i$ -ზე ან  $j$ -ზე და წარმოადგენს მსოფლიო ლიბერალიზაციის დონის განმსაზღვრელ ცვლადს, ხოლო  $t_{ij}$  არის ექსპორტიორის მიერ იმპორტიორის ბაზრის ხელმისაწვდომობის განმსაზღვრელი ცვლადი (ორმხრივი ვაჭრობის ხარჯები).

კვლევაში, ანდერსონისა და ვან ვინკუპის (2003) მიერ განვითარებული მოდელის გამოყენების შედეგად, გათვალისწინებულია შედარებითი სავაჭრო ხარჯების მნიშვნელობა. თეორიული შედეგების მიხედვით, ორმხრივი ვაჭრობა დამოკიდებულია შედარებით ხარჯებზე, რაც გულისხმობს, რომ  $j$  ქვეყნის მიდრეკილება განახორციელოს იმპორტი  $i$  ქვეყნიდან განისაზღვრება  $j$  ქვეყნის  $i$  ქვეყნის მიმართ სავაჭრო ხარჯის, იმპორტის მიმართ საერთო „წინააღმდეგობის“ (შეწონილი საშუალო სავაჭრო ხარჯი) და  $i$  ქვეყანაში ექსპორტიორების საშუალო „წინააღმდეგობის“ შედარების საფუძველზე (Bacchetta, 2012, გვ.104-105).

შესაბამისად, სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის მიხედვით, თეორიულად გამართლებული შედეგების მისაღებად არ არის საკმარისი მხოლოდ აბსოლუტური

სავაჭრო ხარჯების შედარება. ამისათვის კი, საჭიროა მრავალმხრივი წინააღმდეგობის ცვლადების ინტეგრირება მოდელში.

თეორიულად გამყარებული გრავიტაციის განტოლების ფორმა შემდეგი სახისაა:

$$X_{ij} = \frac{Y_i Y_j}{Y} \left[ \frac{t_{ij}}{\Pi_i P_j} \right]^{1-\sigma}$$

$Y$ - წარმოადგენს მსოფლიო მსპ-ს,  $Y_i$  და  $Y_j$  ქვეყნების მსპ-ს,  $t_{ij}$  –  $j$  ქვეყნის მიერ  $i$ -დან განხორციელებული იმპორტის ხარჯები,  $\sigma > 1$  წარმოადგენს ჩანაცვლების ელასტიურობას, ხოლო  $\Pi_i$  და  $P_j$  ცვლადები წარმოადგენენ ექსპორტიორისა და იმპორტიორის ბაზრების გახსნილობას ან  $i$  ქვეყნის გარე და  $j$  ქვეყნის შიდა მრავალმხრივი წინააღმდეგობის ცვლადებს. მათი მაჩვენებლები დაბალია თუ ქვეყანა მსოფლიო ბაზრებს დაშორებულია. დაშორება განისაზღვრება ფიზიკური ფაქტორებით, როგორც არის დისტანცია დიდი ბაზრებიდან, ისევე როგორც პოლიტიკის ფაქტორებით, მაღალი სატარიფო ბარიერები და სხვა სავაჭრო ხარჯები (Bacchetta, 2012, გვ.104-105).

არსებულ კვლევებში სავაჭრო ხარჯების გამოთვლის მიმართულებით, გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ფაქტორები, ხშირად  $t_{ij}$  დაკავშირებულია, ქვეყნებს შორის მანძილთან და სხვა მუნჯ ცვლადებთან (Dummy variables), რომელიც მოიცავს კუნძულის, ხმელეთით შემოსაზღვრული, საერთო საზღვრების, საერთო ენის, კოლონიური წარსულის და სხვა კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებას. საერთო ისტორიის და უკვე ჩამოყალიბებული სავაჭრო ურთიერთობების მქონე ქვეყნებს შორის სავაჭრო ხარჯები, სხვებთან შედარებით ნაკლებია. ასევე, სავაჭრო ხარჯებში გათვალისწინებულია სავაჭრო ბარიერების და სავაჭრო შეთანხმებების ცვლადებიც.

გრავიტაციის განტოლების გამოთვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას ე. წ. მრავალმხრივი წინააღმდეგობის ცვლადის გამოთვლა წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მაჩვენებელი პირდაპირ დაკვირვებადი არ არის, არსებობს მისი გათვალისწინების რამდენიმე ალტერნატივა. ლიტერატურაში წარმოდგენილი ალტერნატივიდან ყველაზე ხშირად გამოყენებადი და ემპირიული გზა იმპორტიორისა და ექსპორტიორის ფიქსირებული ეფექტების გამოყენებაა (Bacchetta, 2012, გვ.106).

გრავიტაციის განტოლების გამოთვლის სტანდარტული პროცედურაა, ცვლადების ბუნებრივი ლოგარითმების გამოთვლა და წრფივი განტოლების შემუშავება, რომლის გამოთვლაც უმცირეს კვადრატთა რეგრესიის (OLS) გამოყენებით არის შესაძლებელი. ანდერსონისა და ვან ვინკუპის მოდელის გათვალისწინებით განტოლება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$\ln X_{ij} = e_0 + e_1 \ln Y_{i+a_2} \ln Y_j + e_3 \ln t_{ij} + e_4 \ln \Pi_i + e_5 \ln P_j + \varepsilon_{ij}$$

$e_0$  მუდმივი ცვლადია,  $e_3 = 1 - \sigma$  და  $\varepsilon$  შემთხვევითი გადახრა, შეცდომა.

გრავიტაციის მოდელის აქტიურად გამოყენებისა და თეორიული მოდელი განვითარების გათვალისწინებით, მართებული ეკონომეტრიკული მოდელის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული რეკომენდაციებისა და მასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის გათვალისწინება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი გამოწვევა დაკავშირებულია მრავალმხრივი წინააღმდეგობის მაჩვენებლის განსაზღვრასთან. აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებისთვის გამოყენებული იქნება როგორც ქვეყნების, ისე დროის ფიქსირებული ეფექტები. ეს მეთოდი გამოყენებულია როუზისა და ვან ვინკუპის (2001), ჰუმელსის (2001), ფენსტრას (2004), ბალდვინისა და ტალიონის (2006), ოლივეროსა და იოტოვის (2012), ფენსტრას (2016) და სხვა ავტორების ნაშრომებში. პანელური მონაცემების გამოყენების შემთხვევაში კი, ექსპორტიორის და იმპორტიორის ფიქსირებული ეფექტები დროში, შესაძლებელს ხდის როგორც დაუკვირვებადი მრავალმხრივი წინააღმდეგობის მაჩვენებლების, ასევე სხვა დაკვირვებადი თუ დაუკვირვებადი ქვეყნის მახასიათებლების გათვალისწინებას (Bacchetta, 2012, გვ.106).

სავაჭრო შეთანხმებების გავლენების განხილვისას მნიშვნელოვანია, ეკონომიკური სარგებლის ფაქტორის გათვალისწინება. თუ სავაჭრო შეთანხმება ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას, საჭიროა იმის დადგენა თუ საიდან მოდის დამატებითი სავაჭრო ნაკადები. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ვაინერის (1950) მიერ განვითარებული სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის კონცეფციების განხილვა. თავის მხრივ, სავაჭრო ნაკადის შექმნა გულისხმობს, რომ ახალი ვაჭრობის გაფართოვება და მისი მასშტაბების ზრდა საერთაშორისო რესურსების გონივრული და ოპტიმალური განაწილების შედეგია,

რაც იმ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს, თუ ადგილობრივი წარმოების ნაწილი პარტნიორი ქვეყნიდან, უფრო ეფექტიანი იმპორტით ჩანაცვლდება.

სავაჭრო ნაკადების გადართვა კი გულისხმობს, ახალი სავაჭრო ნაკადების განვითარებას სხვა პარტნიორებთან ეფექტური ვაჭრობის შემცირების საფუძველზე (ამ შემთხვევაში მცირდება დანარჩენი მსოფლიოდან ვაჭრობის მაჩვენებელი). შესაბამისად, ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნის დროს, ვაჭრობა დაბალი ხარჯების მქონე მწარმოებლებზეა მიმართლი და შესაბამისად სარგებლის მიღებასთან არის დაკავშირებული. სავაჭრო ნაკადების გადართვის შემთხვევაში, არსებობს სავაჭრო ნაკადების, ეფექტური მწარმოებლებიდან, ნაკლებად ეფექტურ მწარმოებლების მიმართ გადართვის საფრთხე (ვაინერი, 1950, 54-56). ვაინერის მიერ განვითარებული თეორიის საფუძველზე, ემპირიულად ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება მუნჯი ცვლადების შემოღებით არის შესაძლებელი. მაგალითისთვის ერთ ცვლადში გათვალისწინებული იქნება ორივეს მონაწილეობა სავაჭრო შეთანხმებებში, ხოლო მეორე ცვლადით გაითვალისწინება ერთ-ერთი ქვეყნის მონაწილეობა შეთანხმებაში. მოდელში გათვალისწინებული სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გარადთვის ცვლადების დადებითი კოეფიციენტების სავაჭრო ნაკადების შექმნაზე მიანიშნებს. სავაჭრო შეთანხმებაში ორივე ქვეყნის ჩართულობის დადებითი, ხოლო მეორე ცვლადის უარყოფითი კოეფიციენტი კი, სავაჭრო ნაკადების გადართვის მანიშნებელია (Bacchetta, 2012, გვ. 109).

გრავიტაციის განტოლების მართებული გამოთვლის კიდევ ერთი გამოწვევა ქვეყნებს შორის ნულოვანი ვაჭრობის საკითხს უკავშირდება. ბუნებრივი ლოგარითმების გამოთვლისა და უმცირეს კვადრატთა რეგრესიის გამოყენების შემთხვევაში შეუძლებელია ნულოვანი ვაჭრობის შემთხვევებზე დაკვირვება. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სილვას და ტანრეიროს (2006) შემოთავაზებით უკეთესია გრავიტაციის მულტიპლიკაციური (მრავლობითი) ფორმის გამოყენება, რაც მოიცავს OLS-ის ნაცვლად ფსევდო პუასონის მაქსიმალური შესაძლებლობების მეთოდის (PPML) გამოყენებას. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გათვალისწინებულია ნულოვანი ვაჭრობა და ჰეტეროსკედასტიურობის საკითხი (Yotov, 2016, გვ.25).

ზოგიერთი ავტორი აკრიტიკებს ყოველწლიური მონაცემების გამოყენებას. ვინაიდან, ვაჭრობის მონაცემებში პოლიტიკის ცვლილების ასახვას გარკვეული პერიოდი სჭირდება, რაც 3-5 წლიანი ინტერვალების გამოყენების საფუძველია (Yotov, 2016, p.22-23). მიუხედავად ლიტერატურაში არსებული რეკომენდაციებისა, ანალიზის პროცესში წლებს შორის ინტერვალების დაცვაზე, ნაშრომში ყველა წლის მონაცემებია გამოყენებული, რადგან შეთანხმების გაფორმებიდან მხოლოდ 7 წელია გასული. ორწლიანი ინტერვალებით განხორციელებული შეფასება კი - სენსიტიურობის ანალიზისთვის იქნება გამოყენებული.

კიდევ ერთი საკითხი თავისუფალი ვაჭრობის ენდოგენურ გავლენებთან არის დაკავშირებული. ბაიერისა და ბერგსტრანდის კვლევის მიხედვით, ენდოგენურობის მიუხედავად, მიუკერძოებელი შედეგების მიღების მიზნით, მიზანშეწონილია ორმხრივი ფიქსირებული ეფექტების გამოყენება ქვეყნების წყვილებისათვის. ზემოდასახელებულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ თავისუფალი ვაჭრობა ეგზოგენურ ცვლადს არ წარმოადგენს და ქვეყნების პოლიტიკასთან დაკავშირებულ, დროში უცვლელი ცვლადების გავლენების ქვეშ ექცევა. შესაბამისად, აღნიშნული გავლენების კონტროლის მიზნით, შესაძლებელია გრავიტაციის განტოლებაში ბილატერალური ფიქსირებული ეფექტების დამატება (Baier & Bergstrand, 2007, გვ. 85-87).

**კვლევის დამატებითი მეთოდები.** ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს ანალიზისათვის, გამოყენებულია სავაჭრო ხელშეკრულებების სამართლებრივი ტექსტი და შესაბამისი დანართები. შესწავლილია პროდუქტით თავისუფალი ვაჭრობის დებულებები, საბაჟო რეგულაციები, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მიმართულებები. განხილულია სავაჭრო კვოტების, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიმართულებით არსებული მოთხოვნები. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების იმპლემენტაციის ანალიზისათვის კი გამოყენებულია ეროვნული და ევროკავშირის ოფიციალური ანგარიშები, ასევე სხვა კვლევითი და საერთაშორისო ორგანიზაციების პუბლიკაციები.

ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო კონტექსტის შეფასებისათვის, გამოყენებულია სავაჭრო ინდიკატორების სტატისტიკური ანალიზის მეთოდი. DCFTA-ს

განსხვავებული გავლენის ასახვად, ნაშრომში გამოყენებული ინდიკატორები შემუშავებულია, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასების მიზანია, ფართოდ გავრცელებულ ინდიკატორების ანალიზი:

- ექსპორტ/იმპორტის ზრდის მაჩვენებელი: შესწავლის პერიოდში, ექსპორტის ღირებულების ცვლილების საზომი. FTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ექსპორტის ზრდის უფრო მაღალი ტემპი ქვეყნის ან სექტორისთვის, შეთანხმების დადებით გავლენაზე მიუთითებს.
- საბაზრო წილი: ქვეყნის ექსპორტის/იმპორტის წილი მთლიან ვაჭრობასთან მიმართებით. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ქვეყნის საბაზრო წილის ზრდა შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მის ეფექტიანობაზე მიუთითებს.
- ექსპორტის დივერსიფიცირება: ქვეყნის მიერ ექსპორტირებული პროდუქტის მრავალფეროვნების საზომი, რომელიც პროდუქტის კატეგორიების რაოდენობის საფუძველზეა შეფასებული. FTA-ს შემდეგ ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობის ზრდა, ქვეყნის ახალ ბაზარზე შესვლის საფუძველზე, შეთანხმების პოზიტიურ გავლენაზე მიუთითებს.
- ექსპორტის კონცენტრაციის მაჩვენებელი: რამდენიმე ბაზარზე ან პროდუქტზე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის კონცენტრირების საზომი. FTA-ს შემდეგ, საგარეო ნაკადების კონცენტრირების მაჩვენებლის შემცირება, ექსპორტის დივერსიფიცირების საფუძველზე, შეთანხმების დადებით გავლენაზე მიუთითებს.

**გამოყენებული მონაცემები.** ნაშრომში 2004-2021 წლებში, 41 ქვეყნის მონაცემები საქონლის საგარეო ვაჭრობის მონაცემებია გამოყენებული. აღნიშნულ ქვეყნებს შორის არიან საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, ევროკავშირის ქვეყნები, EFTA-ს ქვეყნები და ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ძირითადი სავაჭრო პარტნიორები (დანართი 1). ორმხრივი სავაჭრო პარტნიორების მონაცემები საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის (DOTS) მონაცემთა ბაზიდან არის მოძიებული, ამასთან, გამოყენებულია ექსპორტის მოცულობა (მლნ. აშშ დოლარი).

2021 წლის მონაცემებით, ანალიზისათვის შერჩეული ქვეყნები საქართველოს ექსპორტის - 87 პროცენტს, ხოლო იმპორტის 86 პროცენტს მოიცავდა, მოლდოვას ექსპორტის 86 პროცენტი, იმპორტის კი - 91 პროცენტს, ხოლო უკრაინის ექსპორტის 71 პროცენტს და იმპორტის 86 პროცენტს შეადგენდა (IMF, 2021).

მონაცემთა ბაზაში, ქვეყნების მსპ-ზე მონაცემები მოძიებულია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან. გრავიტაციის მოდელში გამოყენებულ დისტანციისა და სავაჭრო ხარჯების ცვლადებთან დაკავშირებული მონაცემები კი CEPII გეოგრაფიული მონაცემთა ბაზიდან „GeoDist“ არის მოძიებული, რომელიც საერთო ენის, საერთო კოლონიური წარსულისა და სხვა ისტორიული კავშირების შესახებ ინფორმაციას მოიცავს (Mayer & Zignago, 2011).

ნაშრომში შემუშავებულია პანელურ მონაცემთა ბაზა, რომელშიც მოიცავს 3 ქვეყნის სავაჭრო ნაკადებს 40 პარტნიორთან, რაც მთლიანობაში 120 ქვეყნის წყვილს იმპორტისა და ექსპორტის ნაკადებს მოიცავს. მონაცემთა ბაზაში მოიცავს 2004-2021 წლების პერიოდის მონაცემებს (18 წლის მაჩვენებლები). საბოლოო მონაცემთა ბაზა 4320 დაკვირვებისგან შედგება.

იმისა გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სავალურო ფონდის მონაცემთა ბაზაში, სექტორების დონეზე ჩაშლის შესაძლებლობა არ არის, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ინდიკატორების შეფასებისათვის გამოყენებულია გაეროს სასაქონლო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ბაზა (UN comtrade). მონაცემთა ბაზა გამოყენებულია საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნომენკლატურის ჯგუფებისა და 4-ნიშნა კოდების მიხედვით, ექსპორტის მონაცემების მოძიებისათვის.

დამატებით, ნაშრომში ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში გაფორმებული DCFTA-ს „სიღრმის ასპექტის“ შეფასებისათვის, გამოყენებულია შეთანხმების ოფიციალური ტექსტი, ევროპარლამენტისა და ევროკომისიის ანგარიშების ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციაზე, ამ მიმართულებით არსებული სხვა სახელმწიფო დოკუმენტები და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის (EaP Index) ანგარიშები.

## თავი II. ევროკავშირთან ღრმა დ ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების სტრუქტურული მიმოხილვა

ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს გავლენის ანალიზისას პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ ნულოვანი ტარიფით სარგებლობის მიზნით ქვეყნებმა პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტისათვის გარკვეული პირობები უნდა დააკმაყოფილონ. ამასთანავე, სამივე ქვეყანასთან დადებული შეთანხმებები განსხვავდება აღნიშნული პირობებისა და დაახლოების ვადების მიმართულებით.

ზოგადად, ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის განვითარების შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა კავშირის სავაჭრო შეთანხმებების მიზნები და შინაარსი. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში დადებული შეთანხმებებისათვის კი ევროკავშირის ბაზარზე წვდომის მიღება, პარტნიორი ქვეყნების მიერ, ლიბერალიზაციის განსაზღვრული ვალდებულებებისა და სხვა რეფორმების შესრულებაზეა დამოკიდებული. ამასთან, ძირითადი ფოკუსი მიმართულია, „ზედაპირული“ შეთანხმებების, „ღრმა“ შეთანხმებებით ჩანაცვლებაზე, რაც მოიცავს სავაჭრო ლიბერალიზაციას მომსახურების, საჯარო შესყიდვების და ინვესტიციების, ასევე, ეროვნული მარეგულირებელი რეჟიმების განვითარების მიმართულებით. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ ეს სიახლე გლობალურ დონეზე, სავაჭრო შეთანხმებების მიმართულებით არსებული ცვლილების ტენდენციას შეესაბამება და არ წარმოადგენს მხოლოდ ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის უნიკალურობას (Hoekman, 2016).

იმის გათვალისწინებით, რომ კვლევის მიზანია DCFTA-ს ეფექტიანობისა და ვაჭრობაზე გავლენის დადგენა, ახალი თაობის შეთანხმებების შეფასების ლიტერატურაში იდენტიფიცირებული მახასიათებლების შესაბამისად, წარმოდგენილ თავში ყურადღებას, შეთანხმების ვაჭრობის კომპონენტსა და სიღრმის ასპექტზე გავამახვილებთ. ვაჭრობის კომპონენტი მიმართულია სატარიფო ბარიერების, წარმოშობის წესებისა და PEM-ის კონვენციასთან შეერთების მიმართულებების შეფასებაზე, ხოლო სიღრმის ასპექტი არასატარიფო ბარიერების მიმართულებით არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებაზე, მათ შორის საბაჟო რეგულაციების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერებისა და



ვაჭრობაში დაცვითი ზომების მიმართულებებს, რომლებსაც ყველაზე დიდი გავლენა აქვთ საქონლით ვაჭრობის განვითარებაზე.

ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, და ლიტერატურაში იდენტიფიცირებული საკითხების შესაბამისად აღნიშნული თავის მიზანია:

- ქვეყნებთან გაფორმებული შეთანხმებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებების განხილვა და ძირითადი განსხვავებების იდენტიფიცირება;
- ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს იმპლემენტაციის შეფასება, ოფიციალური წყაროების (სახელმწიფო, ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებების) საფუძველზე.

## 2.1 ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისა და ევროკავშირის ინტეგრაციის

### პროცესი

DCFTA ასოცირების შეთანხმების ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. ზოგადად, ასოცირების შეთანხმება ევროკავშირის შედარებით ახალი ინსტრუმენტია, რომელიც 2004 წელს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შემუშავების საფუძველზე ჩამოყალიბდა და რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, ევროკავშირის „სამეზობლო“ ქვეყნებში პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომელიც 2009 წელს იქნა ჩამოყალიბებული მიმართულია ევროკავშირის სამეზობლოს 6 ქვეყნის მიმართ ინტეგრაციის პროცესზე და მოიცავს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელორუსს, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას.

სავაჭრო ურთიერთობები, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, აღნიშნულ შეთანხმებაში დაფარულია DCFTA-თ, რაც სხვა სავაჭრო შეთანხმებებისაგან განსხვავებით უფრო ფართოა, ვიდრე სავაჭრო რეჟიმების მარტივი ლიბერალიზაცია. DCFTA მოიცავს უფრო ღრმა სამართლებრივ ინტეგრაციას ევროკავშირის საგარეო ვაჭრობასა და სამეწარმეო სამართალთან. შესაბამისად, DCFTA-ს სარგებელი დაკავშირებულია არა მხოლოდ ევროკავშირის ბაზარზე წვდომის

ხელშეწყობასთან, არამედ ასევე ასოცირებული ქვეყნების ბიზნეს გარემოს ცვლილებებთან, მათი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ზრდასთან (Adarov & Havlik, 2016, გვ. 16)

საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმება გაფორმებულ იქნა 2014 წლის 27 ივნისს, წინასწარ ამოქმედდა 2014 წლის სექტემბრიდან, ხოლო სრულად ძალაში 2016 წლის ივლისში შევიდა. მოლდოვამ ხელშეკრულებას ასევე 27 ივნისს მოაწერა ხელი, რომელიც წინასწარ ამოქმედდა 2014 წლის სექტემბერში, ხოლო სრულად 2016 წლის ივლისში. რაც შეეხება უკრაინას, შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილს ხელი 2014 წლის მარტში მოეწერა, ხოლო ეკონომიკურ ნაწილს 2014 წლის ივნისში. DCFTA წინსწრებით 2016 წლის იანვრიდან ამოქმედდა.

ზემოახნიშნული შეთანხმება მოიცავს რეფორმების განხორციელებას სავაჭრო ურთიერთობების წახალისების, ევროკავშირის სტანდარტებთან და ბიზნეს რეგულაციებთან დაახლოების მიმართულებით. ზოგადად შესაძლებელია სამი ძირითადი კომპონენტის იდენტიფიცირება: ვაჭრობასთან დაკავშირებული კომპონენტი, სიღრმის ასპექტი და ყოვლისმომცველობის ასპექტი.

ვაჭრობის კომპონენტი მიმართულია იმპორტისა და ექსპორტის ტარიფების შემცირებასთან, წარმოშობის წესების მიღებისა და PEM-ის კონვენციასთან შეერთებასთან.

სიღრმის ასპექტი დაკავშირებულია არასატარიფო ბარიერებთან, სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, ინდუსტრიული პროდუქტის ტექნიკური სტანდარტების მიღებასთან და ევროკავშირის სამართალთან დაახლოებას, საჯარო შესყიდვების, სერვისების და საბაჟო ადმინისტრირების მიმართულებით.

ყოვლისმომცველობის მიმართულება კი, მოიცავს სფეროების ფართო სპექტრთან დაახლოებას: კერძოდ, საქონლის ბაზარზე დაშვება, ვაჭრობაში დაცვითი ზომები, სანიტარული და ფიტოსანიტარული და ტექნიკური სტანდარტები, საბაჟო და სავაჭრო სერვისების გამარტივება, სერვისებით ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრება, ელექტრონული კომერცია, კაპიტალის მართვა, საჯარო შესყიდვები, კონკურენციის

პოლიტიკა, ენერგეტიკის საკითხები, გამჭირვალობა, მდგრადი განვითარება და დავების მოგვარების საკითხები (Adarov & Havlik, 2016, გვ. 17-19).

ევროკავშირსა და ასოცირებული ტრიოს ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი, DCFTA-ს გაფორმებამდე რამდენიმე წლით ადრე, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის გამოყენების საფუძველზე დაიწყო. სავაჭრო ლიბერალიზაციის გრძელვადიანი პროცესის გათვალისწინებით, ნაშრომში სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ანალიზისათვის შესწავლილია 2004-2021 წლებში ევროკავშირსა და ასოცირებულ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები.

იმის გათვალისწინებით, რომ სატარიფო ბარიერების გაუქმება მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, ქვეყნების შეთანხმების ეფექტიანად გამოყენების შეფასებისათვის, საჭიროა შეთანხმებების შედარება. სატარიფო ბარიერების გაუქმების მნიშვნელობის დადგენისათვის, ინდივიდუალურ ქვეყნებში, DCFTA-ს ხელმოწერამდე და მის შემდეგ არსებული სატარიფო პოლიტიკის შედარება, და შემდგომ, რეგიონულ დონეზე არსებული განსხვავებების იდენტიფიცირება.

## **2.2 DCFTA საქართველოში - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ანალიზი**

ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე, საქართველო ევროკავშირის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP+) რეჟიმის ბენეფიციარი იყო. GSP+ რეჟიმის გათვალისწინებით, საქართველოს ევროკავშირში, საბაჟო გადასახადების გარეშე, 7 200 პროდუქტამდე ექსპორტის შესაძლებლობა ჰქონდა (cepr, 2022, გვ 45). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანა გამოირჩევა ლიბერალური სავაჭრო რეჟიმით მსოფლიოში. 2006 წლიდან, ქვეყანაში საიმპორტო ტარიფები პროდუქციის დაახლოებით 85%-ზეა გაუქმებული (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023). GSP+ რეჟიმისა და ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გათვალისწინებით, ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე, საქართველო-

ევროკავშირის ვაჭრობაზე ნაწილობრივ უკვე იყო ასახული თავისუფალი ვაჭრობის სარგებელი.

შესაბამისად, საქართველოს სავაჭრო სტრუქტურის ძირითადი ცვლილება 2006 წელს, მსოფლიოსთვის ცალმხრივად ტარიფების გაუქმებით მოხდა. თავის მხრივ ევროკავშირმა სატარიფო პრეფერენციები საქართველოსთვის 1999 წლიდან შემოიღო და 2006 წელს გააუმჯობესა. ამ სატარიფო სისტემის საფუძველზე, DCFTA-მ ძირითადად მოაწესრიგა და დაასრულა იქამდე არსებული ლიბერალიზაციის პროცესი (წყარო: Emerson & Kovziridze, 2021)

საქართველოს შემთხვევაში, DCFTA-ს ხელმოწერის შედეგად საბაჟო გადასახადები გაუქმდა ყველა პროდუქტზე მცირე გამონაკლისების გარდა. მთლიანობაში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაუქმდა გადასახადების 100% და 99.9%. ინდუსტრიულ პროდუქტზე, ორმხრივად გაუქმდა ყველა იმპორტის გადასახადი, ასევე სრულიად ლიბერალიზებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტები რამდენიმე გამონაკლისის გარდა (European Commission, 2014). საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის რამდენიმე სახეობაზე გავრცელებული შეზღუდვები მოიცავს:

- 28 სატარიფო ხაზზე შესვლის ფასის შენარჩუნებას (მთლიანი სიის 0.3%). აღნიშნული შეთანხმება გულისხმობს, რომ პროდუქტის გარკვეულ სახეობებზე ევროკავშირში დაწესებულია ფიქსირებული ფასი. საქართველოში წარმოებული პროდუქტის უფრო დაბალი ფასის მიუხედავად, აღნიშნული პროდუქტის იმპორტიორებს, პროდუქტის ღირებულებასა და ფიქსირებულ ფასს შორის განსხვავების გადახდის ვალდებულება აქვს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ შესვლის ფასის მსგავსი ან უფრო მაღალი ღირებულების შემთხვევაში, იმპორტიორი გათავისუფლებულია ყველა გადასახადისგან. ეს მექანიზმი ძირითადად ბოსტნეულისა და ხილის პროდუქტებზეა მიმართული.
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის 277 სატარიფო ხაზზე (მთლიანი სიის 3%) მოქმედებს გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი (Anti-circumvention Mechanism). ერთი წლის განმავლობაში, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული

პროდუქტის ფიქსირებული ოდენობის 70%-ის მიღწევის შემთხვევაში, ევროკავშირი ატყობინებს საქართველოს ამის შესახებ. აღნიშნულის საპასუხოდ ქვეყანა ვალდებულია ევროკავშირს დაუსაბუთოს გადაჭარბების მიზეზები (წარმოების ზრდა, კარგი მოსავალი და ა.შ) იმპორტის ლიმიტის ზრდისათვის.

- დამატებით შენარჩუნებულია სპეციალური კვოტა ნიორზე (220 ტონა), რაც გულისხმობს, რომ ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში წარმოშობილი ნიორის ევროკავშირში ტარიფის გარეშე ექსპორტი განსაზღვრული რაოდენობით არის შესაძლებელი. (DCFTA ბიზნესისათვის, 2023)

შეთანხმება ასევე მოიცავს თანამშრომლობას საბაჟო საკითხებში. ამ მიმართულებით, განსაზღვრულია საქართველოს ვალდებულება დაუახლოვოს საბაჟო კანონმდებლობა ევროკავშირის საბაჟო პროცედურებს. აღნიშნული თანამშრომლობის მიზანია, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ექსპორტის და იმპორტის პროცედურების გამარტივების ხელშეწყობა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023).

ასევე ევროკავშირში პროდუქტის ექსპორტისას აუცილებელია წარმოშობის წესების დაკმაყოფილება, რაც პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონული კონვენციის I დანართშია (PEM კონვენცია) განსაზღვრული. PEM კონვენცია მიზნად ისახავს 25 მხარეს (ევროკავშირი, EFTA, ბალკანეთის ქვეყნები და ევროკავშირის პარტნიორები სამხრეთ და აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონში) და ევროკავშირს შორის წარმოშობისა და კუმულაციის საერთო წესების დადგენას, ვაჭრობისა და ინტეგრაციის გასაადვილებლად.

საქართველო PEM-ის კონვენციის წევრი 2017 წლის 1 ივლისს გახდა. ამ მიმართულებით, ქვეყნის პოტენციური პარტნიორები ევროკავშირის და EFTA-ს ქვეყნები, ასევე თურქეთი უკრაინა და მოლდოვა არიან (kovziridze et al, 2017, გვ.10). დღესდღეობით, დიაგნოსტიკური კუმულაციის ინსტრუმენტი ოფიციალურად მიღებულია საქართველოს ევროკავშირთან და თურქეთთან ვაჭრობაში, რაც გულისხმობს თურქეთიდან იმპორტირებული ნედლი საქონლის გამოყენებით წარმოებული პროდუქტის, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმით ექსპორტირებას ევროკავშირის ბაზარზე (dcfta.gov.ge,

2021). ასევე, ცვლილებები განხორციელდა უკრაინასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში PEM-ის კონვენციისა და დიაგონალური კუმულაციის პრინციპების გათვალისწინებისათვის. აღნიშნული ინსტრუმენტის ამოქმედების მიუხედავად, მისი წარმატებით გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

DCFTA-ში მოცემული არასატარიფო ბარიერები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საბაჟო გადასახადებთან, მიმართულია ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქტის შესაბამისობის შეფასებაზე, აღნიშნული მოიცავს შემდეგ ვალდებულებებს:

- მხარეებმა უნდა უზრუნველყონ იმპორტირებული პროდუქტისა და ადგილობრივი წარმოების პროდუქტისათვის ერთნაირი რეჟიმის მინიჭება.
- შეთანხმებით აკრძალულია დაუსაბუთებელი სავაჭრო ბარიერების გამოყენება, სანიტარიული და ფიტოსანიტარული ან ინდუსტრიული პროდუქტის ტექნიკური სტანდარტების მიმართულებით და სხვა (European Commission guide, 2014)

დამატებით, შეთანხმება ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს რეგულაციების ჰარმონიზაციას მოიცავს, რაც გულისხმობს რომ ქვეყნის ტექნიკური წესები, ევროკავშირის წესების მსგავსი უნდა იყოს. რეგულაციები მოიცავს პროდუქტის აკრედიტაციისა და პროდუქტის უსაფრთხოების წესების გათვალისწინებას. ევროკავშირში საქართველოდან წარმოებული პროდუქტის იმპორტისას საჭიროა ევროკავშირის შესაბამისობის დეკლარაციის მიღება, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია, შესაბამისი ორგანოდან შეფასების მიღებისთვის გარკვეული დროისა და ფინანსური რესურსის საჭიროებასთან (European Commission, Access2Market, 2023).

აღნიშნული ნაწილი, ევროკავშირის შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოსთან, საქართველოს შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურის დაახლოებას მოიცავს, მათ შორის სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, ბაზრის ზედამხედველობის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის მიმართულებებით. აღნიშნული თავის მხრივ, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციონალურ დაახლოებას გულისხმობს. ამ მიმართულებით, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოცემულია შეთანხმების მე-3 დანართში. 2024 წლისათვის საქართველოს სექტორული

21 დირექტივისა და რეგულაციის, ხოლო ჰორიზონტალური 6 სამართლებრივი აქტის იმპლემენტაციის ვალდებულება აქვს (ასოცირების შეთანხმება, 2014, გვ.243-245).

მხარეებს შორის სანიტარიული და ფიტოსანიტარული ზომებით დაფარული საქონლით ვაჭრობის ხელშეწყობისათვის, შეთანხმების მე-11 დანართში, ჩამოთვლილია სამართლებრივი აქტები ადამიანის, ცხოველის ან მცენარის სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, მათ შორის:

- ვეტერინარიის მიმართულებით 84 დირექტივა და რეგულაცია. 2022 წლის ჩათვლით მისაღებია 63 აქტი, ხოლო დანარჩენი 21 სამართლებრივი აქტის ჰარმონიზება 2028 წლამდეა გაწერილი.
- სურსათის უვნებლობის მიმართულებით, DCFTA ითვალისწინებს 101 ევროკავშირის საკანონმდებლო აქტთან დაახლოებას. 74 აქტი 2023 წლამდეა მისაღები, ხოლო დანარჩენი 2026 წლამდეა გაწერილი.
- მცენარეთა დაცვის მიმართულებით, შეთანხმება 87 სამართლებრივ აქტთან დაახლოების ვალდებულებას ითვალისწინებს. 51 სამართლებრივი აქტის იმპლემენტაცია 2023 წლამდეა სავალდებულო, ხოლო დარჩენილი 36 აქტის მიღების ვადები 2026 წლამდეა გაწერილი. (ასოცირების შეთანხმება, 2014, გვ. 275-293)

### **2.3 DCFTA მოლდოვაში - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ანალიზი**

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე, 1998 წლიდან, ევროკავშირისა და მოლდოვას შორის გაფორმებული იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA). 1995 წლიდან ქვეყანა პრეფერენციების განზოგადებული სქემით (GSP) სარგებლობდა, ხოლო 2006 წლიდან GSP+-ით. აღნიშნული ინსტრუმენტებისა და ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საფუძველზე 2007 წლიდან, მოლდოვა ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (CEFTA) წევრი გახდა. 2008-2015 წლებში, ავტონომიური სავაჭრო პრეფერენციების (ATP) სისტემის სარგებლობდა, რის საფუძველზეც მოლდოვამ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება DCFTA-მდე დაიწყო. (Akhvlediani, Moldova, 2022)

საქართველოსგან განსხვავებით, მოლდოვის შემთხვევაში, ევროკავშირთან სავაჭრო ტარიფების გაუქმების პროცესი ეტაპობრივი იყო. ინდუსტრიული პროდუქტის შემთხვევაში, ევროკავშირმა გააუქმა ყველა ტარიფი, ხოლო მოლდოვიდან, გარკვეულ პროდუქტზე ტარიფები 3-5-წლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ გაუქმდა. ეს პროდუქტი მოიცავდა პლასტმასსა და მსგავს პროდუქტებს, ავეჯს, სხვადასხვა ტექსტილის ნაწარმს (მაგ. ხალიჩები და ტანსაცმელი).

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიმართულებით, გარკვეულ პროდუქტებზე, მოლდოვის მხრიდან გათვალისწინებულია ტარიფების გაუქმების 10-წლიანი გარდამავალი პერიოდი, მაგალითისათვის ღვინო და ზოგიერთ საკვები პროდუქტები. დამატებით, ქვეყანამ გააუქმა ტარიფები სენსიტიურ პროდუქტზე სატარიფო განაკვეთის კვოტების შენარჩუნების პირობით. აღნიშნული საქონელი მოიცავს ღორისა და ფრინველის ხორცს, რძის ნაწარმს, გადამუშავებულ ხორცის პროდუქტებსა და შაქარს.

თავის მხრივ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ევროკავშირმა მოლდოვისათვის ყველა ტარიფი შეთანხმების ამოქმედებისთანავე გააუქმა. ეს გამონაკლისები განსაზღვრულ პროდუქტებზე სპეციალური კვოტების დაწესებას მოიცავს და მიმართულია პომიდორზე, ნიორზე, ყურძენზე, ვაშლზე, ალუბალსა და ქლიავზე. ასევე, საქართველოს მსგავსად მოლდოვასთან სავაჭრო შეთანხმებაში გათვალისწინებულია ევროკავშირში შესვლის ფასი 20 სასაქონლო პოზიციაზე, რომელიც ძირითადად ბოსტნეულისა და ხილის პროდუქტს ფარავს. რაც შეეხება, გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს, შეთანხმებაში გათვალისწინებულია 174 სოფლის მეურნეობის პროდუქტზე აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება (ასოცირების შეთანხმება, მოლდოვა, გვ.275-288).

2015 წლის 1 სექტემბრიდან მოლდოვა PEM-ის კონვენციის წევრია. ქვეყანას თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები კონვენციის რამდენიმე წევრთან აქვს, მათ შორის ევროკავშირთან, თურქეთთან და CEFTA-ქვეყნებთან. თუმცა კონვენციის გამოყენებისათვის, აუცილებელია შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულების რედაქტირება (Kovziridze et al, 2017, 11). საქართველოს მსგავსად, მოლდოვაშიც არ ფიქსირდება დიაგონალური კუბულაციის ინტრუმენტით მიღებული სარგებელი.



სატარიფო ბარიერების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, შეთანხმებით განსაზღვრული არასატარიფო ზომების განხილვა. საქართველოს მსგავსად, შეთანხმებაში გათვალისწინებულია ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების შესაბამისად, მოლდოვის კანონმდებლობის ცვლილება. (დანართი XVI და XVII) (European Commission, Access2Market, Moldova, 2023).

ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერების მიმართულებით, მოლდოვის შეთანხმება 2021 წლამდე, 5 ჰორიზონტალურ და 73 ვერტიკალურ სამართლებრივ აქტთან დაახლოებას ითვალისწინებს.

სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიმართულებით, გათვალისწინებულია ზოგადი 10 საკანონმდებლო აქტი, ვეტერინარიის მიმართულებით, ასევე 78 რეგულაცია და დირექტივა, სურსათის უვნებლობის სფეროში - 89, ხოლო მცენარეთა დაცვის სფეროში - 64 სამართლებრივი აქტი (ასოცირების შეთანხმება, მოლდოვა 2014, გვ. 342-393).

ვაჭრობაში დაცვითი ზომების მიმართულებით, ხაზგასასმელია, რომ 2004 წლიდან, ევროკავშირს შემოღებული ჰქონდა ანტიდემპინგური ზომები მოლდოვიდან იმპორტირებულ ფოლადის თოკებსა და კაბელებზე. აღნიშნული ღონისძიება, მიმართული იყო უკრაინის მცდელობით, მოლდოვის გავლით თავი აერიდებინა უკრაინიდან ექსპორტირებულ პროდუქტზე დაწესებული ტარიფისთვის. ტარიფი რამდენჯერმე განახლდა, 2017 წლის თებერვალში ვადის გასვლამდე. (Emerson &, Cenuşa 2021, გვ.59). ზოგადად, ევროკავშირი და მოლდოვა, ვაჭრობაში დაცვითი ზომებს ერთმანეთის მიმართ ნაკლებად იყენებენ.

## **2.4 DCFTA უკრაინაში - სატარიფო და არასატარიფო ბარიერების ანალიზი**

უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების გაფორმებამ, იქამდე არსებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA) ჩაანაცვლა. PCA უკრაინასთან 1994 წელს გაფორმდა და ძალაში 1998 წლიდან შევიდა (Loo, Elsuwege & Petro, 2014, გვ. 11). PCA-სთან გარდა, 1993 წლიდან უკრაინა ევროკავშირის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) რეჟიმის ბენეფიციარი იყო, რომელიც

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე (MFN) დაბალ ტარიფებს 6000-მდე პროდუქტის დასახელებაზე ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტემა უკრაინის ექსპორტის 25%-ზე ნაკლებზე ვრცელდებოდა, მისი გამოყენების მაჩვენებელი ერთობ მაღალი იყო და 9100-ს აღწევდა (Dabrowski, Marek; Taran, Svitlana, 2012, გვ. 16) ამ მიმართულებით, ხაზგასასმელია, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე დანარჩენი ორი ასოცირებული ქვეყნისაგან განსხვავებით უკრაინა არ სარგებლობდა GSP+ რეჟიმით.

ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის საფუძველზე კი, უკრაინასა და ევროკავშირს შორის, საქონლით ვაჭრობის მიმართულებით გაუქმებულია ტარიფების უმეტესობა (ევროკავშირისთვის 98.1%, ხოლო უკრაინისათვის 99.1%).

ინდუსტრიული პროდუქტისთვის ძირითადი ნაწილისთვის ტარიფის გაუქმების მიუხედავად, მხარეები გარკვეული პროდუქტის მიმართ გარდამავალ პერიოდზე შეთანხმდნენ. ევროკავშირის მხრიდან, პროდუქტის 94.7%-ზე გაუქმდა სატარიფო გადასახადები, დანარჩენებზე კი შემდეგი გარდამავალი პერიოდები იქნა შეთანხმებული: მინერალები - 2019 წელი; ქიმიკატები - 2021 წელი; სასუქები - 2023 წელი; ხის ნაწარმი - 2021 წელი; ფეხსაცმელი - 2021 წელი; სპილენძის ნაწარმი - 2021 წელი; ალუმინის ნაწარმი - 2023 წ და მანქანები და ავტომობილების უმეტესობა - 2023 წ.

შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, ევროკავშირიდან უკრაინაში ექსპორტირებული ინდუსტრიული პროდუქტის 49.2% გათავისუფლდა გადასახადებისგან. 2023 წლისათვის, ეს მაჩვენებელი 96%-მდე გაიზარდება, და მოიცავს ტარიფების გაუქმებას: მინერალები - 2023 წელი; ორგანული ქიმიკატები - 2019 წელი; სასუქები - 2019 წელი; რეზინის საბურავები - 2021 წელი; ტყავის ნაწარმი - 2021 წ და ქსოვილები - 2019 წ. უკრაინის სატრანსპორტო სექტორი ასევე ისარგებლებს გარდამავალი პერიოდით, რომელიც 2026 წლამდე გაგრძელდება (European Commission, Ukraine, 2023).

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საქონელს, ევროკავშირმა იმპორტირებული პროდუქტის უმეტესობაზე გააუქმა იმპორტის გადასახადი. გამონაკლისებზე შენარჩუნებულია სატარიფო განაკვეთის კვოტები. საქართველოსა და მოლდოვასთან

შედარებით კვოტები უფრო დიდი რაოდენობის პროდუქციას მოიცავს და ხორცის, რძის ნაწარმის, ზოგიერთი ხილის და სხვა პროდუქტებზეა მიმართული (ჯამში 36 პროდუქტი).

ამავდროულად, უკრაინაში სასოფლო სამეურნეო პროდუქტის იმპორტის მიმართულებით, შეთანხმების ხელმოწერისთანავე ტარიფი გაუქმნდა მთლიანი სიის თითქმის ნახევარზე, თუმცა ნაწილზე შენარჩუნებულ იქნა 2023 წლამდე გარდამავალი პერიოდი.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმება არ ითვალისწინებს ყველა პროდუქტზე ტარიფის 0 პროცენტამდე შემცირებას. მაგალითისათვის 2026 წლისთვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 8.7%-ზე (რძის პროდუქტი, კვერცხი, შაქარი და სხვ.) ტარიფის შეზღუდული შემცირების (20-60%) შედეგად, გამოყენებული იქნება ნარჩენი ტარიფი. ხორცის პროდუქტსა და შაქარზე კი, შენარჩუნებულია სპეციალური კვოტები (ასოცირების შეთანხმება, უკრაინა, 2021, გვ. 1601-14). სატარიფო განაკვეთების გაუქმების მიმართულებით, გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირს ყველაზე მეტი ტარიფები სწორად უკრაინასთან ვაჭრობის შემთხვევაში აქვს შენარჩუნებული. ასევე საკმაოდ მაღალია უკრაინის მიერ შენარჩუნებული შეზღუდვები ევროკავშირიდან პროდუქტის იმპორტის მიმართულებით.

სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, უკრაინაში, 2026 წლამდე, ასევე გარდამავალი პერიოდით, დაიშვა ექსპორტის გადასახადის შენარჩუნება, რომელიც ძირითადად მეცხოველეობის, ნედლეულის, ზოგიერთი სახის ზეთის და ლითონის სახეობებზე არის მიმართული.

კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც მხოლოდ უკრაინის შემთხვევაშია გათვალისწინებული, 2031 წლამდე, სპეციალურ დაცვითი ზომის (safeguard measure) მოქმედებას მოიცავს. ეს ინსტრუმენტი, უკრაინას ნედლეულზე, მზესუმზირის თესლზე, ლითონის, ფოლადის და სპილენძის სახეობებზე ექსპორტის დამატებითი გადასახადის დაწესების უფლებამოსილებას ანიჭებს (European Commission, Ukraine, 2023).

დამატებით, ვაჭრობის ხელშეწყობის მიმართულებით, პროდუქტის წარმოშობის წესების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია 2018 წლის თებერვალში უკრაინის PEM-ის კონვენციასთან შეერთება. უკრაინას კონვენციის წევრებს შორის თავისუფალი ვაჭრობის

შეთანხმება ევროკავშირის ქვეყნების გარდა, საქართველოსთან, EFTA-ს ქვეყნებთან, ჩრდილოეთ მაკედონიასთან, მოლდოვასთან და მონტენეგროსთან აქვს. ასევე, უკრაინა მოლაპარაკებებს აწარმოებს, კონვენციის ორ მნიშვნელოვან წევრ ქვეყანასთან, თურქეთსა და ისრაელთან (Kovziridze et al, 2017, pp.12).

2020 წელს, განახლდა უკრაინა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, კონვენციის შესაბამისი წარმოშობის წესებისა და დიაგონალური კუმულაციის ინსტრუმენტის გამოყენების მიმართულებით. ასევე, ქვეყანამ განახლა მოლდოვასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელიც ძალაში შესვლის და ამოქმედების პროცესშია (Ministry of Economy of Ukraine, 2023).

არასატარიფო ბარიერების მიმართულებით, უკრაინა ევროკავშირის სავაჭრო შეთანხმება, ასევე მოიცავს ტექნიკური სტანდარტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს. უკრაინის დაახლოების რეგულაციები მოიცავს აკრედიტაციისა და ბაზარზე განთავსების წესებს და უსაფრთხოების სტანდარტებს.

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებით, უკრაინას აღებული აქვს ევროკავშირის ჰორიზონტალურ 5 და ვერტიკალურ 27 დირექტივასა და რეგულაციასთან დაახლოების ვალდებულება, რომელიც ფარავს უსაფრთხოების მოთხოვნებს სხვადასხვა სახის პროდუქტზე, როგორც არის მოწყობილობები, ლიფტები, სათამაშოები, სამედიცინო ტექნიკა და სხვ. დაახლოების ვადები 2021 წლით არის განსაზღვრული (ასოცირების შეთანხმება, უკრაინა, 2016, გვ.1696-97).

ასევე, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეთანხმებაში გათვალისწინებულია სანიტარული და ფიტოსანიტარული წესებთან უკრაინის კანონმდებლობის აპროქსიმაცია. ამ მიმართულებით, შეთანხმების მე-4 დანართში განსაზღვრულია ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, მათ შორის სურსათის უვნებლობის მიმართულებით - 69 სამართლებრივი აქტი, ვეტერინარიის სფეროში 82 აქტი, მცენარეთა დაცვის მიმართულებით კი - 92 რეგულაცია და დირექტივა (ასოცირების შეთანხმება, უკრაინა, 2016, გვ. 1705-25). მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური ბარიერები და უსაფრთხოების სტანდარტები მნიშვნელოვანია, ხშირად ისინი

საერთაშორის ვაჭრობისათვის შემზღვეველ ფაქტორს წარმოადგენს და ექსპორტიორებისთვის ფინანსური ტვირთია.

ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ ვითარება შეიცვალა 2022 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შედეგად. 2022 წლის ივნისიდან, ძალაში შევიდა ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც ერთი წლით უკრაინასთან ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციასა და ყველა დაცვითი ზომის გაუქმებას ითვალისწინებს (European Commission, Ukraine, 2023). აღნიშნული შედეგათი, უკრაინის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა.

ევროკავშირისა და უკრაინის ურთიერთობაში ვაჭრობაში დაცვითი ზომების მიმართულებით, 2005 წლამდე გამოყენებული იყო ანტიდემპინგური ღონისძიებები მეტალურგიული და ქიმიური წარმოების პროდუქტზე. 2005 წლის შემდეგ საბაზრო ეკონომიკის სტატუსის მოპოვების შედეგად და ენერგო რესურსებზე ფასების დაახლოების საფუძველზე, უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ანტიდემპინგური შესწავლის შემთხვევები შემცირდა. თუმცა, ევროკავშირი ისევ იყენებს ანტიდემპინგურ ტარიფს, უკრაინული რკინისა და ფოლადის პროდუქციაზე. ასევე, უკრაინას შემოღებული აქვს ანტიდემპინგური ზომა პოლონეთიდან იმპორტირებულ სამედიცინო რეზინის საცობებზე (Emerson & Movchan, 2021, გვ.62-65).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის შეთხვევაში, ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით, ვლინდება სავაჭრო შეთანხმების ასიმეტრიულობა. ევროკავშირის მხრიდან ლიბერალიზაცია თითქმის ყველა პროდუქტს შეეხო, მაშინ როდესაც, უკრაინის მხრიდან შენარჩუნებულია გარდამავალი პერიოდი არაერთი სახეობის პროდუქტით ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. რის საფუძველზეც, უკრაინას, ევროკავშირის ბაზრიდან სრული კონკურენციის დაწყებამდე, ექსპორტის განვითარების შესაძლებლობა ეძლევა.

## 2.5 საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში DCFTA-ს იმპლემენტაცია

მოცემული თავის მიზანია, ასოცირებულ ქვეყნებში DCFTA-ს შეთანხმებებით, ვაჭრობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მაჩვენებლების ანალიზი.

კვლევაში, DCFTA-თ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პროგრესის შესაფასებლად, ყურადღებას გავამახვილებთ ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე, მათ შორის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების, საბაჟო კანონმდებლობისა და ვაჭრობაში დაცვითი ზომების მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებზე. შერჩეული კრიტერიუმების შეფასებისთვის გამოყენებულია ევროპარლამენტისა და ევროკომისიის ანგარიშები, სახელმწიფო ოფიციალური დოკუმენტების და კვლევითი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული შეფასებები.

ძირითად წყაროს კი, ევროკომისიის ანალიტიკური ანგარიში(2023) წარმოადგენს, რომელშიც შეფასებულია საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მზაობა ევროკავშირში გაწევრიანების ვალდებულებების შესრულების მიმართულებით. ანგარიშში, ევროკავშირის კითხვარზე ქვეყნების მიერ წარმოდგენილი პასუხების საფუძველზე შეფასებულია ასოცირებული ტრიოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკავშირის სამართალთან, მათ შორის წარმოდგენილია DCFTA-ს მიერ დაფარული კანონმდებლობა. ანგარიშიდან, საგარეო ვაჭრობაზე გავლენის მქონე სექტორებად შევარჩიეთ მეორე კლასტერის „შიდა ბაზარი“, პირველი თავი „საქონლის თავისუფალი გადაადგილება“, მესამე კლასტერის „კონკურენტუნარიანობა და ინკლუზიური ზრდა“ , 29-ე თავი „საბაჟო გაერთიანება“ და მეხუთე კლასტერის „რესურსები და სოფლის მეურნეობა“, მე-12 თავი “სურსათის უვნებლობა, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა“.

კიდევ ერთ წყაროს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსი წარმოადგენს. კვლევის მიზანს, ევროკავშირის პოლიტიკასთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოლიტიკის დაახლოების შეფასება წარმოადგენს. შესაბამისად, ამ ნაწილში წარმოდგენილია, 2021 წლის მონაცემებით, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების,

ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების მაჩვენებლები. სადოქტორო ნაშრომში, მთლიანი EaP ინდექსის ანგარიშიდან, გამოყენებულია საბაზრო ეკონომიკისა და DCFTA-ს მიმართულება.

იმის გათვალისწინებით, რომ DCFTA-ს შედეგად, ევროკავშირსა და ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში გაუქმებულია სავაჭრო ტარიფების უმეტესობა, ხოლო დარჩენილი ტარიფები გარდამავალი პერიოდის შემდეგ გაუქმდება, ვაჭრობისთვის ძირითადი დაბრკოლება, სწორად არასატარიფო ბარიერებია. შესაბამისად, DCFTA-ს ეფექტიანობის შეფასებისთვის, აუცილებელია ვაჭრობაში ტექნიკური სტანდარტებისა და უსაფრთხოების ნორმების, ასევე სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიმართულებით არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასება.

**ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები.** საქართველოში საქონლის თავისუფალი გადაადგილების მიმართულებით, ტექნიკური რეგლამენტების სამართლებრივი საფუძველი და ადმინისტრაციული სტრუქტურა, ასევე სტანდარტები, აკრედიტაცია, მეტროლოგია და ბაზრის ზედამხედველობის სისტემა დანერგილია და ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. ანგარიშის მიხედვით, პროდუქტის თავისუფალი გადაადგილების მიმართულებით საქართველო **მომზადების გარკვეულ დონეზეა**. გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია ევროკავშირის ახალ მიდგომით კანონმდებლობის დაახლოების მიმართულებით. (European Commission, Georgia, 2023).

ჰორიზონტალური დაახლოების მიმართულება გათვალისწინებულია, 2012 წელს მიღებულ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. სექტორული დაახლოების მიმართულებით კი, 2020 წლის მდგომარეობით მიღებულია 12 დირექტივის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი. მთლიანობაში, დაახლოების მაჩვენებლები მიყვება DCFTA დღის წესრიგს (Ceps Georgia, 2023, გვ.48). ასევე, 2022 წელს, აკრედიტაციის ცენტრი ლაბორატორიების საერთაშორისო აკრედიტაციის თანამშრომლობის ორგანიზაციის (ILAC) სრულყოფილებიანი წევრი გახდა (აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ცენტრი, 2023). ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების მიმართულებით, საქართველომ მიიღო 16000 სტანდარტი, მათ შორის 8000 ევროპულია. ასევე მნიშვნელოვანია, ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან დაახლოებული ტექნიკური

რეგულაციების აღსრულების მიზნით, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ჩამოყალიბება (Implementation report, Georgia, 2023, pp.14).

ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების შესაბამისად, **მოლდოვაში** ამოქმედებულია საქონლის თავისუფალი მიმოქცევის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს გარკვეული ელემენტები. ნაწილობრივ დაახლოებულია ტექნიკური რეგულაციების, სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, მეტროლოგიისა და ბაზრის ზედამხედველობის მიმართულებები (Implementation report, Moldova, 2023).

ევროკავშირის ინსტიტუტების წევრობა, მოლდოვისთვის 'ერთხელ აკრედიტებული, ყველგან მიღებული' კონცეფციის გამოყენების შესაძლებლობას წარმოადგენს, რაც ეროვნულ სააგენტოს, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს აკრედიტაციის ორგანოსთან, თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. გარდა ამისა, მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტი, ევროპული მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ასოციაციის წევრი გახდა (Implementation report, 2021, Moldova, pp.17).

მიღებულია ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი კანონი აკრედიტაციის შესახებ. აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობის წევრი და ევროპის აკრედიტაციის მრავალმხრივი ხელშეკრულების ხელმომწერია. დღესდღეობით, მოლდოვაში შესაბამისობის შეფასების 12 აკრედიტებული ორგანოა.

შეჯამების სახით, ანგარიშში წარმოდგენილი შეფასებით, მოლდოვაში პროდუქტის თავისუფალი გადაადგილების სექტორი **მომზადების გარკვეულ დონეზეა**. მოლდოვისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება „ხარისხის ინფრასტრუქტურის“ მიმართულებით და ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფისათვის საკმარისი შესაძლებლობების შექმნა (European Commission, Moldova, 2023).

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანია მოლდოვის ეკონომიკისათვის. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო დაახლოების მიმართულებით ვლინდება ვალდებულების დროულად შეუსრულებლობა, რაც



მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების ბაზრის ზედამხედველობისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შესრულებასთან არის დაკავშირებული. ასევე შეზღუდულია, ინდუსტრიული პროდუქტის შესაბამისობის შეფასებისა და მიღების შეთანხმებაზე (ACAA) მოლაპარაკებების პროგრესი (Akhvlediani, Moldova, გვ. 47-48)

სხვა ქვეყნების მსგავსად უკრაინის შემთხვევაშიც, DCFTA-თ გათვალისწინებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ძირითად სექტორებში პროდუქტის საკანონმდებლო ბაზის დაახლოების ვალდებულებები, რის საფუძველზეც უკრაინას ევროკავშირის ბაზარზე არა საკვები პროდუქტის ექსპორტის შესაძლებლობა ეძლევა.

უკრაინა და ევროკავშირი ინდუსტრიული პროდუქტის შესაბამისობის შეფასებისა და მიღების შეთანხმებაზე (ACAA) მუშაობენ. მხარეები შეთანხმდნენ ორ საფეხურიან სამართლებრივ და ფუნქციურ წინასწარ შეფასებაზე, ევროკავშირის წესებთან ჰარმონიზების დადგენისათვის.

ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტების, შესაბამისობის შეფასების, აკრედიტაციის, მეტროლოგიისა და ბაზრის ზედამხედველობის სამართლებრივი საფუძველი და ადმინისტრაციული სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. შეჯამების სახით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკრაინა **მომზადების საშუალო დონეზეა** პროდუქტის თავისუფლად გადაადგილების სფეროში. გადადგმულია ნაბიჯები ევროკავშირის სამართალთან დაახლოების მიმართულებით, თუმცა პროცესი არ არის დასრულებული. ყველა ჩართული ორგანო კი, შესაძლებლობების გაძლიერებას და კოორდინაციის გაუმჯობესებას საჭიროებს (European Commission, Ukraine, 2023).

**სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები.** კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სურსათის უვნებლობა, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა (SPS) წარმოადგენს. ამ მიმართულებით, DCFTA-ს იმპლემენტაციას დადებითი გავლენა აქვს, საერთაშორისო ბაზარზე საკვებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასოცირებულ ქვეყნებში მოცემული სტანდარტების მიმართულებით არსებული პროგრესის ანალიზი.

აღნიშნული მიმართულებით საქართველოს რეგულაციები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ევროკავშირის რეგულაციებთან და სრული დაახლოება 2027 წლისათვის იგეგმება. ევროკავშირის ანგარიშის (2021, გვ. 14) მიხედვით, 272 საკანონმდებლო ნორმიდან საქართველოში 169 რეგულაციას მიღებული. ჰარმონიზებულია მეცხოველეობის წარმოების რეგულაციების უმეტესობა, სანიტარიული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებამ, ევროკავშირის ბაზარი შეზღუდული რაოდენობის ქართული პროდუქტისთვის გახსნა. საჭიროა მონიტორინგისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება. კანონმდებლობა და ორგანიზაციული საკითხები შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს, თუმცა ზედამხედველობის სისტემის არაეფექტურობის და დიაგნოსტიკური რესურსების ნაკლებობის გამო, შესაბამისი ორგანო ვერ უზრუნველყოფს გარანტიების საჭირო დონეს.

საქართველოში წარმოებული პროდუქტიდან ევროკავშირში ექსპორტისთვის ავტორიზაცია მიღებულია ლოკოკინების, შინაური ცხოველების საკვების, თევზის გარკვეული პროდუქტების, თაფლისა და ცხოველური პროდუქტების სექტორებში. ასევე მიმდინარეობს მუშაობა ფუტკრისა და თევზის სხვა პროდუქტებზე. საქართველოსთვის გამოწვევაა თხილის პროდუქტის მიმართულებით არსებული ევროკავშირის სტანდარტის დაკმაყოფილება. დამატებით, საქართველოს შიდა ლაბორატორიული ტესტირების შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის ევროკავშირის SPS-ისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტების შესაბამისი.

შეჯამების სახით, ანგარიშში SPS-ის მიმართულებით საქართველოს შესაბამისობის მაჩვენებელი **მომზადების გარკვეული დონით** არის განსაზღვრული. რისკები დაკავშირებულია საკანონმდებლო დაახლოებასა და ეფექტურ აღსრულებას შორის განსხვავებების გავრცელებასთან. საჭიროა სურსათის უვნებლობის ყოვლისმომცველი სტრატეგია და გადასახედია პოლიტიკისა და ინსტიტუციური რეფორმა. მნიშვნელოვანი შეფერხებებია ახალი კანონმდებლობის ეფექტიანი დანერგვის მიმართულებით, ასევე შესუსტებისა და კონტროლის შემცირების მიმართულებით (European Commission, Georgia, 2023).

2020 წლის მდგომარეობით, კანონმდებლობის დაახლოების მაჩვენებელი 87% შეადგენს. SPS სტანდარტების მიღება, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, რეგულაციების უმეტესობაში გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდები კერძო სექტორის მომზადებისთვის საჭირო დროის უზრუნველსაყოფად (Akhvlediani, Georgia, 2023, გვ.47-53).

**მოლდოვაში,** SPS ზომების მიხედვით, DCFTA-ში წარმოდგენილია საკანონმდებლო აქტებიდან მოლდოვა სრულად დაახლოებული 153, ნაწილობრივ 7, არ არის დაახლოებული 68 აქტთან, 7-კი, გაუქმებულია (Akhvlediani, moldova, გვ. 46-47) SPS ზომების წარმატებულად შესრულების საფუძველზე, ევროკავშირის ბაზარი გახსნილია ვეტერინარული და მცენარეთა ჯანმრთელობის სექტორის რამდენიმე პროდუქტისათვის. გაუმჯობესებას საჭიროებს ცხოველთა ჯანმრთელობის, სურსათის უვნებლობის და ბიოუსაფრთხოების მიმართულებები მონიტორინგისა და ზედამხედველობის, ასევე აღსრულების სისტემები. ექსპორტის მიმართულებით ეროვნული კანონმდებლობა და აღსრულების წესები შესაბამისობაშია ევროკავშირის სამართალთან, თუმცა ზედამხედველობის სისტემის არაეფექტურობის და დიაგნოსტიკური რესურსების ნაკლებობის გამო, შესაბამისი ორგანო ყველა ცხოველური პროდუქტისთვის ვერ უზრუნველყოფს გარანტიების საჭირო დონეს.

მოლდოვიდან ევროკავშირში დაშვებულია თაფლის, ხიზილალის და 2021 წლიდან რძის პროდუქტის, კვერცხის, გარკვეული სახის თევზის, ლოკოკინის, ფრინველისაგან მიღებული პროდუქტის (ჟელატინი და კოლაგენი) ექსპორტი. ასევე, დაშვებაზე გადაწყვეტილების მოლოდინშია ახალი ფრინველის ხორცის, მაგიდის კვერცხის სექტორები.

SPS-ს დარგში მოლდოვამ **მომზადების გარკვეულ დონეს** მიაღწია. აღნიშნული მიმართულებით, საჭიროა კანონმდებლობის შემდგომი დაახლოება და აღსრულების წესების განვითარება. ასევე, აუცილებელია ადმინისტრაციული შესაბამისი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება (European Commission, Moldova, 2023). SPS-ს მიმართულებით მოლდოვის ჰარმონიზაციის მაჩვენებელი არასაკმარისია, გამოწვევები

დაკავშირებულია სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს შეზღუდულ შესაძლებლობებთან. ექსპორტისთვის ნებადართული პროდუქტების სია კი, საკმაოდ შეზღუდულია. (Akhvlediani, Moldova, გვ. 14-15)

2022 წლის ივნისისათვის, **უკრაინაში**, SPS-ს ზომების მიღების მიმართულებით ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 77 აქტი სრულიად იქნა ჰარმონიზებული, ხოლო 69 აქტზე მიმდინარეობს მუშაობა. დაახლოებულ საკანონმდებლო ბაზას აკლია ფიტოსანიტარული რეგულაციები.

უკრაინაში არსებობს ავტორიზებული ლაბორატორიები, რომელთა მეთოდები დამაკმაყოფილებელია, თუმცა საჭიროებენ გაუმჯობესებას. საჭიროა, ევროკავშირის სავაჭრო კონტროლისა და საექსპორტო სისტემაში უკრაინის მონაწილეობის უზრუნველყოფა. სურსათის უვნებლობის მიმართულებით, გაზრდილია უკრაინის საექსპორტო პოზიციების ჩამონათვალი, რომელიც დაშვებულია ევროკავშირში. სურსათის უვნებლობის მიმართულებით, 2017 წელს ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღების საფუძველზე, ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიზნით, მიღებულ იქნა 30-ზე მეტი კანონქვემდებარე აქტი.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარული ზომების მიმართულებით, უკრაინა **მომზადების საშუალო დონეზეა**. ამ მიმართულებით, საჭიროა ოფიციალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიებისა და იმპორტის ოფიციალური კონტროლის მუშაობისა და პროცედურების დაახლოება ევროკავშირის წესებთან, ასევე ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა და კოორდინაციის გაუმჯობესება (European Commission, Ukraine, 2023).

ამასთანავე ხაზგასასმელია, რომ უკრაინიდან ევროკავშირში ექსპორტისათვის ავტორიზაცია მიღებული აქვს 300 მეტ კომპანიას 12 სექტორში, რაც სხვა ქვეყნების მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება. ჩამონათვალი მოიცავს საკვებიდან: ფრინველისა და კურდღლის ხორცს, დაკეპილ ხორცს, ხორცის პროდუქტებს, თევზის პროდუქციას, რძის პროდუქტებს, კვერცხს, ბაყაყის ფხებებსა და ლოკოკინებს, ხოლო ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან, რძის, მცენარეებს, ცხოველური პროდუქტების

შეგროვების ან დამუშავების სხვა საშუალებებს, გადამამუშავებელ საწარმოებს, შინაური ცხოველების საკვებ მცენარეებს (Emerson & Movchan, 2021, გვ.107).

**საბაჟო კანონმდებლობა.** მხარეებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობაზე ასევე დიდი გავლენა აქვს საბაჟო სისტემის ჰარმონიზებისა და გამარტივების მიმართულებას.

საქართველოს შემთხვევაში, 2019 წელს მიღებული საბაჟო კოდექსი, ევროკავშირის საბაჟო კოდექსის შესაბამისია. ასევე, საქართველო PEM-ის კონვენციის წევრია და სარგებლობს წარმოშობის წესებისა და დიაგონალური კუმულაციის ინსტრუმენტით. განვითარების ეტაპზეა ეროვნული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამა. საქართველო ემზადება „საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ“ და „საერთო სატრანზიტო პროცედურის შესახებ“ კონვენციასთან მიერთებისთვის. საბაჟო წესების მიმართულებით, საქართველო **მომზადების საშუალო დონეზეა**. საჭიროა 2019 წელს მიღებული კანონმდებლობის დახვეწა და ადმინისტრაციული და საოპერაციო შესაძლებლობების გაზრდა (European Commission, Georgia, 2023).

ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ 2019 წელს OECD-ის მიერ გამოქვეყნებულ ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, სავაჭრო საზოგადოების ჩართულობის, დოკუმენტების სიმარტივისა და ჰარმონიზაციის, საბაჟო პროცედურების ავტომატიზაციის, პროცედურების გამარტივებისა და შიდა სასაზღვრო სააგენტოების თანამშრომლობის მიმართულებით. ახალი საბაჟო კოდექსი მეტწილად შესაბამისობაშია, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან. ამ მიმართულებით გამონაკლის სატრანზიტო პროცედურები წარმოადგენს, რომლის დაახლოებაც 2024 წლისათვის, „საერთო სატრანზიტო პროცედურის შესახებ“ კონვენციასთან შეერთების შემდეგ იგეგმება (Akhvlediani, Georgia, 2023, გვ.14-15)

DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად, ასევე გათვალისწინებულია მოლდოვის საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება. ახალი საბაჟო კოდექსი ნაწილობრივ შესაბამისობაშია, თუმცა საჭიროა აღმასრულებელი

რეგულაციების მიღება. მოლდოვა PEM-ის კონვენციის წევრია. ეროვნული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამა ევროკავშირის წესების შესაბამისია და ორმხრივი აღიარება 2022 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა. საბაჟო უწყება საჭიროებს ადმინისტრაციული და საოპერაციო შესაძლებლობების განახლებას ევროკავშირის სტრუქტურების შესაბამისად. ანგარიშის მიხედვით, საბაჟო სისტემა **მომზადების გარკვეული დონით** არის შეფასებული. ხაზგასასმელია, რომ საბაჟო კანონი არ არის სრულ შესაბამისობაში ევროკავშირის საბაჟო კოდექსთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაჟო მომსახურება ადმინისტრაციულ და საოპერაციო რესურსების განვითარებას საჭიროებს (European Commission, Moldova, 2023).

ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის პროცესში, მოლდოვის ოპერატორების კონკურენტუნარიანობისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (AEO) სტატუსის ნაკლებობა წარმოადგენს. საბაჟო მიმართულებით აღინიშნება გარკვეული პროგრესი. AEO სტატუსის მიმართულებით, კი 2015 წლიდან, მოლდოვასა და რუმინეთს შორის საპილოტე პროექტი ამოქმედდა.

2021 წლისათვის კანონმდებლობის დაახლოების საფუძველზე კი, ევროკავშირთან დაწყებულია მოლაპარაკებები ორმხრივი აღიარების მიმართულებით, რაც შეამცირებს საბაჟო პროცედურების ხარჯებს (Akhvlediani, Moldova, გვ.15). ამასთანავე, ევროკავშირის მხარდაჭერის მიუხედავად, გაჭიანურდა მოლდოვის საერთო სატრანზიტო კონვენციასთან შეერთების პროცესი (Implementation Report, 2021, pp17).

უკრაინაში, 2019 წელს მიღებული საბაჟო კოდექსი სრულად შეესაბამება ევროკავშირის საბაჟო კოდექსის დებულებებს. უკრაინა PEM-ის კონვენციის წევრია და სარგებლობს წარმოშობის წესებისა და დიაგონალური კუმულაციის ინსტრუმენტით. უკრაინაში არსებობს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ეროვნული ორგანო, რომელიც ორმხრივი აღიარების მიღებისათვის გაუმჯობესებას საჭიროებს. 2022 წლის 1 ოქტომბრიდან უკრაინა საერთო სატრანზიტო პროცედურების შესახებ და საქონლით ვაჭრობის ფორმალობების ხელშეწყობის შესახებ კონვენციების წევრია. ანგარიშის მიხედვით, უკრაინის საბაჟო სისტემა **მომზადების კარგ დონეზეა** შეფასებული. უკრაინა დაკავშირებულია ევროკავშირის საბაჟო საინფორმაციო სისტემასთან და იყენებს ახალ

კომპიუტერიზებულ სატრანზიტო სისტემას. უკრაინა საერთო სატრანზიტო კონვენციის წევრია და მთლიანად კავშირის სატრანზიტო სისტემაზეა დაფუძნებული. საბაჟო კოდექსი უმეტესწილად ევროკავშირთან შესაბამისობისა, დამატებით განახლებას საჭიროებს, რომლის მიღებაც 2023 წელს იგეგმება (European Commission, Ukraine, 2023).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, უკრაინა მოწინავე ადგილზეა. აღნიშნული ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის ინდექსის შედეგების მიხედვით დასტურდება. 2020-2021 წლებში, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში, საშუალო მაჩვენებლით, საბაზრო ეკონომიკისა და DCFTA-ს დაახლოების მიმართულებით, პირველ ადგილზე უკრაინაა - 0.78 ქულით, მეორეზე საქართველო - 0.77 ქულით, ხოლო მესამეზე მოლდოვა - 0.66 ქულით. ხაზგასასმელია, რომ 2017 წლის მერე მატება უკრაინისა და მოლდოვის შემთხვევაში დაფიქსირდა, ხოლო საქართველოს საშუალო მაჩვენებელი შემცირებულია. სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების სექტორში, უკრაინას ყველაზე მაღალი ქულა აქვს და ევროკავშირის ბაზარზე დაშვებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ყველაზე მაღალი რაოდენობა. მნიშვნელოვანია, რომ უკრაინამ სერტიფიცირების სისტემების ეკვივალენტობის შესახებ ორმხრივ აღიარებას მიაღწია. პირველი შეთანხმება მარცვლეულის თესლს მოიცავს (Eastern Partnership Index 2020-21).

## **2.6 ასოცირებული ტრიოს ქვეყნების DCFTA-ს შედარებითი ანალიზი**

ლიტერატურაში იდენტიფიცირებული მახასიათებლების შესაბამისად, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს ეფექტიანობის შეფასებისათვის და ქვეყნების შეთანხმებებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირებისათვის გავანალიზეთ შეთანხმების ვაჭრობის კომპონენტი და სიღრმის ასპექტები.

ერთი მხრივ შეფასება, მიმართული იყო გაფორმებული შეთანხმებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებების განხილვასა და ძირითადი განსხვავებების იდენტიფიცირებაზე, ხოლო მეორე მხრივ, DCFTA-ს იმპლემენტაციის მაჩვენებლების დადგენაზე.

ასოცირებული ტრიოს ქვეყნების DCFTA-ს შედარებისა და შეთანხმებით აღებული ვალდებულებების განხორციელების შეფასების მიმართულებით, ცხრილი 2.6.1-ში და ცხრილი 2.6.2-ში წარმოდგენილია შეთანხმებების სიღრმისა და ინდივიდუალური ქვეყნების პროგრესის შედარებითი ანალიზი.

*ცხრილი 2.6.1. DCFTA-ს ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი დებულებები*

	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა
<b>ტარიფების გაუქმება</b>	საქართველოს მხრიდან გაუქმდა ყველა პროდუქტზე და ევროკავშირის მხრიდან პროდუქტის 99.9%	-	უკრაინის მხრიდან გაუქმდა 98.1% ევროკავშირის მხრიდან გაუქმდა 99.1%
<b>ტარიფების გაუქმება - ინდუსტრიული პროდუქტი</b>	-	მოლდოვის მხრიდან, 3-5 წლიანი გარდამავალი პერიოდით ტარიფი შენარჩუნდა გარკვეულ პროდუქტზე, ევროკავშირის მხრიდან გაუქმდა ყველა ტარიფი	უკრაინის მხრიდან გაუქმდა 49.2% (2023 წ. – 96%) ევროკავშირის მხრიდან 94.7% (2023 წლამდე გარდამავალი პერიოდით)
<b>ტარიფების გაუქმება - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი</b>	-	მოლდოვის მხრიდან, 10-წლიანი გარდამავალი პერიოდით ტარიფი შენარჩუნებულია გარკვეული პროდუქტის სახეობებზე	უკრაინის მხრიდან თითქმის 50% გააუქმა (2023 წლამდე გარდამავალი პერიოდით) ევროკავშირის მხრიდან პროდუქციის უმეტესობაზე
<b>სატარიფო ხაზებზე შესვლის ფასის შენარჩუნება</b>	ევროკავშირის მხრიდან 28 ბოსტნეულისა და ხილის სატარიფო ხაზზე	ევროკავშირის მხრიდან 20 სასაქონლო პოზიციაზე	ევროკავშირის მხრიდან 28 ბოსტნეულისა და ხილის სატარიფო ხაზზე
<b>გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი</b>	ევროკავშირის მხრიდან 277 სატარიფო ხაზზე(მთლიანი სიის 3%) მოქმედებს	174 სოფლის მეურნეობის პროდუქტზე	-



სატარიფო განაკვეთის კვოტების	ევროკავშირის მხრიდან კვოტა ნიორზე (220 ტონა)	მოლდოვის მხრიდან 6 პროდუქტზე, ევროკავშირის მხრიდან 7 პროდუქტზე	უკრაინის მხრიდან 3 პროდუქტზე, ევროკავშირის მხრიდან 35 პროდუქტზე
იმპორტის გადასახადი	-	-	2026 წლისთვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 8.7%-ზე ტარიფის შეზღუდული შემცირების (20-60%) შედეგად, გამოყენებული იქნება ნარჩენი ტარიფი
ექსპორტის გადასახადი	-	-	2026 წლამდე დაიშვა მეცხოველეობის, ნედლეულის, ზოგიერთი სახის ზეთის და ლითონის სახეობებზე ექსპორტის გადასახადის შენარჩუნება
ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები (TBT)	6 ჰორიზონტალური და 21 ვერტიკალური დირექტივა და რეგულაცია	5 ჰორიზონტალური, 73 ვერტიკალური და დირექტივა და რეგულაცია	5 ჰორიზონტალური, 27 ვერტიკალური დირექტივა და რეგულაცია
სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები(SPS)	ვეტერინარია -84; სურსათის უვნებლობა -101; მცენარეთა დაცვა -87 სამართლებრივი აქტი	ზოგადი - 10, ვეტერინარია - 78, სურსათის უვნებლობის -89, მცენარეთა დაცვა- 64 სამართლებრივი აქტი	ვეტერინარია - 82, სურსათის უვნებლობა-69, მცენარეთა დაცვა- 92 სამართლებრივი აქტი
ევროკავშირის ბაზარზე დაშვება	ლოკოკინები, შინაური ცხოველების საკვები, თევზის გარკვეული პროდუქტები, თაფლისა და ცხოველური პროდუქტები	-თაფლი, ხიზილალა და რძის პროდუქტები, კვერცხი, გარკვეული სახის თევზი, ლოკოკინები, ფრინველისაგან მიღებული პროდუქტი (ჟელატინი და კოლაგენი)	12 სექტორი (333 კომპანია)

ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მიერ გაფორმებული DCFTA-ს შეფასებისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია შევაჯამოთ, ინდივიდუალურ ქვეყნებში შეთანხმებამდე არსებული სავაჭრო რეჟიმები. საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან GSP+ რეჟიმით სარგებლობდნენ, რაც ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე, ევროკავშირთან ვაჭრობის მიმართულებით თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევდა. დამატებით, საქართველოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია რომ 2006 წლიდან, ქვეყანაში საიმპორტო ტარიფები პროდუქციის დაახლოებით 85%-ზეა გაუქმებული. ხოლო მოლდოვა, 2007 წლიდან ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (CEFTA) წევრი გახდა. ორივე ქვეყნის ვაჭრობა ევროკავშირთან საკმაოდ ლიბერალიზებული იყო შეთანხმების ხელმოწერამდე და შესაბამისად, DCFTA-ს გაფორმებაც ამ მიმართულებით არსებული პროცესის ლოგიკური გაგრძელება იყო.

უკრაინის შემთხვევაში, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებამ, იქამდე არსებული PCA ჩაანაცვლა, რომელიც 1998 წლიდან მოქმედებდა. 1995 წლიდან ქვეყანა პრეფერენციების განზოგადებული სქემით (GSP) სარგებლობდა. აღნიშნული თავის მხრივ, სხვა ასოცირებულ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლებად ლიბერალიზებული ვაჭრობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება, ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებების ძირითადი განსხვავებების იდენტიფიცირებას, ცხრილი 2.6.1-ის მიხედვით იკვეთება, რომ ყველაზე სწრაფი და ყველა პროდუქტის მომცველი ტარიფების გაუქმება საქართველოს შემთხვევაში ფიქსირდება. მოლდოვაში, ევროკავშირთან სავაჭრო ტარიფების გაუქმების პროცესი ეტაპობრივად გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა. საქართველოს მსგავსად მოლდოვის შემთხვევაშიც, ევროკავშირმა ყველა პროდუქტზე გააუქმა იმპორტის ტარიფი, თუმცა შეინარჩუნა განსაზღვრული სატარიფო განაკვეთს კვოტები, ევროკავშირში შესვლის ფასისა და გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმები.

უკრაინა ამ მიმართულებითაც განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან. ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმება მოიცავდა ტარიფების გაუქმების უფრო გრძელვადიან პერიოდებს პროდუქტის მკვეთრად დიდ რაოდენობაზე. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, რომ შეთანხმების გაფორმების შედეგად, ტარიფების უფრო ფართო

სპექტრი შენარჩუნებულია ევროკავშირიდან უკრაინაში იმპორტირებულ პროდუქტზე. რის საფუძველზეც, უკრაინას მიეცა მეტი დრო ევროპულ საქონელთან კონკურენციისათვის მოსამზადებლად. ამასთანავე, აღნიშნული ქვეყნის შემთხვევაში გვხვდება ისეთი ინსტრუმენტებიც, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოლდოვისა და საქართველოს მიმართ. მაგალითისათვის, განსაზღვრული პროდუქტის სახეობებზე იმპორტისა და ექსპორტის გადასახადის ასევე, ვაჭრობაში დაცვითი ზომების გამოყენების უფლება.

ცხრილი 2.6.2-ში წარმოდგენილია ევროკომისიის მიერ მომზადებულ და ინიცირებულ დოკუმენტებში ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულებით არსებული პროგრესის შეფასებები.

*ცხრილი 2.6.2. DCFTA-ს იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მაჩვენებლები*

	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა
<b>TBT-იმპლემენტაციის მაჩვენებელი</b>	მომზადების გარკვეულ დონეზე	მომზადების გარკვეულ დონეზე	მომზადების საშუალო დონეზე
<b>SPS - იმპლემენტაციის მაჩვენებელი</b>	მომზადების გარკვეულ დონეზე	მომზადების გარკვეულ დონეზე	მომზადების საშუალო დონეზე
<b>საბაჟო კანონმდებლობა</b>	მომზადების საშუალო დონეზე	მომზადების გარკვეული დონეზე	მომზადების კარგ დონეზე
<b>წარმოშობის წესები და PEM კონვენცია</b>	ევროკავშირი, EFTA, თურქეთი, უკრაინა	ევროკავშირი	ევროკავშირი, EFTA, საქართველო, მოლდოვა
<b>ვაჭრობაში დაცვითი ზომები</b>	-	2017 წლამდე, ანტიდემპინგური ტარიფი მოლდოვიდან ექსპორტირებულ ფოლადის თოკებსა და კაბელებზე	2031 წლამდე, სპეციალურ დაცვითი ზომის გამოყენების უფლება;  ევროკავშირის მხრიდან, ანტიდემპინგური ტარიფი რკინისა და ფოლადის პროდუქციაზე. უკრაინის მხრიდან, პოლონეთიდან იმპორტირებულ სამედიცინო რეზინის საცობებზე

TBT მიმართულებით, უკრაინა მოწინავე პოზიციაზეა, ხოლო საქართველო და მოლდოვა განვითარების მსგავს დონეზე არიან. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია, რომ სამივე ქვეყანას მიენიჭა ევროპული სტანდარტიზაციის კომიტეტის (CEN) და ევროპის ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის კომიტეტის (CENELEC) პარტნიორის სტატუსი. ასევე, მხოლოდ მოლდოვა და უკრაინა არიან ევროპული ტექნიკური სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) წევრები. დამატებით, მოლდოვის მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტი, ევროპული მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების ასოციაციის წევრი გახდა და ქვეყანაში შესაბამისობის შეფასების 12 აკრედიტებული ორგანოა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ინდუსტრიული პროდუქტის შესაბამისობის შეფასებისა და მიღების შეთანხმებაზე (ACAA) მოლაპარაკებების პროგრესი მხოლოდ უკრაინის შემთხვევაშია დაფიქსირებული.

SPS მიმართულებით, უკრაინა ისევ წამყვანია, ხოლო მოლდოვისა და საქართველოში შეფასება ერთ დონეზეა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ბაზარზე დაშვების მიმართულებით ყველაზე მეტი პროდუქტის სახეობა უკრაინის შემთხვევაში ვლინდება. უკრაინაში ავტორიზაცია მიღებული აქვს 300-ზე მეტ კომპანიას 12 სექტორში, რაც სხვა ქვეყნების მაჩვენებელს საგრძნობლად აღემატება. შედარებისთვის, საქართველოში მიღებულია ლოკოკინების, შინაური ცხოველების საკვების, თევზის გარკვეული პროდუქტების, თაფლისა და ცხოველური პროდუქტებზე დაშვება, ხოლო მოლდოვიდან დაშვებულია თაფლის, ხიზილალის, რძის პროდუქტის, კვერცხის, გარკვეული სახის თევზის, ლოკოკინის, ფრინველისაგან მიღებული განსაზღვრული პროდუქტის ექსპორტი.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, ის მოცემულობა რომ არც საქართველოში და არც მოლდოვაში შიდა ლაბორატორიული ტესტირების ეფექტიანი შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის. უკრაინის შემთხვევაში, არსებობს ამ მიმართულებით ავტორიზებული ლაბორატორიები.

საბაჟო კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართულებით, უკრაინას ყველაზე მაღალი შეფასება აქვს, საქართველო კი, მოლდოვას უსწრებს. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო „საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების

შესახებ“ და „საერთო სატრანზიტო პროცედურის შესახებ“ კონვენციასთან მიერთებისთვის ემზადება. მოლდოვაში, ევროკავშირის მხარდაჭერის მიუხედავად, საერთო სატრანზიტო კონვენციასთან შეერთების პროცესი გაჭიანურებულია, ხოლო უკრაინა აღნიშნული კონვენციის წევრია. ასევე, მხოლოდ უკრაინაში ფიქსირდება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების ეროვნული ორგანოს არსებობა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო დაახლოებისა და ინსტიტუციურ განვითარების მიმართულებით, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. თუმცა იმპლემენტაციის პროცესი დაკავშირებულია აღებული ვალდებულებების ვადების დარღვევასთან, სხვადასხვა სექტორებში განსხვავებულ შედეგებთან და ა.შ.

ევროკავშირის ერთიან ბაზარზე ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ინტეგრაციის თვალსაზრისით, არასატარიფო ბარიერების დაძლევაში, აღნიშნული სტანდარტების მიღების როლი გადამწყვეტია. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების იმპლემენტაციის ეფექტიანობა საშუალო დონეზეა. ამ მიმართულებით, ასოცირებულ ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიცია უკრაინას აქვს.

დამატებით, ხაზგასასმელია, რომ სატარიფო რეჟიმთან დაკავშირებული ვითარება 2022 წლის თებერვალში, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შედეგად შეიცვალა. 2022 წლის ივნისიდან, ძალაში შევიდა ევროკავშირის რეგულაცია, რომელიც ერთი წლით უკრაინასთან ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციასა და ყველა დაცვითი ზომის გაუქმებას ითვალისწინებს, რაც უკრაინის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა (European Commission, Ukraine, 2023).

### თავი III. ასოცირებული ტრიოს ქვეყნების საგარეო ვაჭრობის კონტექსტი

DCFTA-ს სავაჭრო ინსტრუმენტების ეფექტის განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში შეთანხმების გაფორმებამდე და შეთანხმების შემდეგ არსებული საგარეო ვაჭრობის კონტექსტის ანალიზი. წარმოდგენილი თავის მიზანია, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს სავაჭრო გავლენასთან დაკავშირებული ტენდენციების იდენტიფიცირება და ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა.

კვლევის ამოცანები:

- 2004-2021 წლებში, ევროკავშირთან საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციების ანალიზი. შეთანხმებამდე და შეთანხმების ამოქმედების შემდეგ არსებული მაჩვენებლები შედარება;
- ასევე სავაჭრო ნაკადების გადართვის ეფექტის ანალიზისათვის, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი.

წარმოდგენილი საკითხის შეფასების მიზნით, ნაშრომში 2004 -2021 წლების, მონაცემთა ბაზაა გამოყენებული, რომელიც სამი ასოცირებული ქვეყნის ევროკავშირის ქვეყნებთან და ძირითად პარტნიორებთან სავაჭრო ნაკადების მაჩვენებლებს მოიცავს. შესწავლის საგანს წარმოადგენს, ინდივიდუალურ ქვეყნებში საქონლის ვაჭრობის (იმპორტი/ექსპორტი) მონაცემების ანალიზი.

ნაშრომის მოცემული თავის შეფასებები, გეოგრაფიულად ფარავს საქართველოს, მოლდოვას, უკრაინას, ევროკავშირის (27) ქვეყნებს, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) და დსთ-ს ქვეყნებს, ასევე ასოცირებული ქვეყნების სხვა ძირითად სავაჭრო პარტნიორებს (თურქეთი, აშშ, ჩინეთი). ბრექსიტის შედეგად ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების შემცირების ტენდენციის გათვალისწინებისთვის, გაერთიანებულ სამეფოსთან ვაჭრობა ცალკე არის განხილული.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებსა და ცხრილებში 2019-2020 წლის მონაცემების ანალიზი ემსახურება კორონეკონომიკური კრიზისით გამოწვეული გავლენების შეფასებას ემსახურება, რომელიც ნაშრომის შემდეგ თავში იქნება განხილული. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს სავაჭრო ნაკადები 2019-დან 2020 წლამდე 14


პროცენტით არის შემცირებული, მოლდოვის ვაჭრობა 9 პროცენტით, ხოლო უკრაინის 7 პროცენტით. ქვეყნების საგარეო ვაჭრობაზე პანდემიის გავლენის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია, მსოფლიო ეკონომიკაზე მისი ზეგავლენის მიმოხილვაც. ამ მიმართულებით, საყურადღებოა გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, კერძოდ კი, დეგლობალიზაციის პროცესის საფრთხეები. აღსანიშნავია, რომ პანდემიამ გამოავლინა გლობალიზაციის სუსტი მხარეები და ამ მიმართულებით არსებული კრიზისი. ქვეყნების მიერ ვაჭრობის დაბრკოლება, უფრო მეტად აზიანებს მათ ეკონომიკას და კრიზისის დაძლევისათვის, სწორედ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა არის აუცილებელი. ამასთანავე, ხაზგასასმელია, ევროკავშირსა და ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმების საფუძველზე, რეგიონში საქართველოს მნიშვნელობის ზრდა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტ-პანდემიურ პერიოდში ღირებულებათა ჯაჭვის დივერსიფიცირების მიმართულებით (პაპავა, 2020). შესაბამისად, პანდემიის გავლენის ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია იმის შეფასება, გამოიყენა თუ არა საქართველოს ეს შესაძლებლობა ექსპორტის დივერსიფიცირებისათვის. დამატებით, რუსეთ-უკრაინის ომის გავლენების დადგენისათვის ნაშრომში განხილულია 2022 წლის საგარეო ვაჭრობის მონაცემები.

სადისერტაციო ნაშრომში გათვალისწინებული გავლენის შეფასებისთვის გამოყენებულია ორი ფაქტორი ლიბერალიზაციისა და სავაჭრო ნაკადების დინამიკა შეთანხმების წევრებთან და სხვა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან. გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. ნაშრომის პირველ თავში გამოკვლეულია საქართველოს ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან და ძირითად პარტნიორებთან. მეორე თავში მოლდოვის, ხოლო მესამე თავში, უკრაინის საგარეო ვაჭრობა. მეოთხე თავში წარმოდგენილია ასოცირებული ტრიოს ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების შედარებითი ანალიზი.

### 3.1 საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების თავისებურებები

#### 3.1.1 საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი

დიაგრამა 3.1.1. საქართველოს სავაჭრო ნაკადები, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.1.1-ში წარმოდგენილია 2004 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები ევროკავშირში და დანარჩენ ქვეყნებში. მოცემულ პერიოდში, ევროკავშირთან ვაჭრობა მზარდია, თუმცა ქვეყნის სავაჭრო ნაკადების ზოგადი შემცირების ტენდენციის შესაბამისად, ასევე იკლებს ევროკავშირში ექსპორტიც. აღნიშნული დაკავშირებულია ეკონომიკური რეცესიის პერიოდებთან, როგორც იყო 2008-2009 წლის ეკონომიკური კრიზისი, 2015 წლის რეცესიისა და რა თქმა უნდა, 2020 წელს კორონა ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური რეცესია (ცხომელიძე, 2022).

2004-2021 წლების პერიოდში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში თითქმის 7-ჯერ, იმპორტი კი 4-ჯერ არის გაზრდილი. ევროკავშირთან საქონლით ვაჭრობის წილი ყველაზე მაღალი 2015 და 2016 წლებში ფიქსირდება, რის შემდეგაც შემცირებას იწყებს. ამასთან ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 28 პროცენტი, შესაბამისად, 2015 და 2016 წელს იკვეთება.



ცხრილი 3.1.1. ევროკავშირთან ვაჭრობის ცვლილება და საბაზრო წილი

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
<b>ექსპორტი</b>								
მსოფლიო	2860.9	2204.1	2117.1	2745.7	3379.7	3798.4	3343.4	4242.3
EU	599.5	623.3	550.6	642.3	712.9	805.7	696.8	717.1
% ზრდა EU		4.0	-11.7	16.7	11.0	13.0	-13.5	2.9
% ზრდა მსოფლიო		-23.0	-4.0	29.7	23.1	12.4	-12.0	26.9
EU % წილი	21.0	28.3	26.0	23.4	21.1	21.2	20.8	16.9
<b>იმპორტი</b>								
მსოფლიო	8599.23	7301.69	7335.92	8057.16	9361.81	9519.17	8052.88	10104.8
EU	2277.13	1991.06	2084.23	2126.27	2453.14	2304.49	1850.20	2314.80
% ზრდა EU		-12.6	4.7	2.0	15.4	-6.1	-19.7	25.1
% ზრდა მსოფლიო		-15.1	0.5	9.8	16.2	1.7	-15.4	25.5
EU % წილი	26.5	27.3	28.4	26.4	26.2	24.2	23.0	22.9

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

ცხრილი 3.1.1-ში წარმოდგენილია 2014-2021 წლებში ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების განვითარების ტენდენციები. შეფასებულია ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების ყოველწლიური ზრდა და მთლიან ვაჭრობაში ევროკავშირის წილის ცვლილების ტენდენციები. ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ ევროკავშირთან DCFTA-ს ხელმოწერით შემდეგ, 2015-2016 წლებში, ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების განვითარების არაერთგვაროვანი ტენდენცია გამოვლინდა. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვანია ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის კლების ზოგადი ტენდენციის გათვალისწინებით.

2015 წელს, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 4 პროცენტით ზრდის პარალელურად, მთლიანი ექსპორტის მიმართულებით 23-პროცენტის კლება გამოვლინდა. იმპორტის მიმართულებით კი, ზოგადი ტენდენციის შესაბამისად, იმპორტის 15-პროცენტის კლების პარალელურად, ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონლის რაოდენობა 13 პროცენტამდე შემცირდა. 2016 წელს, მთლიანი ექსპორტი 4-პროცენტის კლების ფონზე, ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობა 12 პროცენტამდე შემცირებული. იმპორტის მაჩვენებელი კი, ამ მიმართულებით 5 პროცენტით გაიზარდა. 2017-2019 წლებში, ექსპორტი ყოველწლიურად იზრდებოდა.

ამასთან, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2020 წელს შემცირდა.

აღნიშნული მიმართულებით, საინტერესო ტენდენცია ვლინდება 2021 წელს, მიუხედავად საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებლებისა (ექსპორტის 27-პროცენტით, იმპორტის 26-პროცენტით ზრდა) ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის მაჩვენებლები არ აღდგენილა. 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, მცირე 3-პროცენტითი მატება არასაკმარისი აღმოჩნდა კოვიდამდე არსებულ ნიშნულამდე ვაჭრობის განვითარებისათვის.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2020-2021 წლებში ევროკავშირში საქართველოს ძირითადი საექსპორტო პოზიცია სპილენძის მადნები და კონცენტრატები იყო. ამასთანავე, 2021 წელს ვლინდება ევროკავშირში სპილენძის მადნების ექსპორტის კლება და სანაცვლოდ წარმოდგენილი პროდუქტის ჩინეთის ბაზარზე გატანის ტენდენცია (ტყეშელაშვილი, 2021). შესაბამისად, სპილენძის მადნების საექსპორტო ორიენტაციის ცვლილება ევროკავშირში ექსპორტის შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს.

*ცხრილი 3.1.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი, 2013-2021 წლებში*

ქვეყანა	2014	% წილი	2019	% წილი	2021	% წილი
ბულგარეთი	167.1049	28	299.7024	37	253.948	35
ესპანეთი	70.35496	12	46.0328	6	89.328	12
გერმანია	69.19164	12	54.3174	7	67.902	9
იტალია	86.0958	14	40.4939	5	58.332	8
ლიეტუვა	31.74508	5	45.0213	6	48.128	7
პოლონეთი	10.0826	2	27.6819	3	35.325	5
საფრანგეთი	26.91349	4	29.1501	4	34.338	5
რუმინეთი	4.293899	1	178.2356	22	33.537	5
ნიდერლანდები	31.16878	5	28.2301	4	29.124	4
ბელგია	41.67538	7	13.5174	2	22.250	3

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 3.1.2-ში გაანალიზებულია, ევროკავშირში საქართველოს ძირითადი საექსპორტო ბაზრები. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეფასებულია, DCFTA-ს გავლენა ინდივიდუალურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე და ახალი საექსპორტო ბაზრების დამატების მიმართულებაზე. ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ შეთანხმების

ხელმოწერის შემდეგ, მეტნაკლებად ძირითადი საექსპორტო ქვეყნების სტრუქტურაა შენარჩუნებული. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოს ექსპორტი ბულგარეთში. ამავდროულად, ექსპორტი გერმანიის, იტალიის, ნიდერლანდებისა და ბელგიის მიმართულებით შემცირებულია. 2014-2019 წლების მონაცემების შეფასების საფუძველზე, რუმინეთში ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია იკვეთება, რომელიც პანდემიის შემდეგ არ აღდგენილა.

2019 წელს რუმინეთის მიმართულებით ექსპორტირებული ძირითადი საქონელი სპილენძის მადნები და კონცენტრატებია. ხაზგასასმელია, რომ 2019 წელს 167 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების სპილენძის მადნების ექსპორტი, 2020 წლისათვის 8 მილიონამდე შემცირდა, ხოლო 2021 წელს ამ პოზიციის ექსპორტი საერთოდ არ ფიქსირდება (UN ComTrade Database, 2022).

DCFTA ხელს უწყობს ქვეყნების ექსპორტის დივერსიფიცირებას, როგორც გეოგრაფიულად, ასევე პროდუქციის მიმართულებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასოცირებული ქვეყნების საექსპორტო პოტენციალისა და შეთანხმების ხელმოწერის შედეგად წარმოქმნილი სარგებლის გამოყენების შეფასება. ზოგადად საქართველოს ექსპორტი ძირითადად წარმოების პირველად სექტორებსა და ნედლეულს მოიცავს, რაც თავის მხრივ ზრდის ეკონომიკური რყევების რისკს. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია პროდუქტის დივერსიფიცირების ხელშეწყობა (Bakhtadze & Sartania, 2019).

*ცხრილი 3.1.3. იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ცვლილება 2013-2021 წლებში*

ქვეყანა	2014	% წილი	2019	% წილი	2021	% წილი
გერმანია	466.10	20	501.94	22	488.22	21
იტალია	221.86	10	228.56	10	248.42	11
საფრანგეთი	130.96	6	165.94	7	196.00	8
ბულგარეთი	209.83	9	124.61	5	178.84	8
რუმინეთი	312.05	14	212.57	9	177.50	8
პოლონეთი	94.06	4	170.21	7	170.94	7
ნიდერლანდები	148.61	7	179.29	8	151.91	7
ესპანეთი	90.28	4	108.65	5	116.21	5
ჩეხეთი	67.53	3	89.92	4	99.80	4
ბელგია	68.59	3	107.07	5	91.25	4

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

ცხრილი 3.1.3-ში წარმოდგენილია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები ევროკავშირიდან. ექსპორტის მონაცემების მსგავსად, უცვლელია ძირითადი სავაჭრო

პარტნიორების შემადგენლობა. მნიშვნელოვანი ცვლილება კი, კვლავ რუმინეთიდან იმპორტირებული პროდუქტის 43-პროცენტიანი კლების მიმართულებით ვლინდება.

საქართველოს ევროკავშირთან ვაჭრობის მაჩვენებლების შეჯამებისას აუცილებელია, იმის ხაზგასმა, რომ ბოლო წლებში განხორციელებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის ექსპორტის კონკურენტუნარიანობა ნალეზად არის გაზრდილი. ამასთან, ექსპორტის დივერსიფიცირების მაჩვენებლის უმნიშვნელო მატებამ და ამასთან შედარებით, იმპორტის მაჩვენებლის სწრაფმა ზრდამ ნეგატიური გავლენა იქონია ქვეყნის სავაჭრო ბალანსზე (Silagadze & Atanelishvili, 2016).

DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ნაკადების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ აღნიშნულ შეთანხმებას ევროკავშირში ახალი საექსპორტო ბაზრების მოპოვებისა და ახალ ქვეყნებთან სავაჭრო ნაკადების განვითარების მიმართულებაზე გავლენა არ მოუხდენია. ამდენად, შეთანხმების შემდეგ, ძირითადი სავაჭრო პარტნიორების შემადგენლობა შენარჩუნებულია. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ვაჭრობის მიმართულებით საკმაოდ დივერსიფიცირებულია საქართველოს სავაჭრო კავშირები. ამასთან, ბულგარეთის გარდა, სხვა ქვეყნების წილები ერთმანეთის მსგავსია.

**ძირითადი საექსპორტო პოზიციები.** საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, ძირითადი საექსპორტო პროდუქტის იდენტიფიცირება და შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ამ მიმართულებით არსებული ტენდენციების ანალიზი. წარმოდგენილ თავში განხილულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (HS კოდი) ჯგუფების მიხედვით, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა, საბაზრო წილი, ზრდის ტენდენცია, გეოგრაფიული განაწილება ქვეყნების მიხედვით, ასევე წარმოდგენილია HS ორნიშნა კოდის დონეზე საექსპორტო პოზიციების ანალიზი.

ცხრილი 3.1.4. საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტი სექტორების მიხედვით, 2014-2021 წლებში (აშშ დოლარი)

სექტორი	2014		2019		2021	
	მოცულობა	წილი	მოცულობა	წილი	მოცულობა	წილი
კარი V - მინერალური პროდუქტები	214590395.8	36	486983326.7	61	320823350.6	45
კარი II - მცენარეული პროდუქტები	144075107.2	24	50793345.92	6	90168188.07	13
კარი IV - კვების მზა პროდუქტები, სასმელი და თამბაქო	58713630.59	10	67238741.01	8	79644693	11
კარი VI - ქიმიური და დაკავშირებული პროდუქტები	45130794.89	8	45441552.34	6	63471419.35	9
კარი XV - არა ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი	29661008.13	5	25034777.79	3	33952815.89	5
კარი XVII - მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები	37372561.79	6	13520818.47	2	22089158.69	3
კარი XIV - მარგალიტი, ძვირფასი ქვები, ლითონები და მათი ნაწარმი	7069596.34	1	8402013.36	1	21189457.08	3
კარი XI - ტექსტილის ნაწარმი	15971887.53	3	20547064.35	3	16135043.72	2
კარი IX - მერქანი, ხის ნახშირი; კორპი და მისი ნაწარმი	4448540.06	1	14112900.63	2	15582008.58	2
კარი XVI - მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები	10588136.18	2	17928779.65	2	14513358.66	2
<b>სულ</b>	<b>591480241.2</b>	<b>100</b>	<b>795048695.5</b>	<b>100</b>	<b>706237175.3</b>	<b>100</b>


წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

საქართველოს მიერ ევროკავშირში ექსპორტირებული სასაქონლო პოზიციების მიმოხილვის საფუძველზე იკვეთება, რომ ექსპორტი კონცენტრირებულია რამდენიმე ძირითად ბაზარზე. ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ 2021 წლის მონაცემებით, 5 ყველაზე დიდი საექსპორტო ჯგუფის წილი, ევროკავშირის მთლიან ექსპორტში 83 პროცენტს შეადგენს. ასევე, საყურადღებოა, რომ წამყვანი პოზიციების შემადგენლობა, 2014 წლიდან თითქმის არ შეცვლილა. 2014 წლიდან მნიშვნელოვნად არის გაზრდილი

მინერალური პროდუქტების წილი, რაც ძირითადად მადნების, წიდის და ნაცრის (HS ორნიშნა კოდი) ჯგუფის პროდუქტის ექსპორტს მოიცავს.

ამავე პერიოდში შემცირებულია მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი, რომლის 90 პროცენტი საკვებად ვარგისი ხილის და კაკლის, ციტრუსების კანის ან ნესვის ქერქის პროდუქტის ექსპორტს მოიცავს. სწორედ ამ მიმართულებით არსებულმა კლებად განაპირობა მთლიან ექსპორტში მცენარეული წარმოშობის პროდუქტების წილის მნიშვნელობის კლება.

დიაგრამა 3.1.2. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 2021 წელს, ტოპ 5 სექტორი



წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

დიაგრამა 3.1.2-ში წარმოდგენილია 5 ძირითადი საექსპორტო პოზიციის მოცულობის განაწილება. დიაგრამა ნათელს ხდის, ევროკავშირში ექსპორტის მინერალურ პროდუქტებზე დამოკიდებულებას, რაც ბაზრის გამოკვეთილი კონცენტრაციის მანიშნებელია.

HS ორნიშნა კოდების მიხედვით, საქართველოს საექსპორტო პოზიციების ანალიზი მიზნად ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ახალი სავაჭრო პოზიციების იდენტიფიცირებას ისახავს. აღსანიშნავია, რომ 2014-2021 წლების შედარების საფუძველზე მნიშვნელოვანი საექსპორტო პოზიციების გამოჩენა არ იკვეთება. ის დარგები, რომელიც 2014 წელს არ იყო საექსპორტო პროდუქტებში და 2021 წლისათვის არის დამატებული, არ არის მნიშვნელოვანი და მთლიან ექსპორტში მათი წილი 1 პროცენტზე ნაკლებია. ცხრილი 3.1.5-ში წარმოდგენილია, ამ მიმართულებით იდენტიფიცირებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ცხრილი 3.1.5. საექსპორტო პოზიციები HS ორნიშნა კოდის მიხედვით, 2014-2021 წლებში

HS2	დასახელება	2014	2021	% ზრდა 2014-2021	% წილი 2021
26	მადნები, წიდა და ნაცარი	180352337	314949931	75	44.6
8	საკვებად ვარგისი ხილი, კაკალი და სხვა	<b>137261218</b>	<b>81731867.8</b>	-40	11.6
22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები	47426262.7	65872754.8	39	9.3
31	სასუქები	31036971.9	47356368.6	53	6.7
	<b>სულ</b>	591480241	706237175	19	


წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

ცხრილი 3.1.5-ის მიხედვით, 2014 წლიდან, იკვეთება, რომ ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო პოზიციის (მადნები, წიდა და ნაცარი) ზრდამ 75 პროცენტი შეადგინა. ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად არის შემცირებული ხილისა და კაკლის კატეგორიის პროდუქტის ექსპორტის მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ 2014-2021 წლებში, პროდუქტის ექსპორტის ღირებულება 40 პროცენტით არის შემცირებული (137 მილიონი აშშ დოლარიდან, 81 მილიონ აშშ დოლარამდე). შედარებით მცირე საბაზრო წილების მქონე პროდუქტიდან იკვეთება ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელის პროდუქტის ექსპორტის ღირებულების 39-პროცენტისა და სასუქების ექსპორტის 53-პროცენტის ზრდა.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, საექსპორტო პოზიციების განაწილება უმნიშვნელოდ არის შეცვლილი. რამდენიმე მიმართულებით ექსპორტის მაჩვენებლების ზრდის მიუხედავად, არ ვლინდება DCFTA-ს შედეგად ახალი საექსპორტო ბაზრების გახსნის ტენდენცია.

ძირითადი საექსპორტო პროდუქტის ჯგუფების იდენტიფიცირების გარდა, ასევე საინტერესოა იმის დადგენა, თუ რამდენად დივერსიფიცირებულია აღნიშნული პროდუქტის ექსპორტი გეოგრაფიულად.

დიაგრამა 3.1.3. ძირითადი საექსპორტო პოზიციები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი




წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

დიაგრამა 3.1.3-ში წარმოდგენილია, პროდუქტის ტოპ ხუთი ჯგუფის ძირითადი საექსპორტო ბაზრები. აღსანიშნავია, რომ ყველა ჯგუფის ექსპორტის შემთხვევაში ორ-სამი ძირითადი ბაზარი მთლიანი ექსპორტის უდიდეს ნაწილს ფარავს. მაგალითისათვის, მეორე კარის პროდუქტის ექსპორტის 70 პროცენტი გერმანიისა და იტალიის ბაზარზეა მიმართული. მეხუთე კარის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 99 პროცენტს შეადგენს და ბულგარეთისა და ესპანეთის ბაზრებს მოიცავს. კვების მზა პროდუქტების შემთხვევაში, სხვა სფეროებთან შედარებით უფრო მრავალფეროვანია ბაზარი, თუმცა სამი ძირითადი ქვეყანა, ლიეტუვა პოლონეთი და საფრანგეთი, მაინც მთლიანი ექსპორტის 65 პროცენტს აღემატება. ქიმიური პროდუქტის ძირითადი საექსპორტო ბაზარი რუმინეთია და მისი წილი 50 პროცენტს აღწევს. არაძვირფასი ლითონების შემთხვევაში კი, იტალიის ნიდერლანდებისა და ესპანეთის მნიშვნელოვანი იკვთება, რომლებთანაც წილიც მთლიან ექსპორტში 76 პროცენტია.



### 3.1.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან


დიაგრამა 3.1.4. სავაჭრო ნაკადები რეგიონების მიხედვით, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.1.4-ში მოცემულია ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებით, შერჩეულ ქვეყნებში, სავაჭრო ნაკადების განაწილება რეგიონების მიხედვით. დიაგრამაში იკვეთება, რომ ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებით, ყველაზე დიდი ნაწილი დღეს-დღეობაზე მოდის, ასევე მნიშვნელოვანია 2019-2021 წლებში სხვა ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მაჩვენებლები. ევროკავშირის წილი მეტნაკლებად სტაბილურია. ყურადსაღები ამ მიმართულებით, 2021 წელს ევროკავშირის წილის კლებაა.

დიაგრამა 3.1.5. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ექსპორტი მიხედვით




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.1.5-ში წარმოდგენილია, საქართველოს 10 ძირითადი საექსპორტო ბაზარი. დიაგრამის მიხედვით, 2004-2021 წლებში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ჩინეთის მიმართულებით გამოიკვეთა. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონულ

განაწილებაში, 2019-2021 წლებში, სხვა ქვეყნების წილის ზრდა მნიშვნელოვნად, სწორედ ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარებით არის განპირობებული. ასევე საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ექსპორტის მაჩვენებლები რუსეთში. აზერბაიჯანის მიმართულებით განხორციელებული ექსპორტის მოცულობა კი, მცირედით ცვალებადი, თუმცა მეტნაკლებად სტაბილურია. დადებითია ასევე, თურქეთსა და უკრაინაში განხორციელებული ექსპორტის დინამიკა.

საექსპორტო ბაზრების განვითარების მიმართულებით, უარყოფითი ტენდენცია ვლინდება სომხეთისა და ბულგარეთი შემთხვევაში. ხაზგასასმელია, რომ პანდემიის შედეგად, 2020 წელს სომხეთში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა 57 პროცენტით არის შემცირებული. ამასთანავე, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებლის ზრდის მიუხედავად, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, 2021 წელს, სომხეთში ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულება 40 პროცენტითაა შემცირებული. ბულგარეთის შემთხვევაში კი, 2020-2021 წლებში ექსპორტირებული საქონლის ღირებულების 20-პროცენტის კლება გამოვლინდა.

დიაგრამა 3.1.6. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, იმპორტის მიხედვით



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

იმპორტის მიმართულებით, ძირითადი პარტნიორების იდენტიფიცირების საფუძველზე ვლინდება, რომ პანდემიის უარყოფით გავლენის გათვალისწინებით, სტაბილურად მზარდი და მნიშვნელოვანია რუსეთის, ჩინეთის და აშშ-ს მაჩვენებლები. მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმაც, რომ ექსპორტის მაჩვენებლებთან შედარებით,

იმპორტის მიმართულებით იკვეთება ძირითადი პარტნიორებთან სავაჭრო ნაკადების უფრო სტაბილური ტენდენცია და მცირე რყევები.

*ცხრილი 3.1.6. ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საბაზრო წილები*


ქვეყანა	% წილი 2004	% წილი 2014	% წილი 2021
<b>ექსპორტი</b>			
EU	15.0	21.0	16.9
ჩინეთი	0.5	3.2	14.5
რუსეთი	16.2	9.6	14.4
აზერბაიჯანი	3.9	19.0	12.5
თურქეთი	18.4	8.4	7.6
<b>იმპორტი</b>			
EU	27.1	26.5	22.9
თურქეთი	10.9	20.1	18.1
რუსეთი	14	6.7	10.1
ჩინეთი	1.6	8.5	8.6
აშშ	6	3.3	6.4

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 3.1.6-ში, ხუთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის საბაზრო წილის განსაზღვრის საფუძველზე იკვეთება, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად არის შემცირებული ევროკავშირის წილი, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მიმართულებით. თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, 2004-2021 წლების პერიოდში ჩინეთის წილი საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მიმართულებით, უმნიშვნელო 0.5 პროცენტიდან, 15 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე მკვეთრი ცვლილება გამოვლინდა რუსეთთან ვაჭრობის მიმართულებით. 2004 წელთან შედარებით, 2014 წელს, რუსეთიდან სავაჭრო ნაკადების წილის კლების შემდეგ, საქართველოსთვის რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა 2021 წლისათვის მკვეთრად გაზრდილია.

დიაგრამა 3.1.7. ექსპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021

წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.1.7-ში წარმოდგენილია 2004-2021 წლებში, საქართველოდან ევროკავშირში, ჩინეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში განხორციელებული ექსპორტის დინამიკა.


პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ ეკონომიკური რეცესიის დროს ექსპორტის მცირე კლების მიუხედავად, საანალიზო პერიოდში, ევროკავშირში ექსპორტის ტენდენცია სტაბილურად მზარდია. ჩინეთის შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ 2013 წლამდე, ფიქსირდება შედარებით უმნიშვნელო მოცულობები, რაც რადიკალურად იცვლება 2021 წლისათვის, ჩინეთში ექსპორტირებული პროდუქტის სხვა ძირითად სავაჭრო პარტნიორების მაჩვენებლებთან მიახლოების საფუძველზე. ყველაზე მაღალი 130-პროცენტის ზრდა 2019-2020 წლებში გამოვლინდა.

ასევე, საინტერესოა რუსეთის მიმართულებით არსებული ტენდენციების იდენტიფიცირება. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება 2013 წელს, როდესაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის 300-პროცენტის ზრდა გამოვლინდა. შედარებისათვის, 2014-2021 წლებში, საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში - 20 პროცენტით, რუსეთში - 122 პროცენტით, ხოლო ჩინეთში 580 პროცენტით არის გაზრდილი.

DCFTA-ს ხელმოწერამდე, საქართველოს სავაჭრო სტრუქტურაზე მნიშვნელოვანი გავლენა 2005 წელს რუსეთის მიერ სავაჭრო ემბარგოს შემოღებამ იქონია. რის საფუძველზეც საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებისაკენ გადაიხარა. თუმცა

რუსეთის წილი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 2013 წელს სავაჭრო შეზღუდვების მოხსნის შედეგად აღდგა (Emerson & Kovziridze, 2021, p.9).

დიაგრამა 3.1.8. იმპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

დიაგრამა 3.1.8-ის მიხედვით, იმპორტის მიმართულებით, შედარებით თანმიმდევრული ტენდენციები ვლინდება, ხუთივე ძირითადი სავაჭრო პარტნიორის იმპორტის მაჩვენებლები მცირე რყევების მიუხედავად, სტაბილურად მზარდია.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ძირითად პარტნიორებთან სავაჭრო ნაკადების მიმოხილვის საფუძველზე, 2014-2021 წლებში, ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველო-ჩინეთისა და საქართველო-რუსეთის სავაჭრო ნაკადების მიმართულებით ვლინდება. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნულ ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების მიმოხილვა და წარმოდგენილი ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება. რუსეთის შემთხვევაში, აღნიშნული ზრდა 2013 წელს სავაჭრო ემბარგოს მოხსნასთან არის დაკავშირებული, ხოლო ჩინეთის შემთხვევაში, 2017 წელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებასთან.


ხაზგასასმელია, რომ DCFTA-ს მნიშვნელობა მხოლოდ ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარებით არ შემოიფარგლება. შეთანხმების გაფორმებას დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ვაჭრობის უფრო ფართო ლიბერალიზაციაზე, კერძოდ კი, მან ხელი შეუწყო საქართველოს სხვა სავაჭრო შეთანხმებების ხელმოწერასა და მოლაპარაკებების დაწყებას. ამის საუკეთესო მაგალითია, EFTA-ს ქვეყნებთან, ჩინეთთან და ჰონგ-კონგთან

გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. ასევე, მიმდინარე მოლაპარაკებები ისრაელსა და ინდოეთთან. სწორედ ევროკავშირთან გაფორმებული სავაჭრო შეთანხმება გახდა, ჩინეთისა და ინდოეთის მიერ საქართველოსთან ვაჭრობით დაინტერესების საფუძველი (Akhvlediani, 2022, p.26). აღნიშნული კი, თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციის მოდელში, ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნის ეფექტით არის გამოხატული, რაც საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებით სარგებლის და კეთილდღეობის ინდიკატორია.

## 3.2 მოლდოვის სავაჭრო ურთიერთობების თავისებურებები

### 3.2.1 მოლდოვა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი

დიაგრამა 3.2.1. მოლდოვის სავაჭრო ნაკადები, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.2.1-ში წარმოდგენილია 2004 წლიდან 2021 წლამდე მოლდოვის ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები ევროკავშირში და დანარჩენ ქვეყნებში. ნათელია, რომ სავაჭრო ნაკადები ევროკავშირში მზარდია. საქართველოს მსგავსად 2009, 2015 და 2020 წელს დაფიქსირებული კლება კი, ზოგადად გლობალურ ან რეგიონულ დონეზე არსებულ ეკონომიკურ კრიზისებთან არის დაკავშირებული.

2004-2021 წლების პერიოდში მოლდოვის ექსპორტი ევროკავშირში თითქმის 5-ჯერ, იმპორტი კი 4-ჯერ არის გაზრდილი. მოლდოვის შემთხვევაში, 2021 წელს, ევროკავშირთან საქონლით ვაჭრობის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტსა და იმპორტში, შესაბამისად 60 პროცენტს და 40 პროცენტს აღემატება.

საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირთან ვაჭრობის წილი მთლიანად ვაჭრობაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და 2004 წელს ექსპორტის 39 პროცენტიდან, 2021 წელს 67 პროცენტამდე, ხოლო იმპორტი 40-50 პროცენტს შორის მერყეობს.

*ცხრილი 3.2.1. ევროკავშირთან ვაჭრობის ცვლილება და საბაზრო წილი*

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
<b>ექსპორტი</b>								
მსოფლიო	2299.76	1975.682	2048.973	2426.82	2710.623	2779.256	2484.792	3142.97985
EU	1137.8	1079.4	1217.6	1460.8	1783.5	1780.7	1658.4	1918.8
% ზრდა EU		-5.1	12.8	20.0	22.1	-0.2	-6.9	15.7
% ზრდა მსოფლიო		-14.1	3.7	18.4	11.7	2.5	-10.6	26.5
EU % წილი	49.5	54.6	59.4	60.2	65.8	64.1	66.7	61.1
<b>იმპორტი</b>								
მსოფლიო	5282.489	4001.104	4034.767	4848.844	5763.742	5845.975	5409.572	7175.313
EU	2499.839	1901.189	1911.716	2331.993	2791.806	2831.186	2470.372	3149.214
% ზრდა EU		-23.9	0.6	22.0	19.7	1.4	-12.7	27.5
% ზრდა მსოფლიო		-24.3	0.8	20.2	18.9	1.4	-7.5	32.6
EU % წილი	47.3	47.5	47.4	48.1	48.4	48.4	45.7	43.9

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 3.2.1-ში წარმოდგენილია 2014-2021 წლებში ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების განვითარების ტენდენციები. შეფასებულია ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების ყოველწლიური ზრდა და მთლიან ვაჭრობაში ევროკავშირის წილის ცვლილების ტენდენციები. ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ ევროკავშირთან DCFTA-ს ხელმოწერით შემდეგ, 2015 წელს, მცირე კლების შემდეგ, ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების განვითარების სტაბილურად მზარდი ტენდენცია გამოიკვეთა. 2016, 2017 და 2018 წლებში ევროკავშირში ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად აღემატება მთლიანად სავაჭრო ნაკადის საშუალო ზრდის მაჩვენებელს. ასევე საყურადღებოა, რომ 2020 წელს ექსპორტის მოცულობის კლების მიუხედავად, ევროკავშირის საბაზრო წილის ზრდა ქვეყნებს შორის დადებითი სავაჭრო ტენდენციის შენარჩუნებაზე მიუთითებს.

ხაზგასასმელია, რომ სხვა ასოცირებულ ქვეყნებთან შედარებით, მოლდოვისთვის ევროკავშირი ერთობ მნიშვნელოვან ძირითად სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს.

იმპორტის მიმართულებით, ქვეყანაში არსებული ტენდენციების შესაბამისი როგორც ზრდის, ისე კლების ტენდენციები იკვეთება. 2014-2019 წლებში, შედარებით სტაბილურია ევროკავშირის საბაზრო წილი იმპორტის მიმართულებით. ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 47-48 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა.

საინტერესო ტენდენცია, პანდემიის შემდეგ ევროკავშირის საბაზრო წილის მცირე კლების მიმართულებით ვლინდება. 2020-2021 წელს ვაჭრობის აღდგენის, ექსპორტი 16-პროცენტთან, ხოლო იმპორტის 28-პროცენტთან მატების მიუხედავად, საბაზრო წილი ექსპორტის შემთხვევაში 66 პროცენტიდან 61 პროცენტამდე, ხოლო იმპორტის შემთხვევაში 46 პროცენტიდან 44 პროცენტამდე შემცირდა. შესაბამისად, საინტერესოა რამ გამოიწვია აღნიშნული კლება.

*ცხრილი 3.2.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი, 2014-2021 წლებში*

ქვეყანა	2014	% წილი	2019	% წილი	2021	% წილი
რუმინეთი	434.0421	38	765.435	43	833.4778	43
გერმანია	137.5252	12	246.0987	14	245.4459	13
იტალი	243.4074	21	267.0865	15	239.4379	12
პოლონეთი	64.4334	6	112.902	6	108.5078	6
ჩეხეთი	29.9315	3	64.81786	4	79.00075	4
ბულგარეთი	37.8723	3	62.9576	4	77.76603	4
ესპანეთი	11.6807	1	38.14547	2	62.79791	3
საბერძნეთი	26.7155	2	39.27609	2	44.50165	2
უნგრეთი	5.525601	0	11.13294	1	41.8012	2
ნიდერლანდები	20.5159	2	37.88596	2	35.78706	2

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 2.2-ში მოცემულია, ევროკავშირში მოლდოვის მიერ ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულება ქვეყნების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, შეფასებულია შეთანხმების გავლენა ახალი საექსპორტო ბაზრების მოზიდვისა და ზოგადად ინდივიდუალურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე. ცხრილის მიხედვით იკვეთება, რომ DCFTA-ს ძირითადი საექსპორტო ქვეყნების სტრუქტურის ცვლილება არ გამოუწვევია. ევროკავშირში მოლდოვის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი რუმინეთია. აღნიშნულ პერიოდში, ზრდა რუმინეთის, ესპანეთისა და უნგრეთის მიმართულებით



გამოვლინდა, ამასთანავე საგრძნობლად შემცირებულია იტალიის წილი. აღსანიშნავია, რომ რუმინეთის საბაზრო წილის მცირე 5-პროცენტის ზრდის მიუხედავად, მოლდოვიდან რუმინეთში ექსპორტის ღირებულება თითქმის გაორმაგებულია (2014 წელს 434 მილიონი აშშ დოლარიდან, 833 მილიონ აშშ დოლარამდეა გაზრდილი).

მოლდოვის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ კოვიდის პერიოდში ზოგიერთ ქვეყანასთან შემცირებული სავაჭრო ნაკადების მიუხედავად, 2021 წლისათვის ექსპორტის აღდგენის ტენდენცია გამოიკვეთა.

*ცხრილი 3.2.3. იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ცვლილება 2014-2021 წლებში*

ქვეყანა	2014	% წილი	2019	% წილი	2021	% წილი
რუმინეთი	803.0881	32	841.1855	30	830.0664	26
გერმანია	426.9573	17	484.1697	17	546.7694	17
იტალია	352.4102	14	406.438	14	444.4599	14
პოლონეთი	155.8025	6	201.6134	7	261.6166	8
საფრანგეთი	93.8217	4	147.0096	5	170.6714	5
უნგრეთი	85.5821	3	108.7214	4	121.5981	4
ჩეხეთი	66.5576	3	112.9336	4	114.8728	4
ესპანეთი	47.4604	2	81.0094	3	100.69	3
ავსტრია	110.4967	4	92.14889	3	97.73096	3
ბულგარეთი	81.3369	3	56.21302	2	77.21601	2

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 3.2.3-ში მოლდოვაში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების სტრუქტურისა და საბაზრო წილების მნიშვნელოვანი ცვლილება არ გამოკვეთილა. პანდემიის მიუხედავად, 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, რუმინეთის გარდა, ყველა ქვეყანაში სავაჭრო ნაკადების ზრდის ტენდენცია გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაშიც კოვიდის პერიოდის შემდეგ საყურადღებო კლება სწორედ ამ მიმართულებით იკვეთებოდა.

DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირში მოლდოვის სავაჭრო ნაკადების შეფასების საფუძველზე, მოლდოვის, როგორც საგარეო ვაჭრობის ზრდის ტენდენცია, ისე სავაჭრო ნაკადების ძირითადი სავაჭრო პარტნიორების შენარჩუნება გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ მოლდოვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რუმინეთთან ვაჭრობაზე, ვინაიდან ევროკავშირთან ვაჭრობის ყველაზე დიდი წილი სწორად ამ ქვეყანაზე მოდის.

მოლდოვისათვის DCFTA-ს მნიშვნელობის განხილვის პროცესში აუცილებელია დნესტრისპირეთის სეპარატისტულ რეჟიმთან არსებული მდგომარეობის შეფასებაც. საქართველოსა და უკრაინის სეპარატისტული რეგიონებისაგან განსხვავებით, მოლდოვის შემთხვევაში, შეთანხმება დნესტრისპირეთზე ვრცელდება (Adarov & Havlik, 2016, p. 27). მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ ეტაპზე დე-ფაქტო რეჟიმი არ მონაწილეობდა მოლაპარაკებებში, ევროკავშირის მიერ რეგიონისათვის პრეფერენციების გაგრძელებაზე უარის თქმის შედეგად, აუცილებელი გახდა ექსპორტის გაგრძელებისათვის საჭირო პრეფერენციების შენარჩუნება. შედეგად, 2016 წლის იანვრიდან DCFTA მოლდოვის მთლიან ტერიტორიაზე გავრცელდა.

სეპარატისტულ რეგიონზე შეთანხმების გავლენის დადგენა სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან დნესტრისპირეთის რეგიონის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. დნესტრისპირეთის ექსპორტიორი კომპანიების აღრიცხვის მოთხოვნის მიუხედავად, არ გვაქვს საჯარო მონაცემები, რეგიონიდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქტებზე. ზოგადად, მოლდოვის ეროვნულ ანგარიშებში, დნესტრისპირეთის საგარეო ვაჭრობის მხოლოდ მცირე წილია ასახული (Akhvlediani, 2022, p.29).

მიუხედავად ინფორმაციის დეფიციტისა, არსებული მონაცემებით, რეგიონში DCFTA მნიშვნელობის ყველაზე კარგი მაგალითი ექსპორტის მაჩვენებლებში იკვეთება. დნესტრისპირეთის რეგიონიდან ექსპორტირებული პროდუქტის 55-65 პროცენტი სწორედ ევროკავშირის ბაზარზე გადის (Gumene, 2019). ზოგადად, სეპარატისტულ რეგიონში, DCFTA-ს ყველა მოთხოვნის შესრულება თითქმის წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, ნათელია, შეთანხმებას დადებითი გავლენა მხარეებს შორის ურთიერთობების განვითარებაზე.

**ძირითადი საექსპორტო პოზიციები.** მოლდოვა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე, DCFTA-ს გავლენის დადგენის მიზნით ცხრილი 3.2.4-ში წარმოდგენილია, მოლდოვიდან ევროკავშირში ექსპორტირებული 10 ძირითადი საქონლის ჯგუფი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით.


ცხრილი 3.2.4. მოლდოვიდან ექსპორტირებული პროდუქტები სექტორის მიხედვით, 2014-2021 წლებში

სექტორი	2014		2019		2021	
	მოცულობა	წილი	მოცულობა	წილი	მოცულობა	წილი
კარი XVI - მანქანები და მოწყობილობები	253595740	23	575905730	32	530332474	28
კარი II - მცენარეული პროდუქტები	204138874	18	347202838	20	356348097	19
კარი XI - ტექსტილის ნაწარმი	182636044	16	235854840	13	217213450	11
კარი XX - სხვადასხვა სამრეწველო საქონელი	96532922	9	157997036	9	175319874	9
კარი IV - კვების მზა პროდუქტები, სასმელი და თამბაქო	108546515	10	146054293	8	170976390	9
კარი III - ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები	72491929	6	66611440	4	106709441	6
კარი XIII - ქვის, თაბაშირი, ცემენტი, და სხვა	27817852	2	45575735	3	68291707	4
კარი XV - არა ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი	29989647	3	31075860	2	63654089	3
კარი XVII - მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები	6360839	1	19039044	1	62402186	3
კარი XII - ფეხსაცმელი, თავსაბურავები და ა.შ.	28650805	3	32220330	2	34295521	2
<b>სულ</b>	<b>1126591671</b>	<b>100</b>	<b>1773123109</b>	<b>100</b>	<b>1912336668</b>	<b>100</b>

წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

ცხრილი 3.2.4-ის მიხედვით, იკვეთება, რომ 2021 წლის მონაცემებით, 5 ყველაზე დიდი საექსპორტო ჯგუფის წილი, ევროკავშირის მთლიან ექსპორტში 75 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან სტაბილურად მზარდია ყველა ძირითადი საექსპორტო პოზიციების ექსპორტის მოცულობა. ამასთანავე, DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ ძირითადი საექსპორტო პოზიციების შემადგენლობა არ შეცვლილა. ასევე საყურადღებოა, რომ მიუხედავად 2014-2021 წლების გამოკვეთილი ზრდისა, მანქანების, მოწყობილობებისა და მექანიზმების სექტორსა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტების სექტორში მცირე კლება ვლინდება, რაც სავარაუდოდ, პანდემიის შემდეგ ვაჭრობის აღდგენის გამოწვევებთან არის დაკავშირებული.

დიაგრამა 3.2.2. მოლდოვის ექსპორტი ევროკავშირში 2021 წელს, ტოპ 5 სექტორი



წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

დიაგრამა 3.2.2-ში წარმოდგენილია 5 ძირითადი საექსპორტო პოზიციის მოცულობის განაწილება. დიაგრამა ნათელს ხდის, ევროკავშირში ექსპორტის მანქანებსა და მოწყობილობებზე და მცენარეული წარმოშობის პროდუქტზე დამოკიდებულებას. თუმცა საქართველოსთან შედარებით, მოლდოვიდან ექსპორტირებული პროდუქტის ჯგუფები უფრო დივერსიფიცირებულია და მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ძირითად სექტორზეა ორიენტირებული, მათი საბაზრო წილები უფრო თანაბრად არის გადანაწილებული.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ახალი საექსპორტო პოზიციების იდენტიფიცირების მიზნით, ცხრილი 3.2.5-ში წარმოდგენილია, 2014-2021 წლებში, HS ორნიშნა კოდების მიხედვით, ამ მიმართულებით იდენტიფიცირებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ცხრილი 3.2.5. საექსპორტო პოზიციები HS ორნიშნა კოდის მიხედვით, 2014-2021 წლებში

HS2	დასახელება	2014	2021	% ზრდა 2014-21	% წილი 2021
87	მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები და ნაწილები	6237967	61991124	894	3
12	მცენარეების თესლები, ნაყოფები და მარცვალი	50447854	1.55E+08	207	8
85	ელექტრული მანქანები, მოწყობილობები და ნაწილები	2.43E+08	5.06E+08	108	26
62	ტანსაცმელი და ტანსაცმლის საკუთნოები	1.29E+08	1.24E+08	-4	6
8	საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი; ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი	94640908	80635202	-15	4
სულ		1.13E+09	1.91E+09	70	100


წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

ხაზგასასმელია, რომ 2014-2021 წლებში, HS ორნიშნა სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით, მოლდოვიდან ევროკავშირში ექსპორტის ანალიზის საფუძველზე, DCFTA-ს ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება. ამ პერიოდში, იდენტიფიცირებული ახალი საექსპორტო პოზიციების წილი მთლიან ექსპორტში 1 პროცენტზე ნაკლებია. ცხრილი 3.2.5-ში წარმოდგენილია, ის ძირითადი სექტორები რომლებმაც შედარების მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. 2014-2021 წლებში, 108-პროცენტიანი ზრდის საფუძველზე, ელექტრონული მანქანების და მოწყობილობების წილი მთლიან ექსპორტში 22-დან 26 პროცენტამდე გაიზარდა, ასევე 4 პროცენტიდან 8 პროცენტამდე გაზრდილი მცენარეების თესლისა და ნაყოფების წილი. მიუხედავად მცირე საბაზრო წილისა მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტის 900 პროცენტამდე მატებამ, მისი წილი მთლიან ექსპორტში 1-დან 3 პროცენტამდე გაზარდა. ყველაზე მკვეთრი კლება ტანსაცმლისა და საკვებად ვარგისი ხილის, კაკლის, ციტრუსების კანისა ან ნესვის ქერქის მიმართულებით ფიქსირდება, რომელთა საბაზრო წილებიც ამ პერიოდში, შესაბამისად, 11 პროცენტიდან 6 პროცენტამდე და 8 პროცენტიდან 4 პროცენტამდე შემცირდა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლიდან მოლდოვის ექსპორტის პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, შეთანხმების შედეგად ახალი საექსპორტო პოზიციებისა და პროდუქტის დივერსიფიცირების ტენდენცია არ ვლინდება.

დამატებით, საინტერესოა იმის დადგენა თუ რამდენად არის დივერსიფიცირებული ძირითადი პოზიციების საექსპორტო ბაზრები გეოგრაფიულად.

დიაგრამა 3.2.3. ძირითადი საექსპორტო პოზიციები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი




წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

დიაგრამა 3.2.3-ის მიხედვით, იკვეთება, რომ საქართველოს მსგავსად, მოლდოვის შემთხვევაშიც, ძირითადი საექსპორტო პროდუქტი კონცენტრირებულია რამდენიმე ბაზარზე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კი, როგორც მოსალოდნელი იყო რუმინეთია. მეორე კარის, მცენარეული პროდუქტის შემთხვევაში, სამი ძირითადი ბაზრის, რუმინეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის წილი მთლიან ექსპორტში 60 პროცენტს აღემატება. კვების მზა პროდუქტების მიმართულებით, იკვეთება რუმინეთის პოლონეთისა და გერმანიის ბაზრების მნიშვნელობა და მათი წილი 73 პროცენტს აღწევს. რაც შეეხება ტექსტილის ნაწარმს, აქ მნიშვნელოვანია, რომ ყველაზე დიდ საექსპორტო ბაზარს რუმინეთი არ წარმოადგენს და მის ადგილს იტალიის ბაზარი იკავებს და მისი წილი პროდუქტის მთლიან ექსპორტში 55 პროცენტია. ამასთანავე, რუმინეთის და გერმანიის ბაზრების გათვალისწინებით, ტექსტილის მთლიან ექსპორტში ტოპ სამი ქვეყნის წილი 88 პროცენტია. ყველაზე დიდი საექსპორტო პოზიციის ბაზარი კი, რუმინეთია, სადაც ექსპორტირებული პროდუქტის 60 პროცენტი გადის. სხვადასხვა სამრეწველო პროდუქტი მიმართულია გერმანიის, რუმინეთისა და უნგრეთის ბაზრებზე, რაც მთლიანი ექსპორტის 78 პროცენტს შეადგენს.

ევროკავშირში მოლდოვის ექსპორტის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სასაქონლო პოზიციების მიხედვით, რამდენიმე სექტორზე ორიენტირების მიუხედავად, მეტწილად დაბალანსებულია მათი წილი მთლიან ექსპორტში და ქვეყანა ნაკლებად არის დამოკიდებული რომელიმე ერთი ან ორი ჯგუფის პროდუქტის ექსპორტზე. დამატებით, აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან, მოლდოვის ექსპორტის დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ახალი სასაქონლო პოზიციების ექსპორტი არ ფიქსირდება. რაც შეეხება, სექტორების მიხედვით ექსპორტირებული პროდუქტის გეოგრაფიულ განაწილებას, ამ მიმართულებით, იკვეთება მკვეთრი დამოკიდებულება რუმინეთისა და გერმანიის ბაზრებზე, რაც ვაჭრობის განვითარების მიმართულებით მეტი დივერსიფიცირების საჭიროებაზე მიანიშნებს.

### 3.2.2 მოლდოვის საგარეო ვაჭრობა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან

დიაგრამა 3.2.4. სავაჭრო ნაკადები რეგიონების მიხედვით, 2004-2021 წლებში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.2.2-ში რეგიონების მიხედვით, სავაჭრო ნაკადების განაწილებაში, ნათლად ჩანს, მოლდოვის ევროკავშირთან ვაჭრობაზე მზარდი დამოკიდებულებისა, და დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების შემცირების დინამიკა. ამავდროულად, საყურადღებოა, რომ 2014-2021 წლების პერიოდში, სხვა ქვეყნებში მოლდოვის ექსპორტი 333 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო იმპორტი 785 მილიონი აშშ დოლარით არის გაზრდილი.

დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის შემცირებისა და დანარჩენ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შეფასებისათვის, დიაგრამა 2.3 და 2.4-ში წარმოდგენილია მოლდოვის ათი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი იმპორტისა და ექსპორტის მიმართულებით.

დიაგრამა 3.2.5. მოლდოვის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ექსპორტის მიხედვით




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამის 3.2.5-ის მიხედვით, 2004-2021 წლებში, ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა რუმინეთისა და თურქეთის შემთხვევაში ვლინდება. ათი ძირითადი სავაჭრო პარტნიორიდან ექვსი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, მათ შორისაა რუმინეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი, ჩეხეთი და ბულგარეთი. რეგიონული განაწილების გათვალისწინებით, საყურადღებოა, 2021 წელს, თურქეთის მიმართულებით ექსპორტის 83-პროცენტთან ზრდა. ევროპის ქვეყნების შემთხვევაში, 2020 წელს, ექსპორტის კლების შემდეგ, 2021 წლისათვის მაჩვენებლები პანდემიამდე არსებულ ნიშნულზეა. კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას რუსეთთან სავაჭრო ნაკადების კლება წარმოადგენს. საგულისხმოა ისიც, რომ 2014-2019 წლებში, მოლდოვიდან რუსეთში ექსპორტის მოცულობა 40 პროცენტით არის შემცირებული. პანდემიის შემდეგ, 2021 წლისათვის კი, დადებითი ტენდენცია იკვეთება და 2019 წელთან შედარებით, ექსპორტი 11 პროცენტამდე გაზრდილი.

2014-2021 წლებში, საექსპორტო ბაზრების განვითარების მიმართულებით, უარყოფითი ტენდენცია მხოლოდ უკრაინის შემთხვევაში გამოვლინდა და მოლდოვის ექსპორტი კი 15 პროცენტამდე შემცირდა.



დიაგრამა 3.2.6. მოლდოვის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, იმპორტის მიხედვით



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 2.4-ის მიხედვით, 2021 წელს, წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რუსეთიდან იმპორტირებული პროდუქტის მოცულობა. 2014-2020 წლებში, იმპორტის 13-პროცენტის კლების შემდეგ, 2020-2021 წლებში, იმპორტი 75-პროცენტისა ზრდა გამოვლინდა. 2004-2021 წლებში, სტაბილურად მზარდია ჩინეთიდან იმპორტის მაჩვენებელი. რუმინეთის შემთხვევაში, კლება პანდემიის პერიოდთან არის დაკავშირებული, სხვა ქვეყნებშიც მეტნაკლებად სტაბილური ზრდა გამოიკვეთა.

შესაბამისად, ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებიდან, მნიშვნელოვანი ცვლილება რუსეთიდან და ჩინეთიდან იმპორტის მაჩვენებლების მიმართულებით გამოვლინდა.

ცხრილი 3.2.6. ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საბაზრო წილები

ქვეყანა	% წილი 2004	% წილი 2014	% წილი 2021
<b>ექსპორტი</b>			
EU	40	49	61
თურქეთი	1	5	10
რუსეთი	36	18	9
შვეიცარია	0	2	4
უკრაინა	7	5	3
<b>იმპორტი</b>			
EU	43	47	44
რუსეთი	12	14	15
ჩინეთი	2	9	12
უკრაინა	25	10	9
თურქეთი	4	6	8


წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

ცხრილი 3.2.6-ში ხუთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის საბაზრო წილების განსაზღვრის საფუძველზე იკვეთება, რომ 2021 წელს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ევროკავშირისა და თურქეთის წილი ექსპორტის მიმართულებით. ამ პერიოდში, რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 36-პროცენტთან საბაზრო წილიდან 9 პროცენტამდე შემცირებული.

იმპორტის მიმართულებით, გამოვლინდა ევროკავშირიდან და უკრაინიდან იმპორტირებული საქონლის მცირე კლების, და რუსეთის, ჩინეთისა და თურქეთის ზრდის მაჩვენებლები.

ხაზგასასმელია, რომ მოლდოვის შემთხვევაში 5 ძირითად სავაჭრო პარტნიორთან ვაჭრობის წილი, მოცემულ პერიოდში 80-90 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. რაც მოლდოვის სავაჭრო ნაკადების რამდენიმე ძირითად ბაზარზე კონცენტრირებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 3.2.7. ექსპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.2.7-ში, 2004-2021 წლებში, მოლდოვიდან ევროკავშირის ქვეყნებში, თურქეთსა და რუსეთში ექსპორტის დინამიკის შეფასების საფუძველზე, საყურადღებო ტენდენცია რუსეთისა და რუმინეთის შემთხვევაში გამოიკვეთა. 2004-2021 წლებში სტაბილურად მზარდია რუმინეთში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა და ამ პერიოდში 735-მილიონიანი მატება ფიქსირდება. შედარებისათვის, სხვა ქვეყნების შემთხვევაში 2004-2021 წლებში, ყველაზე დიდი მატება თურქეთის მიმართულებით, 300 მილიონი აშშ დოლარის მატებაში ვლინდება. რაც შეეხება რუსეთში ექსპორტირებული

პროდუქტის მოცულობას, აღნიშნული მაჩვენებლის კლება 2013 წლის შემდეგ დაიწყო და 2021 წელს კი, 56 პროცენტის კლება განიცადა.

დიაგრამა 3.2.8. იმპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

დიაგრამა 2.6-ის მიხედვით, მოლდოვაში იმპორტირებული პროდუქტის ღირებულების შეფასებისას, ძირითად პარტნიორებთან ვაჭრობა მიჰყვება იდენტიფიცირებული კრიზისების პერიოდში სავაჭრო ნაკადების შემცირების ტენდენციას. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პანდემიისა, 2019-2020 წლებში, ყველაზე მაღალი ტემპით ზრდა ჩინეთის შემთხვევაში გამოვლინდა.

ზოგადად ევროკავშირი მოლდოვის ძირითადი საექსპორტო ბაზარი 2000-იანი წლების დასაწყისიდან იყო. ამავე პერიოდში მზარდი იყო ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან უკრაინასა და თურქეთთან, რაც მთლიანი ვაჭრობის 80%-ს აღწევდა. აღნიშნულის სანაცვლოდ, რუსეთის მიერ შემოღებული სანქციების შედეგად რუსეთთან ვაჭრობის მაჩვენებლები შემცირდა. თავის მხრივ, რუსეთიდან შენარჩუნებული იმპორტი კი, ძირითადად ბუნებრივი აირის მიწოდებაზეა მიმართული. ასევე ევროკავშირის მიმართულებით განხორციელებული ექსპორტი კონცენტრირებულია რამდენიმე ძირითად ბაზარზე (Emerson & Cenuşa, 2021, p.9).

დსთ-ს ქვეყნებიდან ევროკავშირის ქვეყნებში მოლდოვის ექსპორტის რეორიენტაცია მიმართული იყო ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაზე და არ გამოიწვია ახალი საექსპორტო ბაზრების განვითარება. ასევე ახალი პროდუქტების ექსპორტის


მიუხედავად, მთლიანობაში საგარეო ვაჭრობის მიმართულებით სასაქონლო პოზიციების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი (The World Bank, 2016, P.7).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვის ძირითად პარტნიორებთან სავაჭრო ნაკადების შეფასების საფუძველზე, მნიშვნელოვნად განსხვავებულია იმპორტისა და ექსპორტის მიმართულებით არსებული მდგომარეობა. შესაბამისად, 2014-2021 წლებში, საგრძნობლად არის შემცირებული რუსეთში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა. ამავდროულად იმპორტის მიმართულებით, 2021 წელს რუსეთის იმპორტის ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, საინტერესოა რა განაპირობებს რუსეთთან სავაჭრო ნაკადების არათანმიმდევრული განვითარების დინამიკას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ შედარებით ახალ სავაჭრო პარტნიორთან ჩინეთთან, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მხოლოდ იმპორტი, მაშინ როდესაც ექსპორტის მიმართულებით აღნიშნული ქვეყანა ათეულშიც არ არის წარმოდგენილი.

### 3.3 უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები თავისებურებები

#### 3.3.1 უკრაინა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი

დიაგრამა 3.3.1. სავაჭრო ნაკადები, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

უკრაინის ევროკავშირთან და მსოფლიოსთან ვაჭრობის მაჩვენებლების შედარების საფუძველზე, დიაგრამა 3.1-ის მიხედვით, იკვეთება, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, სავაჭრო ნაკადები 2009, 2015 და 2020 წლებში არის შემცირებული. ზოგადად სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, უკრაინას უკეთესი სავაჭრო ბალანსი აქვს. აღსანიშნავია, რომ

ევროკავშირთან დადებითი ვაჭრობის დინამიკა და 2021 წლამდე ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე, რამდენიმე წლით ადრე 2008 წელს გამოიკვეთა.

ზოგადად, ქვეყნის საგარეო ვაჭრობის შეფასებისას გამოვლინდა, რომ 2013 წლიდან საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების შემცირების შემდეგ, ვაჭრობის მოცულობა 2021 წლამდე არ აღდგენილა. მაგალითისთვის, 2021 წელს, 2012 წელთან შედარებით, მთლიანი ექსპორტი 4 პროცენტით, ხოლო იმპორტი 17 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ზოგადად, 2004-2021 წლების პერიოდში უკრაინის ექსპორტი ევროკავშირში დაახლოებით ორჯერ, ხოლო იმპორტი სამჯერ გაიზარდა.

უკრაინის საგარეო ვაჭრობის შეფასებისას, ვითარების გაუარესება 2008-2009 წლის გლობალური კრიზისისა და 2014-2015 წლებში, რუსეთთან ომის პერიოდებში ვლინდება. ორივე შემთხვევაში, მთლიანი ვაჭრობის მკვეთრი ვარდნის შემდეგ, აღდგენას წლები დასჭირდა. ამ პერიოდში, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება რუსეთთან ვაჭრობის, ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობით ჩანაცვლება იყო (Emerson & Movchan, 2021. P.10).

*ცხრილი 3.3.1. ევროკავშირთან ვაჭრობის ცვლილება და საბაზრო წილი*

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
<b>ექსპორტი</b>								
მსოფლიო	53911.03	38134.80	36288.47	42339.35	47182.32	49886.45	49214.84	65826.46
EU	16420.12	12651.49	13186.45	16796.51	19577.12	20127.77	17954.51	25709.65
% ზრდა EU		-23.0	4.2	27.4	16.6	2.8	-10.8	43.2
% ზრდა მსოფლიო		-29.3	-4.8	16.7	11.4	5.7	-1.3	33.8
EU % წილი	30.5	33.2	36.3	39.7	41.5	40.3	36.5	39.1
<b>იმპორტი</b>								
მსოფლიო	54381.75	37502.29	39234.18	48716.91	57086.42	60481.33	53908.41	69961.35
EU	20369.15	14774.93	16429.17	19634.69	22294.75	24228.7	22544.77	28090.32
% ზრდა EU		-27.5	11.2	19.5	13.5	8.7	-7.0	24.6
% ზრდა მსოფლიო		-31.0	4.6	24.2	17.2	5.9	-10.9	29.8
EU % წილი	37.5	39.4	41.9	40.3	39.1	40.1	41.8	40.2

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

ცხრილი 3.3.1-ში წარმოდგენილია, 2014-2021 წლებში ევროკავშირთან ექსპორტისა და იმპორტის განვითარების და ევროკავშირის წილის ცვლილების ტენდენციები. ცხრილის მიხედვით, 2016-2019 წლებში, ევროკავშირში ექსპორტის დადებითი ტენდენცია იკვეთება. პანდემიის პერიოდში ვაჭრობის 10-პროცენტის კლების შემდეგ კი, 2021 წელს 43-პროცენტის ზრდის საფუძველზე, ამ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ასევე, 2016 წლიდან სტაბილურად მზარდია იმპორტის მაჩვენებლებიც.

ხაზგასასმელია, რომ ამ პერიოდში, ევროკავშირის წილი მთლიან ვაჭრობაში მეტნაკლებად სტაბილურია და 30-40 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ექსპორტის მიმართულებით, 2018 წელს, იმპორტის მიმართულებით, 2020 წელს კი, 42 პროცენტით განისაზღვრა.

საინტერესო ტენდენცია, 2015 წელს, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გამოვლინდა. ექსპორტის მიმართულებით, მთლიანი ექსპორტის 17 პროცენტამდე ზრდის, პარალელურად ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობა 27 პროცენტით გაიზარდა. საშუალო მაჩვენებელზე მაღალი ზრდის ტენდენცია 2020 წლამდე გაგრძელდა და პანდემიის პერიოდში 10-პროცენტის კლების მიუხედავად, 2021 წელსაც უფრო მკვეთრად, 43 პროცენტით გაიზარდა, ზოგადი ზრდის 33-პროცენტის მაჩვენებელთან შედარებით.

*ცხრილი 3.3.2. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი, 2013-2021 წლებში*

ქვეყანა	2014	% წილი	2019	% წილი	2021	% წილი
პოლონეთი	2645.04	16	3297	16	4979.111	19
იტალია	2470.974	15	2419	12	3240.248	13
გერმანია	1590.591	10	2383	12	2789.941	11
ნიდერლანდები	1106.112	7	1848	9	2128.416	8
ესპანეთი	1166.565	7	1501	7	1639.828	6
უნგრეთი	1510.17	9	1563	8	1583.355	6
რუმინეთი	584.5157	4	1006	5	1500.262	6
ჩეხეთი	772.5796	5	921	5	1378.783	5
სლოვაკეთი	670.578	4	709.6	4	948.5575	4
ავსტრია	530.9009	3	598.4	3	904.6479	4

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 3.3.2-ში წარმოდგენილია, უკრაინის ძირითადი საექსპორტო ბაზრები ევროკავშირში. მოლდოვისაგან განსხვავებით, უკრაინის სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან უფრო დივერსიფიცირებულია. 2014-2021 წლების მონაცემების შეფასება კი, DCFTA-ს შედეგად ახალი ბაზრებისა და ძირითადი პარტნიორების სტრუქტურის ცვლილების დადგენისათვის არის გამოყენებული. როგორც დანარჩენი ორი ასოცირებული ქვეყნის შემთხვევაში, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, უკრაინის შემთხვევაშიც, ძირითადი საექსპორტო ქვეყნების სტრუქტურა, შენარჩუნებულია. 2021 წლისათვის გაზრდილია პოლონეთის ბაზრის მნიშვნელობა, და ამავდროულად, სავაჭრო ნაკადების ზრდის მიუხედავად, შემცირებულია იტალიის, ესპანეთისა და უნგრეთის საბაზრო წილები.

*ცხრილი 3.3.3. იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ცვლილება 2013-2021 წლებში*

ქვეყანა	2014	% წილი	2019	% წილი	2021	% წილი
გერმანია	5360.24	26	5991.52	25	6067.98	22
პოლონეთი	3067.394	15	4102.57	17	4894.73	17
იტალია	1509.47	7	2074.74	9	2617.723	9
საფრანგეთი	1267.303	6	1652.8	7	1729.864	6
უნგრეთი	1463.888	7	1241.63	5	1517.741	5
ჩეხეთი	687.7027	3	1165.5	5	1457.052	5
ლიეტუვა	1032.188	5	1144.53	5	1226.193	4
ნიდერლანდები	763.6419	4	765.046	3	962.9282	3
ესპანეთი	607.3292	3	844.205	3	950.3596	3
სლოვაკეთი	426.8142	2	649.214	3	927.1617	3

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

ცხრილი 3.3.3-ში მოცემულია ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები ევროკავშირიდან. ექსპორტის მონაცემების მსგავსად, 2014-2021 წლებში შენარჩუნებულია ძირითადი სავაჭრო პარტნიორების შემადგენლობა და საბაზრო წილები. 2021 წლისათვის, მნიშვნელოვანი ცვლილება, გერმანიის საბაზრო წილი კლების მიმართულებით იკვეთება. ამასთან, სავაჭრო ნაკადების ზრდის მიუხედავად, გერმანიიდან იმპორტირებული პროდუქტის წილი, მთლიან ევროკავშირის იმპორტში, 26 პროცენტთან 22 პროცენტამდე შემცირდა. ამ პერიოდში 2-პროცენტისა და ზრდა გამოიკვეთა პოლონეთის, ჩეხეთის და იტალიის შემთხვევაში.

შეთანხმების გაფორმების შემდეგ, უკრაინის სავაჭრო ნაკადების შეფასების შედეგად, იკვეთება, რომ 2014-2021 წლებში არც იმპორტის და არც ექსპორტის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილება ძირითადი სავაჭრო პარტნიორებისა და მათი საბაზრო წილების ცვლილების მიმართულებით არ განხორციელებულა. ხაზგასასმელია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, უკრაინის ძირითადი საექსპორტო ბაზრების წილები მეტნაკლებად თანაბრად არის განაწილებული, რაც ვაჭრობის დივერსიფიცირების მაღალ მაჩვენებელზე მიგვითითებს.

**ძირითადი საექსპორტო პოზიციები.** ასოცირებული ტრიოს მესამე ქვეყნის საექსპორტო პოზიციების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ უკრაინის შემთხვევაში, დანარჩენი ორი ქვეყნისგან განსხვავებით, ექსპორტი უფრო დივერსიფიცირებულია, როგორც პროდუქტის, ასევე გეოგრაფიის მიხედვით. ცხრილი 3.3.4 წარმოდგენილია უკრაინიდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის ჯგუფების მიხედვით.

*ცხრილი 3.3.4. უკრაინიდან ექსპორტირებული პროდუქტი სექტორების მიხედვით, 2014-2021 წლებში (აშშ დოლარი)*

სექტორი	2014		2019		2021	
	მოცულობა	წილი	მოცულობა	წილი	მოცულობა	წილი
კარი XV - არა ძვირფასი ლითონები	4195025685	26	3557171396	18	5808363401	23
კარი V - მინერალური პროდუქტები	2641511816	16	2620318921	13	3752160197	15
კარი II - მცენარეული წარმოშობის პროდუქტები	2811093247	17	4309755299	22	3616522189	14
კარი XVI - მანქანები, მოწყობილობები და მექანიზმები	2013576780	12	2730733186	14	3196091625	13
კარი III - ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები	721404333	4	1462200381	7	2251900698	9
კარი IX - მერქანი და მერქნის ნაწარმი;	720204065	4	986270098.4	5	1367496986	5
კარი IV - კვების მზა პროდუქტები,	805123108	5	870722132.4	4	1028281873	4



სასმელები და ძმარი, თამბაქო						
კარი XX - სხვადასხვა სამრეწველო საქონელი	243866231	2	682674428.3	3	1012307683	4
კარი VI - ქიმიური და დაკავშირებული პროდუქცია	660332120	4	506292541	3	843334915	3
კარი XI - ტექსტილის ნაწარმი	565711086	3	685448517.8	3	657367283	3
სულ	1619119461 9	100	1982711549 0	100	2542733666 5	100


წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

2014, 2019 და 2021 წლების შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ ექსპორტირებული პროდუქტის ძირითადი ჯგუფების განაწილება მეტნაკლებად თანაბარია. ცხრილი 3.3.4-ის მიხედვით იკვეთება, რომ უკრაინის ექსპორტი ნაკლებად არის დამოკიდებული ერთ ან ორ პროდუქტზე. პირველი ხუთი ჯგუფის წილი კი, მთლიან ექსპორტში 73 პროცენტია.

2014-2021 წლებში, ძირითად საექსპორტო პოზიციებში დადებითი ტენდენცია იკვეთება. საყურადღებოა, რომ 2019-2021 წლებში ვლინდება მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტის მოცულობის კლება, რის საფუძველზეც 2021 წლისათვის, საექსპორტო პოზიციის საბაზრო წილი 22 პროცენტიდან, 14 პროცენტამდე შემცირებული, რაც ძირითადად მარცვლოვანი პროდუქტის ექსპორტის შემცირებით არის განპირობებული.

დამატებით, მნიშვნელოვანი განვითარება ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმებისა და ზეთების კატეგორიაში შემავალი პროდუქტის ექსპორტის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასა და საბაზრო წილის მატებასთან არის დაკავშირებული. 2014 წელს, ამ სექტორში ექსპორტირებული პროდუქტის საბაზრო წილი 4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2021 წლისათვის ეს მაჩვენებელი 9 პროცენტამდე გაიზარდა.

დიაგრამა 3.3.2. უკრაინის ექსპორტი ევროკავშირში 2021 წელი, ტოპ 5 სექტორი



წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

დიაგრამა 3.3.2.-ში ნაჩვენებია, 2021 წელს, ხუთი ძირითადი საექსპორტო სექტორის განაწილება. მიუხედავად იმისა, რომ არაპვირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის ექსპორტის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება სხვა დარგებში არსებულ მაჩვენებლებს, დანარჩენი სექტორების განაწილება მეტნაკლებად სტაბილურია და 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. სხვა ასოცირებულ ქვეყნებთან შედარებით, უკრაინის საექსპორტო ბაზაზრი უფრო დივერსიფიცირებულია.

რაც შეეხება, DCFTA-ს შედეგად, ახალი საექსპორტო პოზიციების განვითარების საკითხს, უკრაინიდან ევროკავშირში ექსპორტირებული პროდუქტის შეფასების საფუძველზე იკვეთება, რომ 2014 წლიდან მნიშვნელოვანი განვითარება არ იკვეთება. ცხრილი 3.3.5-ში წარმოდგენილია, 2014-2021 წლებში, HS ორნიშნა კოდების დონეზე იდენტიფიცირებული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებები.


ცხრილი 3.3.5. საექსპორტო პოზიციები HS ორნიშნა კოდის მიხედვით, 2014-2021 წლებში

HS2	დასახელება	2014	2021	% ზრდა 2014-2021	% წილი 2021
94	ავეჯი	161755562	871770880.7	439	3
15	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები	721404333	2251900698	212	9
26	მადნები, წიდა და ნაცარი	1568282593	2941152726	88	12
72	შავი ლითონები	3744577301	4925239682	32	19
	<b>სულ</b>	<b>16191194619</b>	<b>25427336665</b>	<b>57</b>	

წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

საყურადღებოა, რომ 2014 წლიდან 2021 წლამდე, საგრძნობლად 440 პროცენტით გაიზარდა ავეჯის ექსპორტის მოცულობა, რის საფუძველზეც პროდუქტის საბაზრო წილი მთლიან ექსპორტში 1 პროცენტიდან 3 პროცენტამდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, ცხიმებისა და ზეთების ექსპორტის ზრდა 200-პროცენტიან ნიშნულს აღემატებოდა და შესაბამისად მისი წილიც მთლიან ექსპორტში 9 პროცენტს აღწევდა. დამატებით, ხაზგასასმელია, რომ 2014 წლიდან ექსპორტის მოცულობის ზრდის მიუხედავად, მადნების წილი მთლიან ექსპორტში შემცირდა, 2014-2021 წლებში კი, 23 პროცენტიდან, 19 პროცენტამდე დავიდა.

დიაგრამა 3.3.3. ძირითადი საექსპორტო პოზიციები ქვეყნების მიხედვით, 2021 წელი



წყარო: UN Comtrade მონაცემთა ბაზა

დიაგრამა 3.3.3-ის მიხედვით, უკრაინის შემთხვევაში, ძირითადი ჯგუფების საექსპორტო ბაზრები უფრო მრავალფეროვანია, საქართველოსა და მოლდოვის ექსპორტის განაწილებასთან შედარებით. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ექსპორტირებული პროდუქტი ნაკლებად არის კონცენტრირებული რომელიმე ერთ ან ორ ბაზარზე და მეტნაკლებად თანაბრად არის გადანაწილებული ქვეყნებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნების შემადგენლობა პროდუქტის ჯგუფების მიხედვით განსხვავდება. მაგალითისათვის მცენარეული წარმოშობის პროდუქტის 5 ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზრები ნიდერლანდები, ესპანეთი, გერმანია, ბელგია და იტალიაა. თითოეული ქვეყნის


წილი კი, მთლიან ექსპორტში 10-20 პროცენტამდე მერყეობს. მსგავსია მინერალური პროდუქტების ექსპორტის მაჩვენებლებიც. ამ შემთხვევაში, ექსპორტი ჩეხეთის, პოლონეთის, ავსტრიის, სლოვაკეთისა და გერმანიის ბაზრებზეა მიმართული და თითოეულის წილი 10-20 პროცენტამდე მერყეობს.

მანქანებისა და მოწყობილობების ჯგუფის პროდუქტის ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარი უნგრეთია 30-პროცენტის წილით, ხოლო დანარჩენ ქვეყნების წილი 10-15 პროცენტთან არის მიახლოებული. ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმებისა და ზეთების დარგში მოწინავე კი, ნიდერლანდების ბაზარია, 32-პროცენტის წილით, დანარჩენ ქვეყნების ბაზრების წილი კი, 10-დან 20 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. არაპვირფასი ლითონების ნაწარმის 60 პროცენტამდე იტალიისა და პოლონეთის ბაზარზეა მიმართული, დანარჩენი ქვეყნების წილი კი 5-დან 10 პროცენტამდე მერყეობს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ძირითადი საექსპორტო პოზიციების გეოგრაფიული განაწილება უფრო დივერსიფიცირებულია და არ არის დამოკიდებული რომელიმე ერთი ქვეყნის ბაზარზე. განსხვავებულია ასევე სხვადასხვა ჯგუფებში ქვეყნების შემადგენლობა.

### 3.3.2 უკრაინის საგარეო ვაჭრობა ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან

დიაგრამა 3.3.4. სავაჭრო ნაკადები რეგიონების მიხედვით, 2004-2021 წლებში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

დიაგრამა 3.3.4-ში მოცემულია ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების განაწილება რეგიონების მიხედვით. დიაგრამაში იკვეთება, რომ 2009 წლის შემდეგ დას-ს ქვეყნების ჯგუფის წილი მთლიან ვაჭრობაში მკვეთრად მცირდება. აღნიშნულის

პარალელურად, მზარდია ევროკავშირისა და შესწავლისათვის შერჩეული სხვა ქვეყნების მიმართულებით არსებული სავაჭრო ნაკადების მნიშვნელობა. აღნიშნული ტენდენციის იდენტიფიცირების საფუძველზე მნიშვნელოვანია, იმის დადგენა თუ კონკრეტულად რომელ ქვეყნებთან ვაჭრობამ, გამოიწვია დსთ-ს ქვეყნების ასეთი მკვეთრი კლების დინამიკა.

ზოგადად, უკრაინიდან ექსპორტის კლება ძირითადად, ადგილობრივი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით, საბაჟო კავშირში უკრაინულ ექსპორტზე შეზღუდვების დაწესებით (რამაც განაპირობა დსთ-ს ქვეყნებში უკრაინის სავაჭრო ნაკადების შემცირება), ყირიმის ანექსიით და რუსეთთან ომით იყო განპირობებული, რამაც ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიებში წარმოების შეწყვეტა განაპირობა. ამასთანავე, აუცილებელია ექსპორტზე ორიენტირებული სეპარატისტული რეგიონების სავაჭრო ნაკადებიდან გამორიცხვის ფაქტორის გათვალისწინება (Duginets, 2019, p.139-140)

დიაგრამა 3.3.5. უკრაინის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ექსპორტის მიხედვით




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

დიაგრამა 3.3.5-ში მოცემულია უკრაინის 10 ძირითადი საექსპორტო ბაზარი. 2004-2021 წლებში, საქართველოს მსგავსად, ექსპორტის ყველაზე დიდი ზრდა ჩინეთში გამოიკვეთა. შესაბამისად, სხვა ქვეყნების წილის ზრდა, რეგიონულ განაწილებაში ჩინეთის მზარდი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს. შედარებისთვის 2014-2021 წლებში ჩინეთთან ვაჭრობა 200 პროცენტამდეა გაზრდილი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ევროკავშირისთვის 57 პროცენტია. ევროკავშირის ქვეყნებიდან ათ ძირითად საექსპორტო ბაზარში ექვსი ქვეყანა, პოლონეთი, იტალია, გერმანია, ნიდერლანდები,

ესპანეთი და უნგრეთია წარმოდგენილი. უკრაინის მიერ აღნიშნულ ქვეყნებში ექსპორტის რაოდენობა კი, მეტნაკლებად სტაბილური და მზარდია. საინტერესოა, 2014-2020 წლებში, რუსეთისა და თურქეთის მიმართულებით, მნიშვნელოვნადაა შემცირებული სავაჭრო ნაკადები.

ზოგადად რუსეთში ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2011 წელს გამოვლინდა და 19.8 მილიარდ დოლარი შეადგინა. 2012 წლიდან კი, ეს მაჩვენებელი შემცირდა და 2021 წლისთვის, ვაჭრობის 83-პროცენტთან კლების შემდეგ, 3.3 მილიარდ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 3.3.6. უკრაინის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, იმპორტის მიხედვით



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)

დიაგრამა 3.3.6-ში მოცემულია იმპორტის მიმართულებით, ძირითადი პარტნიორებთან ვაჭრობის დინამიკა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან ათეულში 4 ქვეყანაა წარმოდგენილი, გერმანია, პოლონეთი, იტალია და საფრანგეთი. აღნიშნული სავაჭრო ნაკადების შეფასების საფუძველზე, იკვეთება, რომ მცირე ცვლილებების მიუხედავად, მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია არცერთ ქვეყანაში არ არის წარმოდგენილი. საანალიზო პერიოდში, ექსპორტის მსგავსად, ყველაზე დიდი ზრდა ჩინეთის შემთხვევაში გამოიკვეთა. 2014-2021 წლებში, იმპორტი 97 პროცენტით არის გაზრდილი.

რაც შეეხება რუსეთის მაჩვენებლებს, იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა 2011 წელს ფიქსირდება და 29 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2021 წლისათვის, 5.8 მილიარდ დოლარამდე არის შემცირებული, რაც 10-წლიან პერიოდში, იმპორტის მოცულობის 80-პროცენტთან კლებაზე მიგვანიშნებს.

ხაზგასასმელია, რომ პანდემიის მიუხედავად, 2021 წლისათვის, ექსპორტისა და იმპორტის მიმართულებით, სავაჭრო ნაკადების აღდგენისა და 2020 წელთან შედარებით სავაჭრო ნაკადების ზრდის ტენდენცია გამოვლინდა, რაც ქვეყნის მიერ პანდემიით გამოწვეული საგარეო ვაჭრობის მიმართულებით, არსებული რეცესიის ეფექტიან დაძლევაზე მიგვანიშნებს.

*ცხრილი 3.3.6. ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საბაზრო წილები*


ქვეყანა	% წილი 2004	% წილი 2014	% წილი 2021
<b>ექსპორტი</b>			
EU	33	30	39
ჩინეთი	3	5	12
თურქეთი	6	7	6
რუსეთი	18	18	5
აშშ	5	1	2
<b>იმპორტი</b>			
EU	32	37	40
ჩინეთი	3	10	15
რუსეთი	42	23	8
ბელარუსი	2	7	7
აშშ	2	4	5

*წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება(DOTS)*

ცხრილი 3.3.6-ში ხუთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორის საბაზრო წილის განსაზღვრის საფუძველზე იკვეთება, რომ 2014-2021 წელს, ევროკავშირის წილის ზრდა აშკარად ვლინდება, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მიმართულებით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2004 წლის შემდეგ, ექსპორტის მიმართულებით, ევროკავშირის წილის 3-პროცენტის კლების ტენდენციაც იკვეთება. როგორც უკვე აღინიშნა, ჩინეთის წილი ორივე მიმართულებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რუსეთის კი შემცირებულია. მნიშვნელოვანია, რომ 2004 წელს უკრაინის მთლიან იმპორტში რუსეთი 42-პროცენტის მაჩვენებლიდან, 2021 წლისათვის 8 პროცენტზე ჩამოვიდა, რაც უკრაინის რუსეთზე დამოკიდებულების მკვეთრი შემცირების მაჩვენებელია.

დიაგრამა 3.3.7. ექსპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021

წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

დიაგრამა 3.3.7-ში წარმოდგენილია 2004-2021 წლებში, უკრაინიდან ევროკავშირში, ჩინეთში, რუსეთში, თურქეთში და აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის დინამიკა. პირველ რიგში ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირში ექსპორტის ზრდის მიუხედავად, საკმაოდ მაღალი იყო რეგიონის ქვეყნების მნიშვნელობა ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე. მაგალითისთვის, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე, ევროკავშირში ექსპორტის მოცულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2008 წელს გამოვლინდა და 17.6 მილიარდი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მაჩვენებელს მხოლოდ 2018 წლისათვის გასცდა. დამატებით, 2021 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში უკრაინიდან ექსპორტირებული პროდუქტის მკვეთრი ზრდა გამოვლინდა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ნათელია 2012 წლის შემდეგ, რუსეთის წილის მკვეთრი ვარდნის ტენდენცია. ამ მიმართულებით, გასათვალისწინებელია, რომ უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესის დაბრკოლებისთვის, რუსეთი აქტიურად იყენებდა სავაჭრო შეზღუდვებს უკრაინის წინააღმდეგ. 2013 წლიდან, ქვეყნის მიერ შემოღებულ იქნა სავაჭრო შეზღუდვები სოფლის მეურნეობის პროდუქტზე (სტანდარტებთან შეუსაბამობის მიზეზით), სარკინიგზო ვაგონებზე, ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე (Cenusa, Emerson, Kovziridze, & Movchan, 2014). ამდენად, რუსეთ-უკრაინის სავაჭრო ურთიერთობების გაუარესება, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამდე და დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტულ რეგიონებში




კონფლიქტის დაწყებამდე უფრო ადრე, რუსეთის მიერ სავაჭრო შეზღუდვების შემოღების საფუძველზე დაიწყო.

სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა კი, სტაბილურად მზარდია, ყველაზე მკვეთრი მატება კი ჩინეთის შემთხვევაში გამოვლინდა ამ მიმართულებით, აღსანიშნავია, რომ უკრაინის ექსპორტი ჩინეთის მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში 4-ჯერ გაიზარდა. ძირითად საექსპორტო პოზიციებს რკინა, სოფლის მეურნეობის და ძირითადი ლითონის პროდუქტები წარმოადგენს. მარცვლეულის ექსპორტი კი, სოფლის მეურნეობის პროდუქტის ნახევარს მოიცავს. უკრაინიდან სულ ექსპორტირებული რკინის ნაწარმის, ქერის, რეაქტიული ტურბინის ძრავების და მცენარეული ზეთების ნახევარი ჩინეთის ბაზარზეა მიმართული. ამასთანავე, 2018 წელს, კიევში ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის სავაჭრო და საინვესტიციო ცენტის გახსნამ ხელი შეუწყო ჩინური ინვესტიციების ზრდას. ინვესტიციები საპორტო ინფრასტრუქტურისა და პირდაპირი სარკინიგზო კავშირის განვითარების მიმართულებით განხორციელდა (Viikkokatsaus, 2022), რამაც თავის მხრივ, ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყო.

აღნიშნული დიაგრამის საფუძველზე, ნათელია, საანალიზო პერიოდში, ევროკავშირსა და რუსეთში ექსპორტირებული პროდუქტის მნიშვნელობა სხვა დანარჩენ საექსპორტო პარტნიორებთან შედარებით.

დიაგრამა 3.3.8. იმპორტის დინამიკა ძირითად სავაჭრო პარტნიორებში, 2004-2021 წლებში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)

დიაგრამა 3.3.8-ში იმპორტის მიმართულების შეფასების საფუძველზე, ექსპორტის მსგავსი ტენდენციები ვლინდება. 2004 წლიდან, ბაზარზე ორი ყველაზე დიდი მოთამაშე რუსეთი და ევროკავშირი იყვნენ. ექსპორტის მსგავსად ევროკავშირიდან

იმპორტირებული პროდუქტის ყველაზე მაღალი ღირებულება 2008 წელს გამოვლინდა და 27.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ ნიშნულს ევროკავშირის იმპორტმა, მხოლოდ 2021 წელს მიაღწია და 28 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება რუსეთს, 2011 წლიდან ასევე ადგილი ჰქონდა იმპორტის ნაკადების მკვეთრ შემცირებას. სხვა ქვეყნების მაჩვენებლები შედარებით სტაბილურია.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ უკრაინის ძირითად პარტნიორებთან სავაჭრო ნაკადების მიმოხილვის საფუძველზე, კვლევის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები ფიქსირდება, ზოგადად უკრაინის სავაჭრო ნაკადების კლების მიმართულებით. 2004-2021 წლებში, მნიშვნელოვანი კლების მიუხედავად ევროკავშირი უკრაინის ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორად გვევლინებოდა. რაც შეეხება რუსეთს, მისი მნიშვნელობა უკრაინის საგარეო ვაჭრობის მიმართულებით 2012 წლიდან იწყებს კლებას. ასევე საყურადღებოა, წლების განმავლობაში ჩინეთთან ვაჭრობის ზრდის ტენდენციაც.

### **3.4 ასოცირებული ქვეყნების სავაჭრო კონტექსტის შედარებითი ანალიზი**

ზოგადად, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების გეოგრაფიული ორიენტაცია ბაზრების სიახლოვით და საბჭოთა კავშირიდან მომდინარე ისტორიული ეკონომიკური კავშირებით განისაზღვრება. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ საქართველოსთვის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთი, მოლდოვისთვის - რუსეთი, უკრაინა და რუმინეთი, ხოლო უკრაინისთვის - რუსეთი წარმოადგენდა. თუმცა აღნიშნული მდგომარეობა დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით კი, ბოლო წლებში შეიცვალა. უკრაინამ, ასევე შეიცვალა საგარეო სავაჭრო კურსი რუსეთიდან სხვა დანიშნულებებზე, ასევე მოლდოვის შემთხვევაშიც მოხდა რუსეთის ბაზრებიდან რეორიენტაცია (Adarov & Havlik, 2016, გვ.6-7), თუმცა საქართველოსთვის რუსეთი დღემდე ძირითად სავაჭრო პარტნიორად რჩება.

ზოგადად, რუსეთი დსთ-ს ქვეყნების რეგიონში მოწინავე მოთამაშეა, თუმცა მისი საგარეო ურთიერთობების ძირითადი საფუძველი პოლიტიკური ინტერესებია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი დღემდე რჩება საქართველოს ერთ-ერთ წამყვან სავაჭრო

პარტნიორად, პოლიტიკურ ზეწოლას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაზე. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ექსპორტი ნაკლებად არის დივერსიფიცირებული და ძირითადი მოთხოვნა დსთ-ს ქვეყნების ბაზრიდან მოდის, რაც თავის მხრივ, საქართველოში წარმოებული პროდუქტის არაკონკურენტუნარიანობით არის განპირობებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ქვეყნის, დსთ-ს ქვეყნებსა და განსაკუთრებით, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების შემცირება. ამისათვის კი, აუცილებელია წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდა და საგარეო ბაზრების დივერსიფიცირება ევროკავშირის, აშშ-ს და სხვა პარტნიორების ბაზრების მიმართულებით (Silagadze & Atanelishvili, 2020, გვ. 53-56). ამასთან ზოგადად, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება და ამასთანავე დაძაბული ურთიერთობა ნეგატიურ გავლენას ახდენს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისა და მათ შორის ასოცირებული ტრიოს ქვეყნების ეკონომიკაზე.

*ცხრილი 3.4.1. ასოცირებული ტრიოს ვაჭრობა ევროკავშირთან 2014-2021 წლებში*

	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა
ევროკავშირის წილი მთლიან ბრუნვაში	2014- 25% 2021-21%	2014- 48% 2021-49%	2014- 34% 2021- 40%
ექსპორტის მოცულობა, 2014-2021	20%-ით გაიზარდა	69%-ით გაიზარდა	57%-ით გაიზარდა
იმპორტის მოცულობა, 2014-2021	2%-ით გაიზარდა	26%-ით გაიზარდა	38%-ით გაიზარდა
ევროკავშირთან სავაჭრო დეფიციტი, 2014-2021	5%-ით შემცირდა	10%-ით შემცირდა	40%-ით შემცირდა

*წყარო: სერთაშორისო სავალუტო ფონდის სავაჭრო სტატისტიკის მიმართულება (DOTS)*

შეჯამებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ასოცირებული ტრიოს სამივე ქვეყანისათვის დამახასიათებელია ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების დადებითი ტენდენცია, ამას მოწმობს სამივე ქვეყნის მიერ ექსპორტის მოცულობის ზრდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად, მთლიან ბრუნვაში ევროკავშირის წილის შემცირებისა, საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები ვაჭრობის განვითარებაზე მიუთითებს. ასევე უკრაინის ვაჭრობის მონაცემების საფუძველზე, იკვეთება რომ მთლიან ბრუნვაში ევროკავშირის წილის ზრდა, არამარტო ევროკავშირთან ვაჭრობის მოცულობის ზრდასთან, არამედ სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შემცირებასთან არის დაკავშირებული.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დადებითი სავაჭრო ტენდენციების მიუხედავად, ნათელია რეგიონში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინების საჭიროება (კორონეკონომიკური კრიზისი, უკრაინა-რუსეთის კონფლიქტი, 2015 წელს რეგიონში მძიმე ეკონომიკური ვითარება და ა.შ.).


საქართველოს შემთხვევაში, სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით, ევროკავშირთან ვაჭრობის შედარებით ნელი განვითარების ტენდენცია ვლინდება. მაგალითისათვის, 2014-2021 წლებში, საქართველოს მთლიანი ექსპორტის 48-პროცენტისა და ზრდის ფონზე, ევროკავშირში ექსპორტი 20 პროცენტით გაიზარდა.

მოლდოვის შემთხვევაში ნათელია, როგორც სავაჭრო ნაკადების, ასევე ევროკავშირთან ვაჭრობაზე ქვეყნის დამოკიდებულების მკვეთრი ზრდის ტენდენცია, რაც ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მიმართულებით სხვა სავაჭრო პარტნიორების მნიშვნელობის კლებასთან არის დაკავშირებული.

უკრაინის შემთხვევა განსხვავდება სხვა ქვეყნებში განვითარებული პროცესებისგან. ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების მკვეთრი ზრდის მიუხედავად, მართებული არ იქნება აღნიშნული დინამიკის მხოლოდ ევროკავშირთან გაფორმებული შეთანხმების გავლენასთან დაკავშირება. ამასთან, უკრაინაში მიმდინარე პროცესები, რუსეთთან ქვეყნის ურთიერთობების გაუარესებით და შესაბამისად, რუსული ბაზრის ჩანაცვლების საჭიროებით არის განპირობებული. აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინის საგარეო სავაჭრო კურსის ორიენტაციის ცვლილება DCFTA-ს ამოქმედებამდე დაიწყო.

**რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა.** დამატებით მნიშვნელოვანია, რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შედეგად, უკრაინის ექსპორტის განვითარების შეფასება, და ასევე დანარჩენი ორი ქვეყნის სავაჭრო ტენდენციების გათვალისწინება. მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია, 2021-2022 წლებში, ქვეყნების სავაჭრო ნაკადები ძირითად საექსპორტო ბაზარზე.


დიაგრამა 3.4.1. უკრაინის ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი), 2021-2022 წლებში



წყარო: დიაგრამის შედგენისთვის საჭირო მონაცემები მოძიებულია UN comtrade-დან.

დიაგრამა 3.4.1-ით გამოიკვეთა, რომ 2021-2022 წლებში უკრაინის მთლიანი ექსპორტი 33 პროცენტით შემცირდა, აღნიშნული აისახა, თურქეთთან, ჩინეთთან, აშშ-სა და რუსეთთან სავაჭრო ნაკადების შემცირებაში. საანალიზო პერიოდში, უკრაინის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 9 პროცენტით, ხოლო მოლდოვაში 10 პროცენტით არის გაზრდილი. მოცემული ცვლილებების შედეგად, ევროკავშირის ბაზრის წილი უკრაინის ექსპორტში 39 პროცენტიდან 63 პროცენტამდე გაიზარდა, ასევე გაორმაგდა მოლდოვის წილიც და 2 პროცენტით განისაზღვრა. 2021-2022 წლებში, ასევე მკვეთრი კლება გამოვლინდა ჩინეთისა და რუსეთი საბაზრო წილებში. აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინის ექსპორტში, ჩინეთის წილი, 12 პროცენტიდან 6 პროცენტამდე რუსეთის წილი კი, 5 პროცენტიდან 1 პროცენტამდე შემცირდა.

დიაგრამა 3.4.2. საქართველოს და მოლდოვის ექსპორტი (მლნ. აშშ დოლარი), 2021-2022 წლებში



წყარო: დიაგრამის შედგენისთვის საჭირო მონაცემები მოძიებულია UN comtrade-დან.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა, ასევე რეგიონის ქვეყნებს სავაჭრო ნაკადებზე აისახა. საქართველოსა და მოლდოვის შეთხვევაში, შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 32 პროცენტისა და 38 პროცენტისა ზრდა გამოვლინდა. დიაგრამა 3.4.2-ის მიხედვით, საქართველოს ექსპორტი უკრაინაში 25 პროცენტით არის შემცირებული, მაშინ როდესაც, მოლდოვის ექსპორტი უკრაინაში თითქმის 7-ჯერ არის გაზრდილი, რის საფუძველზეც უკრაინის ბაზრის წილი მოლდოვის ექსპორტში 3 პროცენტიდან 17 პროცენტამდე გაიზარდა. საქართველოს შემთხვევაში, საყურადღებოა სომხეთი მიმართულებით ექსპორტის მკვეთრი ზრდა. 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, სომხეთში ექსპორტირებული პროდუქტის მუცულობა 128 პროცენტით გაიზარდა. შესაბამისად, 6 პროცენტიდან 10 პროცენტამდე გაიზარდა სომხეთის ბაზრის წილი საქართველოს ექსპორტში. ევროკავშირთან ვაჭრობის მიმართულებით, საქართველოში - 20%-იანი, ხოლო მოლდოვაში - 32%-იანი ზრდა გამოიკვეთა.

**შეჯამება.** დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2014-2021 წლებში არსებული ტენდენციების მიხედვით, იკვეთება, რომ მოლდოვა და უკრაინა, უფრო მეტად არიან დამოკიდებული ევროკავშირთან ვაჭრობაზე. საქართველოს შემთხვევაში, ქვეყნის მთლიანი საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდასთან მიმართებით, ევროკავშირის წილი შედარებით მცირეა.

საქართველოს შემთხვევაში, ევროკავშირში ძირითადი სავაჭრო პარტნიორების შემადგენლობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. შესაბამისად, შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებისა და განვითარების პროცესი ნაკლებად არის განვითარებული, რაც DCFTA-ს შეთანხმებით წარმოდგენილი შესაძლებლობების არაეფექტიანად გამოყენების მანიშნებელია. კვლევის პროცესში, ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩინეთისა და რუსეთის სავაჭრო ნაკადების მიმართულებით ვლინდება. ზოგადად, საქართველოსათვის შეთანხმების მნიშვნელობა ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარების გარდა, უფრო ფართო ლიბერალიზაციის და სხვა სავაჭრო შეთანხმებების ხელმოწერის ხელშეწყობის მიმართულებით იყო მნიშვნელოვანი. DCFTA-მ ხელი შეუწყო

საქართველოს, EFTA-ს ქვეყნებთან, ჩინეთთან და ჰონგ-კონგთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებას.

მოლდოვის შემთხვევაში, ნათელია მზარდი დამოკიდებულება ევროკავშირთან ვაჭრობაზე. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შენარჩუნებულია მთავარი სავაჭრო პარტნიორების შემადგენლობაც, თუმცა საქართველოსგან განსხვავებით, ნაკადები ნაკლებად დივერსიფიცირებულია და ძირითადად რუმინეთთან ვაჭრობაზეა მიმართული. მოლდოვის შემთხვევაში, სეპარატისტულ რეგიონზე DCFTA-ს გავრცელება, სხვა ქვეყნებთან შედარებით, შეთანხმების მნიშვნელოვან სარგებელზე მიუთითებს. ამავე პერიოდში, რუსეთში ექსპორტის მაჩვენებლის შემცირება და დსთ-ს ქვეყნებიდან ევროკავშირისკენ სავაჭრო ნაკადების რეორიენტაცია, შეთანხმების ეფექტიანობის ანალიზის პროცესში, სავაჭრო ნაკადების გადართვის ეფექტში ვლინდება.

ასოცირებული ტრიოს დანარჩენი ორი ქვეყნისაგან განსხვავებით, საგრძნობლად უკეთესია უკრაინა-ევროკავშირის სავაჭრო ბალანსი. ამასთანავე, ევროკავშირის ბაზარზე უკრაინის ექსპორტის გადამისამართება, რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების ნაცვლად, შეთანხმების ხელმოწერამდე დაიწყო და შესაბამისად, მხოლოდ DCFTA-ს შედეგს არ წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უკრაინის ძირითადი საექსპორტო ბაზრების წილები მეტნაკლებად თანაბრად არის განაწილებული, რაც ვაჭრობის დივერსიფიცირების შედარებით მაღალ მაჩვენებელზე მიგვითითებს.

რეგიონულ დონეზე, ასოცირებული ქვეყნებისა და ევროკავშირის ქვეყნების სავაჭრო ნაკადების განვითარების შესწავლის საფუძველზე, ქვეყნების მიერ რამდენიმე ძირითად ევროკავშირის წევრთან სავაჭრო კავშირების შენარჩუნების ტენდენცია გამოვლინდა. შესაბამისად, DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ, არ ვლინდება ასოცირებული ტრიოს ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი დივერსიფიცირება.

## თავი IV. DCFTA-ს ეფექტიანობა - სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის შედეგები

ლიტერატურაში იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და DCFTA-ს ეფექტიანობის ერთიანი შეფასებისა და შედარებითი ანალიზის ნაკლებობის გათვალისწინებით, ნაშრომში, ასოცირებული ქვეყნების სავაჭრო ნაკადების DCFTA -ზე დამოკიდებულების დადგენის მიზნით, გამოყენებულია საყოველთაოდ ცნობილი სტრუქტურული გრავიტაციის მოდელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადისერტაციო ნაშრომში გრავიტაციის მოდელის გამოყენებაზე არსებული ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია ახალი რაოდენობრივი სავაჭრო თეორიის განვითარების კონცეფცია, ასევე DCFTA-ს შედეგების რაოდენობრივი შეფასება. ამდენად, უკვე არსებული კვლევების მიუხედავად, სამივე ასოცირებული ქვეყნის ერთიანი შეფასება და შედეგების შედარება სამეცნიერო თვალსაზრისით სიახლედ შეიძლება იქნეს მიჩნეული. კვლევის მიზნის გათვალისწინებით კი, მიღებულ შედეგებს პოლიტიკის შემქმნელებისთვის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

კვლევის მოცემული ნაწილის მიზანია, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მიერ ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA-ს ეფექტიანობის დადგენა რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე. კვლევის ამოცანა კი, საქართველო-ევროკავშირის, მოლდოვა-ევროკავშირის და უკრაინა-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებზე შეთანხმების ex-post გავლენის დადგენაა. წარმოდგენილ თავში მოცემულია:

- სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის ფაქტორების გათვალისწინებით, შეთანხმების სარგებლიანობის შეფასება.
- შეთანხმების ზემოქმედების შედარება ქვეყნების მიხედვით და ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებების იდენტიფიცირება.
- DCFTA-ს ინსტრუმენტის ეფექტიანობის ზოგადი შეფასება.

პირველ ქვეთავში განხილულია კვლევის მეთოდოლოგია და ეკონომეტრიკულ მოდელი, გრავიტაციის მოდელის ეკონომეტრიკული ანალიზის შედეგები, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს გავლენის შედარებითი ანალიზი და შეთანხმების გავლენის შეფასება ზოგადად რეგიონისათვის.



## 4.1 ეკონომეტრიკული მოდელი

სადოქტორო ნაშრომის თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბების პროცესში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, მოცემულ კვლევაში გამოყენებული იქნება, სტრუქტურული გრავიტაციის მოდელი, პანელური მონაცემებით, იმპორტიორებისა და ექსპორტიორების ფიქსირებული ეფექტების გათვალისწინებით, შეფასებული PPML მეთოდით. ამასთანავე, მოდელის მდგრადობის შემოწმებისათვის გრავიტაციის მოდელი შეფასებული იქნება ორწლიანი ინტერვალების გამოყენებითა და ინტუიციური გრავიტაციის მოდელით. ზემოთ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემულია თეორიასთან შესაბამისი სტრუქტურული გრავიტაციის განტოლება, რომელიც გამოყენებული იქნება ნაშრომში:

$$(1) \quad X_{ijt} = \exp[a_1 t_{ijt} + a_2 DCFTA\_TC_{ijt} + a_3 DCFTA\_TD_{ijt} + \pi_{it} + \chi_{jt} + Y_t] + \varepsilon_{ijt}$$

სადაც  $X_{ijt}$  წარმოადგენს ორმხრივ სავაჭრო ნაკადს  $i$  ექსპორტიორიდან  $j$  იმპორტიორში  $t$  წელს.  $t_{ijt}$  სავაჭრო ხარჯების ამსახველია, ხოლო  $DCFTA\_TC_{ijt}$  სავაჭრო ნაკადების შექმნის ამსახველ მუხჯ ცვლადს წარმოადგენს. აღნიშნული ცვლადი, 1-ის ტოლია, თუ ქვეყნები DCFTA-ს ხელმომწერები არიან, და 0 სხვა შემთხვევაში.  $DCFTA\_TD_{ijt}$ , სავაჭრო ნაკადების გადართვის ამსახველი ცვლადია და 1-ის ტოლია, როდესაც ქვეყნების წყვილიდან ერთია მხოლოდ DCFTA-ს ხელმომწერი, სხვა შემთხვევაში 0-ის ტოლია. ბოლოს  $\pi_{it}$  და  $\chi_{jt}$  ექსპორტიორისა და იმპორტიორის ფიქსირებული ეფექტებია, ხოლო  $Y_t$  დროის ფიქსირებული ეფექტია (ცხომელიძე, 2022). შესაბამისად, ეს ცვლადები თეორიული მრავალმხრივი წინააღმდეგობის ცვლადის გათვალისწინებას ახდენს. რაც შეეხება სავაჭრო ხარჯებს  $t_{ijt}$  მოიცავს:

$$(2) \quad t_{ijt} = dist_{ij}^{\delta_1} * \exp[\delta_2 border_{ij} + \delta_3 lang_{ij} + \delta_4 col_{ij} + \delta_5 smcountry_{ij} + \delta_6 Sov.Union_{ij}]$$

- $dist$  - დისტანცია ორი ქვეყნის ყველაზე დასახლებულ ქალაქებს შორის;
- $border$  - 1 მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში, თუ ქვეყნებს აქ აქვთ საზღვარი - 0;
- $lang$  - 1 ქვეყნებში საერთო ენის არსებობის შემთხვევაში, თუ ქვეყნებს არ აქვთ საერთო ენა - 0;
- $col$  - 1 თუ ორ ქვეყანას საერთო კოლონიური წარსული აქვს, თუ არ აქვთ - 0;

- smcountry -1 თუ ორი ქვეყანა ერთ სახელმწიფოს ნაწილი იყო, თუ არ იყო - 0.
- Soviet Union– 1 სავაჭრო პარტნიორიც საბჭოთა კავშირის წევრი იყო, თუ არ იყო -0 (ცხომელიძე, 2022; Tskhomelidze, 2022).

გრავიტაციის განტოლების ემპირიული შედეგები წარმოდგენილია, იმპორტიორის, ექსპორტიორის და დროის მიხედვით, ფიქსირებული ეფექტების, 2-წლიანი ინტერვალების და ასევე საბაზისო ინტუციური განტოლების გამოყენების საფუძველზე. კვლევის დანართი N2-ში წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდებით განხორციელებული შეფასებების ემპირიული შედეგები. დანართში, გამოყენებულია სხვადასხვა სახის ფიქსირებული ეფექტები მრავალმხრივი წინააღმდეგობის და გლობალური ცვლილებების გათვალისწინების მიზნით. ძირითად ნაწილში კი, შერჩეულია სტრუქტურული გრავიტაციის მოდელების შედეგებიდან ის, რომელსაც ყველაზე მაღალი R-კვადრატის მქონე მაჩვენებელი ჰქონდა, ასევე სენსიტიურობის ანალიზისათვის წარმოდგენილია ინტერვალების გამოყენებით შეფასებული მონაცემები და საბაზისო გრავიტაციის მოდელის შედეგები.

R-კვადრატი გვიჩვენებს ცვლადში პროგნოზის ცდომილების რამდენი პროცენტი გამოირიცხება და ცვლადის ვარიაციის რამდენი პროცენტი ითვლება ამ ცვლადის რეგრესიით. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებლით განისაზღვრება თუ დაკვირვებების რამდენი პროცენტი იხსნება აღნიშნული კოეფიციენტებით.

*ცხრილი 4.1.1. შერჩეული დაკვირვებების აღწერითი სტატისტიკა*

ცვლადი	საშუალო	სტანდარტული გადახრა	მინ.	მაქს.
Exports	402.1311	1408.08	0	29132.02
Dist	2073.847	1503.57	172.72	8980.5
GDP	611527.9	2256023	2598.25	2.30e+07
DCFTA	0.2824	0.4502	0	1
Border	0.1083	0.3308	0	1
Lang	0.0167	0.128	0	1
Col	0.1417	0.3487	0	1
Smcountry	0.025	0.1561	0	1
Soviet Union	0.2083	0.4062	0	1

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“ (Tskhomelidze, 2022)

ცხრილ 4.1.1-ში წარმოდგენილია კვლევაში გამოყენებული ცვლადების აღწერითი სტატისტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ სტანდარტული გადახრა საგრძნობლად აღემატება საშუალო მაჩვენებელს, თვალნათლივ ჩანს, რომ ექსპორტისა და მსპ-ს ცვლადებისთვის დამახასიათებელია მნიშვნელობების დიდი ცვალებადობა. ამასთან, მონაცემთა ბაზა სხვადასხვა ზომის ქვეყნებს მოიცავს, რომელთა სავაჭრო ურთიერთობები ძალიან მცირე მასშტაბითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნების რამდენიმე წყვილის სავაჭრო ნაკადები 0-ის ტოლია. დასახელებული ქვეყნები მცირე ზომის და დიდი დისტანციის მქონე წყვილებად წარმოგვიდგება. კერძოდ, საქართველო-ლუქსემბურგი, საქართველო-მალტა, საქართველო-ისლანდია, ასევე მოლდოვა-ლუქსემბურგი, მოლდოვა-მალტა და მოლდოვა-ისლანდიაა.

მონაცემთა ბაზა მოიცავს, როგორც მეზობელ ქვეყნებს, ასევე ძალზე შორეულ ქვეყნებს. ინდიკატორების საშუალო მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ქვეყნების დაახლოებით 11 პროცენტს აქვთ საერთო საზღვარი, 1 პროცენტს საერთო ენა, ასევე 14 პროცენტს საერთო კოლონიური წარსული, ქვეყნების წყვილების 3 პროცენტამდე ერთი ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდნენ, 21 პროცენტი კი - ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი იყო. რაც შეეხება DCFTA-ს მაჩვენებელს, დაკვირვების ქვეშ მყოფი ქვეყნების წყვილების 28 პროცენტი აღნიშნული შეთანხმების ნაწილია.

## **4.2 DCFTA-ს გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე**

ნაშრომის მოცემულ თავში წარმოდგენილია გრავიტაციის განტოლების ემპირიული შედეგები. დანართი N2-ში წარმოჩენილია სხვადასხვა მეთოდებით განხორციელებული შეფასებების ემპირიული შედეგები. 4.2.1 ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია იმპორტიორის, ექსპორტიორის და დროის მიხედვით, ფიქსირებული ეფექტების. შედარებისათვის, ასევე გამოყენებულია 2-წლიანი ინტერვალებით შედგენილი მოდელი, და ინტუიციური მოდელი, რომლებიც შესაბამისად მეორე და მესამე სვეტშია წარმოდგენილი. აღნიშნული ვარიაციები, ასევე მრავალმხრივი წინააღმდეგობის ფაქტორის მნიშვნელობის დემონსტრირებისთვის არის გამოყენებული.

ცხრილი 4.2.1. გრავიტაციის მოდელის შედეგები, საქართველო

ცვლადი	PPML ფიქსირებული ეფექტები	PPML (ინტერვალი)	PPML(საბაზისო)
მანძილი	-1.283	-1.194	-1.174***
DCFTA_TC	0.156*	0.174*	0.0313
DCFTA_TD	0.240*	0.228*	0.246**
Border	0.442	0.472	1.431***
Smcountry	-0.219	-0.124	-1.569***
Soviet Union	1.483***	1.440***	1.693***
GDP_Exp	0.483***	0.471***	0.884***
GDP_Imp	0.767*	0.747*	0.598***
დაკვირვება	1,440	710	1,440
R-squared	0.94	0.94	0.84

\*\*\* 1%-იანი, \*\* 5%-იანი, \* 10%-იანი სანდოობის ინტერვალი

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

ცხრილი 4.2.1-ში წარმოდგენილი შეფასების საფუძველზე საქართველოს შემთხვევაში, ქვეყნებს შორის მანძილის უარყოფითი და სტატისტიკურად უმნიშვნელოა. ასევე, როგორც მოსალოდნელი იყო, მსკ-ს დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის ვაჭრობაზე. თავის მხრივ, მსკ-ს მნიშვნელობა ექსპორტიორის შემთხვევაშია უფრო მაღალი. ასევე, საზღვარსაც დადებითი გავლენა აქვს სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე, თუმცა საერთო ისტორიულ კავშირებთან შედარებით სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანია. საბჭოთა კავშირის წევრობის ცვლადის კოეფიციენტი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და დადებითია.

რაც შეეხება DCFTA-ს გავლენებს, ცვლადის კოეფიციენტი პოზიტიური და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მხოლოდ 10 პროცენტთან დონეზეა, ასევე დადებითია სავაჭრო ნაკადების გადართვის ცვლადი, რაც შეთანხმების საეგებლიანობაზე და ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნაზე მიუთითებს. ხაზგასასმელია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ, ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა ვაჭრობა სხვა ქვეყნებთანაც (მაგალითად, რუსეთთან და ჩინეთთან), რაც შესაბამისად არის ასახული მოდელის შედეგებში. ევროკავშირთან სავაჭრო ნაკადების ზრდის პარალელურად სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარება DCFTA-ს დადებითი გავლენის მანიშნებელია, რადგან შეთანხმება არ არის დაკავშირებული სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შემცირებასთან, არამედ ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნასთან.

დანარჩენი ორი მოდელის შეფასების კოეფიციენტები მცირედით განსხვავდება. DCFTA-ს გავლენა პოზიტიური და სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორც ორწლიანი ინტერვალების, ასევე საბაზისო მოდელში. ინტუიციური მოდელის შემთხვევაში, კოეფიციენტის მაჩვენებელი ძალიან მცირე და უმნიშვნელოა. 2-წლიანი მოდელის შედეგები შეესაბამება თეორიული მოდელის შედეგებს, როგორც კოეფიციენტების მაჩვენებლებით, ასევე მათი სტატისტიკური მნიშვნელობებით. რაც შეეხება საბაზისო მოდელის შედეგებს, მნიშვნელოვანი განსხვავება იკვეთება ცვლადების გავლენის სტატისტიკურ მნიშვნელობებში. მრავალმხრივი წინააღმდეგობის ინდიკატორის გამოყენების გარეშე აგებულ მოდელში, გეოგრაფიულ და ისტორიულ კავშირებს უფრო დიდი გავლენა უფიქსირდებათ. შესაბამისად, საბაზისო და თეორიული მოდელების შედარება და განსხვავებული შედეგების იდენტიფიცირება, ნათელს ხდის მრავალმხრივი წინააღმდეგობის ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობას უფრო ზუსტი შეფასებისათვის. ამის დამადასტურებელია, ასევე საბაზისო მოდელის საგრძნობლად დაბალი R-კვადრატის მაჩვენებელი (84 პროცენტი), თეორიულ მოდელთან შედარებით (94 პროცენტი).

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ შერჩეული ქვეყნებისათვის დისტანციასა და სხვა სავაჭრო ხარჯების ცვლადებს ნაკლები სტატისტიკური მნიშვნელობა აქვთ, DCFTA-ს მაჩვენებელი კი, შეთანხმების გაფორმების საფუძველზე საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის 17 პროცენტთან ზრდაზე მიუთითებს (ცხომელიძე, 2022).

ლიტერატურაში იდენტიფიცირებული რეკომენდაციის მიხედვით, ნაშრომში ქვეყნებს შორის სავაჭრო ნაკადების(ექსპორტი/იმპორტი), და არა მთლიანად ვაჭრობის მაჩვენებლების გამოყენება, შესაძლებელს ხდის, ცალ-ცალკე საქართველოდან ექსპორტზე და ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტზე DCFTA-ს გავლენის იდენტიფიცირებას.

ცხრილი 4.2.2. გავლენა საქართველოს ექსპორტსა და იმპორტზე, გრავიტაციის მოდელი

ცვლადები	PPML ფიქსირებული ეფექტები (ექსპორტი)	PPML (იმპორტი)
მანძილი	-2.395**	-0.251
DCFTA_TC	0.440***	0.0468
DCFTA_TD	0.331	0.170***
Border	1.142***	4.392***
Soviet Union	-0.215**	-0.853***
GDP_Exp	0.455	0.371**
GDP_Imp	1.099***	0.879***
დაკვირვება	720	720
R-squared	0.88	0.96
*** 1%-იანი, ** 5%-იანი, * 10%-იანი სანდოობის ინტერვალი		

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

ცხრილი 4.2.2-ის მიხედვით, ვაჭრობაზე ზოგადი გავლენისგან განსხვავებით, ექსპორტის დინამიკაზე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გეოგრაფიულ ცვლადებს. დისტანციას მნიშვნელოვანი და უარყოფითი, ხოლო საერთო საზღვარს მნიშვნელოვანი და დადებითი გავლენა აქვს ექსპორტის განვითარებაზე. ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, DCFTA-ს გავლენა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქტზე. სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის მიხედვით, ევროკავშირში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის მაჩვენებლები 55 პროცენტით ( $\exp(0.440)-1$ ) აღემატება, DCFTA-ს გარეშე მოსალოდნელ ექსპორტის მაჩვენებლებს.

რაც შეეხება იმპორტის დინამიკას, ამ მიმართულებით DCFTA-ს გავლენა დადებითი, თუმცა ძალიან მცირე და სტატისტიკურად უმნიშვნელო იყო, 1 პროცენტზე ნაკლები ზრდით ( $\exp(0.046)-1$ ).

### 4.3 DCFTA-ს გავლენა მოლდოვის საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე

ცხრილი 4.3.1. გრავიტაციის მოდელის შედეგები, მოლდოვა

ცვლადები	PPML ფიქსირებული ეფექტები	PPML (ინტერვალი)	PPM(საბაზისო)
მანძილი	-1.135***	-1.310***	-1.339***
DCFTA_TC	0.202***	0.0728	-0.197***
DCFTA_TD	-0.178	-0.320***	-0.264*
Border	1.721***	1.507***	0.323
Lang	0.196	-0.0558	1.095***
Soviet Union	-1.361**	-0.280	1.155***
GDP_Exp	0.593***	0.611***	0.941***
GDP_Imp	0.484**	0.525***	0.756***
დაკვირვება	1,418	709	1,440
R-squared	0.96	0.96	0.790

\*\*\* 1%-იანი, \*\* 5%-იანი, \* 10%-იანი სანდოობის ინტერვალი

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

მოლდოვის შემთხვევაში, როგორც მოსალოდნელი იყო დისტანციას უარყოფით, ხოლო მსკ-ს დადებით მაჩვენებელს, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ სავაჭრო ურთიერთობებზე. საერთო საზღვარს დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ხოლო საერთო ენის ცვლადს უმნიშვნელო. ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრობას კი, უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოლდოვის ვაჭრობაზე.

სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის მიხედვით, სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის ეფექტის განმსაზღვრელი ცვლადების განსხვავებული კოეფიციენტები, შეთანხმების შედეგად სავაჭრო ნაკადების გადართვაზე მიუთითებს. მთლიანობაში, DCFTA-ს დადებითი გავლენა აქვს, თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანია შეთანხმების ნეგატიური გავლენა სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაზე.

სხვა შეფასების მეთოდებთან შედარებისას, იკვეთება რომ 2-წლიანი ინტერვალის მოდელს მსგავსი შედეგები აქვს, საერთო ენის ცვლადის გარდა, ყველა კოეფიციენტის ნიშანი ძირითადი მოდელის მაჩვენებლებს ემთხვევა და DCFTA-ს ცვლადების კოეფიციენტების მსგავსია. ძირითადი განსხვავება ამ მოდელს შორის, კოეფიციენტების სტატისტიკური მნიშვნელობის მიმართულებით ვლინდება. რაც შეეხება ინტუიციურ მოდელს, განსხვავებული შედეგები იკვეთება DCFTA-ს გავლენის მიმართულებით, ასევე აღნიშნული მოდელის მიხედვით, უმნიშვნელოა საერთო

საზღვრისა და კოლონიური წარსულის გავლენა სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. ინტუიციური მოდელის განსხვავებული შედეგები, თეორიული მოდელის გამოყენების საჭიროებაზე მიუთითებს. შედეგების R-კვადრატის მაჩვენებელი საბაზისო მოდელის შემთხვევაში 79 პროცენტია, შესაბამისად, დაკვირვებების 79 პროცენტი აიხსნება წარმოდგენილი კოეფიციენტებით, რაც თეორიული მოდელის R-კვადრატზე, მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელია.

შედეგების მიხედვით, DCFTA-ს შედეგად ევროკავშირი-მოლდოვას ვაჭრობა 22 პროცენტით (exp (0.202)-1) გაიზარდა, თუმცა შეთანხმებამ, დანარჩენ ქვეყნებთან ვაჭრობაზე უარყოფითი გავლენა იქონია.

ცხრილი 4.3.2. გავლენა მოლდოვის ექსპორტსა და იმპორტზე, გრავიტაციის მოდელი

ცვლადები	PPML ფიქსირებული ეფექტები (ექსპორტი)	PPML (იმპორტი)
მანძილი	-1.358***	-1.250***
DCFTA_TC	0.207	0.109
DCFTA_TD	-0.531***	-0.0993
Border	0.780**	-0.189
Soviet Union	-0.237	1.121***
Lang	0.457	0.746***
GDP_Exp	0.906**	0.514***
GDP_Imp	0.660***	0.548***
დაკვირვება	720	720
R-squared	0.95	0.97
*** 1%-იანი, ** 5%-იანი, * 10%-იანი სანდოობის ინტერვალი		

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

ცალ-ცალკე ექსპორტსა და იმპორტზე არსებული გავლენების შეფასებისას ვლინდება მსგავსი ტენდენცია. იკვეთება DCFTA-ს დადებითი გავლენა მოლდოვისა და ევროკავშირის სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე. ამავდროულად, იმპორტთან შედარებით, უფრო მკვეთრია მოლდოვიდან ექსპორტის ნაკადების გადართვის ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ნაკადების ცალკეული ანალიზის შედეგად, DCFTA-ს გავლენის კოეფიციენტი სტატისტიკურად უმნიშვნელო გახდა. თეორიული გრავიტაციის მოდელის შედეგების მიხედვით, შეთანხმების გაფორმების საფუძველზე, მოლდოვიდან ევროკავშირში განხორციელებული ექსპორტი, მოსალოდნელთან შედარებით, 23 პროცენტამდეა გაზრდილი, ხოლო იმპორტი 12 პროცენტით.



## 4.4 DCFTA-ს გავლენა უკრაინის საგარეო ვაჭრობის განვითარებაზე

ცხრილი 4.4.1. გრავიტაციის მოდელის შედეგები, უკრაინა

ცვლადები	PPML ფიქსირებული ეფექტები	PPML (ინტერვალი)	PPML(საბაზისო)
მანძილი	-0.634	-0.493	-0.792**
DCFTA_TC	-0.353	-0.407	-0.0506
DCFTA_TD	-0.903*	-0.944*	-0.280
Border	0.632	0.801*	0.956***
Smcountry	0.589***	0.620***	-0.204
Soviet Union	1.537***	1.464***	1.707***
Col	-1.557***	-1.648***	-0.611***
GDP_Exp	0.798***	0.746***	0.853***
GDP_Imp	0.972***	0.958***	0.679***
დაკვირვება	1,440	720	1,440
R-squared	0.927	0.933	0.798

\*\*\* 1%-იანი, \*\* 5%-იანი, \* 10%-იანი სანდოობის ინტერვალი

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

უკრაინის შემთხვევაში, შერჩეული ქვეყნების წყვილების ვაჭრობაზე დისტანციას უარყოფითი, თუმცა სტატისტიკურად უმნიშვნელო გავლენა აქვს. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადებია ქვეყნების მსპ, საერთო კოლონიური წარსული, ერთი ქვეყნის და ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრობა. მათ შორის უარყოფითი კოეფიციენტი მხოლოდ კოლონიურ წარსულს უფიქსირდება. DCFTA-ს სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის განმსაზღვრელი ცვლადების სტატისტიკურად უმნიშვნელო, თუმცა უარყოფითი კოეფიციენტები, შეთანხმების არაეფექტიანობაზე მიუთითებს. იმის გათვალისწინებით, რომ ვლინდება შეთანხმების სტატისტიკურად ძალიან მცირე გავლენა, მხოლოდ უარყოფით კოეფიციენტზე დაყრდნობით, იმ დასკვნის გაკეთება რომ შეთანხმებას უარყოფითი გავლენა ჰქონდა ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარებაზე არასწორი იქნება. თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინება და შესაძლო გამომწვევი მიზეზების ანალიზი.

2-წლიანი ინტერვალებით განხორციელებული შეფასების შედეგები ახლოს არის თეორიული მოდელის შედეგებთან, როგორც მნიშვნელობებით, ასევე კოეფიციენტების ნიშნებით. საბაზისო მოდელის გამოყენების შედეგად, როგორც DCFTA-ს გავლენა ასევე, სავაჭრო ნაკადების შექმნის განმსაზღვრელი ცვლადის კოეფიციენტი უარყოფითი და

უმნიშვნელოა. ასევე განსხვავებულია ერთი ქვეყნის წევრობის ცვლადის კოეფიციენტი, ხოლო დანარჩენი ცვლადები თეორიული მოდელის შესაბამისია.

თეორიული მოდელის ემპირიული შედეგების მიხედვით, DCFTA-ს შედეგად უკრაინის ვაჭრობა ევროკავშირთან, შეთანხმების გარეშე მოსალოდნელ ვაჭრობასთან შედარებით 30 პროცენტით დაბალ მაჩვენებელზეა ( $\exp(-0.353)-1=0.29$ ). რაც შეეხება სავაჭრო ნაკადების შექმნისა და გადართვის საკითხს, იდენტიფიცირებული კოეფიციენტის მიხედვით, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის მაჩვენებელი DCFTA-ს შემდეგ, უმნიშვნელოდ არის შემცირებული. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ უკრაინის შემთხვევაში DCFTA-ს შეზღუდული გავლენა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, შეთანხმების 2 წლით გვიან ამოქმედებასთანავე შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ცხრილი 4.4.2. გავლენა უკრაინის ექსპორტსა და იმპორტზე, გრავიტაციის მოდელი

ცვლადები	PPML ფიქსირებული ეფექტები (ექსპორტი)	PPML (იმპორტი)
მანძილი	-2.690*	0.303
DCFTA_TC	-0.148	-0.0446
DCFTA_TD	-0.939***	-0.425
Border	-0.901	2.914***
Smcountry	0.0265	-0.749***
Soviet Union	0.918**	1.213***
GDP_Exp	-0.260	0.723***
GDP_Imp	1.069***	0.396
დაკვირვება	720	720
R-squared	0.93	0.93

\*\*\* 1%-იანი, \*\* 5%-იანი, \* 10%-იანი სანდოობის ინტერვალი

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

იმპორტისა და ექსპორტის ნაკადების დამოუკიდებლად ანალიზის საფუძველზე DCFTA-ს მსგავსი გავლენა ფიქსირდება. ამ შემთხვევაშიც უარყოფითია, როგორც სავაჭრო ნაკადების შექმნის, ასევე გადართვის ეფექტები. ამ მიმართულებით, საყურადღებოა, რომ სტატისტიკურად უმნიშვნელო შედეგების მიუხედავად, შეთანხმების სარგებლიანობის განმსაზღვრელი გავლენის კოეფიციენტი საგრძნობლად დაბალია ექსპორტის მიმართულებით. შესაბამისად, იმპორტის მიმართულებით იკვეთება შეთანხმების უმნიშვნელო და ძალიან დაბალი კოეფიციენტების მქონე გავლენა.

მნიშვნელოვანია, რომ უკრაინის შემთხვევაში განსხვავებულია სხვადასხვა ცვლადების კოეფიციენტების ნიშნები. მაგალითისათვის, იმპორტის მიმართულებით, იკვეთება საერთო საზღვრის ძლიერი დადებითი და ერთი ქვეყნის წევრობის უარყოფითი გავლენა ვაჭრობის განვითარებაზე. ექსპორტის შემთხვევაში, აღნიშნულ ცვლადებს საპირისპირო ნიშნები და სტატისტიკურად უმნიშვნელო მაჩვენებლები აქვთ.

#### 4.5 DCFTA-ს ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი

სამივე ქვეყნის შედეგების მიხედვით, DCFTA-ს დადებითი გავლენა აქვს ქვეყნების ევროკავშირთან ვაჭრობის განვითარებაზე, თუმცა ამავდროულად სავაჭრო ნაკადების გადართვის ტენდენციაც ვლინდება. ცხრილი 3.1.-ში წარმოდგენილია ემპირიული შედეგების შედარებითი ანალიზი, როგორც საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინისათვის, ასევე სამივე ქვეყნის ერთობლივი შეფასებების საფუძველზე.

ცხრილი 4.5.1. გრავიტაციის მოდელის შედეგების შედარება, *ppml FE*

ცვლადები	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა	სამივე ქვეყანა
მანძლი	-1.283	-1.135***	-0.634	-0.833**
DCFTA_TC	0.156*	0.202***	-0.353	0.249
DCFTA_TD	0.240*	-0.178	-0.903*	-0.220*
Border	0.442	1.721***	0.632	0.611
Smcountry	-0.219	-	0.589***	0.136
Soviet Union	1.483***	-1.361**	1.537***	0.402
Col			-1.557***	-0.709*
Lang		0.196		1.327***
GDP_Exp	0.483***	0.593***	0.798***	0.737***
GDP_Imp	0.767*	0.484**	0.972***	0.900***
R-squared	0.94	0.96	0.93	0.94

\*\*\* 1%-იანი, \*\* 5%-იანი, \* 10%-იანი სანდოობის ინტერვალი

წყარო: დათვლილია სტატისტიკურ პროგრამაში „სტატა (STATA)“

როგორც მოსალოდნელია, ყველა შეფასების მიხედვით, დისტანციას უარყოფითი გავლენა აქვს სავაჭრო ნაკადებზე, მსკ-ს მაჩვენებელს კი - მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა. ასევე მსგავსია სხვა მაჩვენებლების კოეფიციენტებიც. მნიშვნელოვანი განსხვავება, მხოლოდ საერთო საბჭოთა წარსულის ცვლადის კოეფიციენტში ვლინდება. დანარჩენი ორი ქვეყნისგან განსხვავებით, მოლდოვის შემთხვევაში, სავაჭრო

ურთიერთობების განვითარებაზე, საბჭოთა კავშირის წევრობის კოეფიციენტი, უარყოფით გავლენაზე მიუთითებს.

კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, ძირითადად ყურადღება DCFTA-ის გავლენების შეფასებაზეა გამახვილებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე ქვეყანაში DCFTA-ს განსხვავებული შედეგები ვლინდება. აღნიშნული განსხვავება, როგორც სტატისტიკური მნიშვნელობებში, ასევე, ეფექტიანობის კოეფიციენტებში იკვეთება. ეფექტიანობის მიმართულებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოლდოვის შემთხვევაში ფიქსირდება, სადაც DCFTA-ს კოეფიციენტს დადებითი და 1-პროცენტთან დონეზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. საქართველოს შემთხვევაში, სტატისტიკურად ნაკლებად მნიშვნელოვანი (10-პროცენტთან დონეზე), თუმცა დადებითი გავლენა ფიქსირდება.

მნიშვნელოვანად განსხვავდება უკრაინაში არსებული ვითარება. აღსანიშნავია, რომ DCFTA-ს ცვლადის უარყოფითი და სტატისტიკურად უმნიშვნელო მაჩვენებელი, ქვეყანაში შეთანხმების არაეფექტურობის მანიშნებელია. შესაბამისად, უკრაინასთან შედარებით, DCFTA უფრო ეფექტიანი მოლდოვისა და საქართველოს შემთხვევაში აღმოჩნდა. რაც შეეხება შეთანხმების სარგებლიანობის ანალიზს, საქართველოს შემთხვევაში ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნის ტენდენცია ვლინდება, მოლდოვისა და უკრაინის შემთხვევაში კი - სავაჭრო ნაკადების გადართვის ნეგატიური ტენდენცია იკვეთება.

რეგიონულ დონეზე, DCFTA დადებითი, თუმცა სტატისტიკურად უმნიშვნელო გავლენა აქვს სავაჭრო ნაკადების შექმნის ზრდის მიმართულებით. მიღებული შედეგები, შეთანხმების გარეშე მოსალოდნელ მაჩვენებელთან შედარებით ვაჭრობის 28-პროცენტთან ზრდაზე მიგვანიშნებს. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ რეგიონულ დონეზე იკვეთება სავაჭრო ნაკადების გადართვის უარყოფითი, თუმცა უმნიშვნელო ტენდენცია.

ევროკავშირის დონეზე კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებისათვის საქართველოს დიდი დრო დასჭირდება, რაც ნაწილობრივ ევროკავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვის მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული (Silagadze & Zubiashvili, 2016:539). შესაბამისად, შეთანხმების

ხელმოწერიდან 9 წლის შემდეგ შეფასება არ არის საბოლოო და გავლენის მაჩვენებელიც შედარებით მცირე მასშტაბის არის.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის მიგნებები შეესაბამება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე არსებულ ლიტერატურაში იდენტიფიცირებულ გამოწვევებს. ნაშრომი, ნათელს ხდის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ცვალებადი ბუნების და მხარეების ვაჭრობის განვითარებაზე შეთანხმებების ჰეტეროგენული გავლენის გათვალისწინების საჭიროებას.

**შეჯამება.** სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული, თეორიული გრავიტაციის მოდელის შეფასების შედეგებით, DCFTA-ს დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოსა და ევროკავშირის, ასევე მოლდოვისა და ევროკავშირის ვაჭრობის განვითარებაზე. უკრაინის შემთხვევაში, DCFTA-ს უმნიშვნელო და ნეგატიური კოეფიციენტი კი, შეთანხმების უშედეგობაზე მიგვანიშნებს. მოდელის შედეგების მიხედვით, საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობა 17 პროცენტით (10-პროცენტთან ნდობის ინტერვალი), ხოლო მოლდოვა-ევროკავშირის ვაჭრობა 22 პროცენტით (1-პროცენტთან ნდობის ინტერვალი) გაიზარდა. DCFTA-ს ეფექტიანობა ასოცირებული ტრიოს სამივე ქვეყნისათვის კი, 28 პროცენტთან ზრდაზე მიგვანიშნებს, თუმცა 90 პროცენტზე დაბალი სტატისტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, დაბალია შედეგების სანდოობის მაჩვენებელი. ხაზგასასმელია, რომ შეთანხმების ეფექტიანობა ინდივიდუალურ ქვეყნებში ერთობ განსხვავებულია.

კიდევ ერთი საინტერესო შედეგია სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაზე DCFTA-ს გავლენის შეფასება. რეგიონის გარეთ ვაჭრობაზე შეთანხმების გავლენის ნეგატიური ტენდენცია, მოლდოვისა და უკრაინის შემთხვევაში გამოვლინდა. მხოლოდ საქართველოშია DCFTA-ს შედეგად ვაჭრობის განვითარება ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნასთან დაკავშირებული.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ DCFTA-ს შედეგად სავაჭრო ურთიერთობები სამ ასოცირებულ ქვეყანას და ევროკავშირს შორის, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაზე შერეული გავლენების მიუხედავად, გაუმჯობესდა. შედეგები, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში DCFTA-ს ჰეტეროგენულ გავლენაზე

მიუთითებს. პირველი, მხარეებს შორის ვაჭრობაზე DCFTA-ს გავლენის დონე განსხვავდება სამივე ქვეყანაში. მეორე მხრივ, განსხვავებულია შეთანხმების გარეთ არსებულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებზე გავლენის მაჩვენებლებიც.

## დასკვნები და წინადადებები

საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში „ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავრცელების საფუძველზე, მათი ეფექტიანობის დადგენის მიმართულებით მკვლევართა მზარდი ინტერესისა და იმის გათვალისწინებით, რომ არსებული ლიტერატურა, აღნიშნული შეთანხმებების განსხვავებულ გავლენებზე მიანიშნებს, სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავს, ლიტერატურის განვითარებაში წვლილის შეტანას და განსხვავებულ მიგნებებთან დაკავშირებით, ახალი მტკიცებულებების შემუშავებას. ამ მიმართულებით არსებულ კვლევებში, შეთანხმებების განსხვავებული გავლენები ვლინდება. ავტორთა ნაწილი, მიიჩნევს, რომ ახალი თაობის შეთანხმებები ნაკლებად ეფექტიანია, მეორე ნაწილი კი, ამ მიმართულებით ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობაზე ამახვილებს ყურადღებას.

„ახალი თაობის“ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავრცელების ტენდენციას, ასევე ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის განვითარება უკავშირდება, რის შედეგადაც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამ ქვეყანასთან DCFTA გაფორმდა. საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისათვის, DCFTA წარმოადგენს, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან კომპონენტს. დამატებით, ეს შეთანხმება, ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისათვის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარზე ტარიფების გარეშე ვაჭრობის შესაძლებლობას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სადისერტაციო კვლევის შედეგად, შევაფასეთ, შეთანხმების ეფექტიანობა და ასოცირებული ქვეყნების ვაჭრობაზე გავლენა, ამ პროცესში სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებისა და სავაჭრო ნაკადების გადართვის ფაქტორის გათვალისწინებით. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი, ასევე მნიშვნელოვანია, ევროკავშირის საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკისა და ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს ეფექტიანობაზე არსებული ლიტერატურის განვითარების მიმართულებით.

მოდელის მიხედვით, დავადგინეთ DCFTA-ს გავლენა ევროკავშირთან ასოცირებული ტრიოს ქვეყნების საქონლით ვაჭრობაზე. კვლევის მნიშვნელოვან კომპონენტს აღნიშნული რეგიონისათვის, თეორიული ლიტერატურის საფუძველზე, შემუშავებული მოდელის გამოყენება წარმოადგენს. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია,

რომ მოდელის შემუშავების პროცესში გამოყენებულ იქნა თანამედროვე ლიტერატურაში არსებული რეკომენდაციები, მოდელის სიზუსტის გაზრდის მიმართულებით. ლიტერატურაში არსებული რეკომენდაციებისა და იდენტიფიცირებული ცვლადების გარდა, სადისერტაციო კვლევის მეთოდოლოგიაში სიახლეს ვაჭრობის განმსაზღვრელ ცვლადებში, საბჭოთა კავშირის წევრობის ცვლადის ინტეგრირება წარმოადგენს. ასევე სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც უფრო სიღრმისეული შეფასების შესაძლებლობას იძლევა, მოდელში, სავაჭრო ნაკადების შექმნასთან ერთად, სავაჭრო ნაკადების გადართვის ცვლადის გათვალისწინებაა.

სტრუქტურული გრავიტაციის მოდელის შედეგად დადგინდა, რომ DCFTA-ს პოზიტიური გავლენა ჰქონდა საქართველოსა და ევროკავშირს, ასევე მოლდოვასა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ნაკადების განვითარებაზე. უკრაინის შემთხვევაში, DCFTA-ს უმნიშვნელო და ნეგატიური კოეფიციენტი კი, შეთანხმების უშედეგობაზე მიგვანიშნებს. მოდელის შედეგების მიხედვით, საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის შემთხვევაში, DCFTA-ს შედეგად ვაჭრობის 17-პროცენტისანი ზრდა გამოიკვეთა, თუმცა ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი 10-პროცენტისანი ნდობის ინტერვალის (ზრდის ინტერვალი 12-22 პროცენტამდე) გათვალისწინებით, არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მოლდოვა-ევროკავშირის ვაჭრობა, შეთანხმების დადებით შედეგად 22 პროცენტით (1-პროცენტისანი ნდობის ინტერვალი) გაიზარდა. ხოლო, DCFTA-ს ეფექტიანობა ასოცირებული ტრიოს სამივე ქვეყნისათვის კი, 28-პროცენტისანი ზრდაზე მიგვანიშნებს, თუმცა 90 პროცენტზე დაბალი სტატისტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, დაბალია შედეგების სანდოობის მაჩვენებელი. მნიშვნელოვან მიგნებას ასოცირებული ტრიოს ქვეყნებში DCFTA-ს ეფექტიანობის მკვეთრად განსხვავებული შედეგები წარმოადგენს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სავაჭრო ნაკადების გადართვაზე DCFTA-ს გავლენის შეფასების შედეგად, მოლდოვისა და უკრაინის შემთხვევაში, ევროკავშირის გარდა სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაზე შეთანხმების ნეგატიური გავლენა დაფიქსირდა. ამ მიმართულებით, მხოლოდ საქართველოშია DCFTA-ს შედეგად ვაჭრობის განვითარება ახალი სავაჭრო ნაკადების შექმნასთან დაკავშირებული.



